In this way, the author of the novel and his protagonist, opposed the only artistic doctrine and aesthetics prevailing at that time both in Soviet Georgia and in the Soviet Union as a whole – socialist realism.

K. Gamsakhurdia, as a modernist author focused on metaphysicality and sacredness, considered human communion with high, elitist, non-collectivist, non-mass and autonomous art as a guarantee and prerequisite for the immortality of the soul. The Svetitskhoveli Cathedral is the symbol of this autonomous and highly modernist art and, in general, "holy" art.

In this context, for K. Gamsakhurdia, the concepts of Nietzsche's *superman* and *Amor Fati* are also important: it is from these concepts that the author of the novel derives the thesis of the artist's superman/manhood and the artist's ethical beliefs. Therefore, superhuman is the artist who creates autonomous art, who creates art for art's sake, and who ultimately sacrifices himself for his art.

The understanding of autonomous art developed in the novel is directly related to the Platonic understanding of Eros developed in the novel itself, which in the course of the novel is connected to the Pygmalion motif – the motif of falling in love with one's artistic creation: Arskidze falls in love with his creation – Svetitskhoveli. "Svetitskhoveli" embodies everything for him – Eros, Sophia (divine wisdom), absolute beauty, supreme goodness.

In the novel "Svetitskhoveli" is the embodiment of the principle of kalokagathia – that is, the highest beauty and the highest goodness. That is why, for Arskidze, the construction of the Svetitskhoveli Cathedral is both a form of the Kalokagathia principle and a communion with the divine Eros.

კონსტანტინე ბრეგაძე

*თსუ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენაში“ განვითარებული ხელოვნების კონცეფცია, როგორც ხელოვნების მოდერნისტული გაგება და როგორც ანტისოცრეალიზმი

კ. გამსახურდია რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ (1939) რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, კონსტანტინე არსაკიძის საშუალებით ავითარებს ხელოვნების *მოდერნისტულ* გაგებას, რომლის მთავარი დისკურსია „ხელოვნება ხელოვნებისთვის“. ეს ამავდროულად ნიშნავს იმას, რომ ხელოვნების არსის გაგების საკითხში ავტორი და მისი პერსონაჟი ჯერ კიდევ გერმანული რომანტიზმიდან მომდინარე და შემდგომ მოდერნიზმში

ისევ აქტუალიზებულ ხელოვნების ავტონომიურობის პოსტულატს იზიარებენ.

ამით რომანის ავტორი და მისი პერსონაჟი, ფაქტიურად, დაუპირისპირდნენ იმ ხანად როგორც საბჭოთა საქართველოში, ისე მთლიანად საბჭოთა კავშირში გაბატონებულ ერთადერთ სახელოვნებო დოქტრინას და ესთეტიკას – *სოციალისტურ რეალიზმს*.

კ. გამსახურდიას, როგორც *მეტა*-ფიზიკურობასა და საკულურობაზე ორიენტირებულ მოდერნისტ ავტორს, სულის უკვდავების გარანტად და წინაპირობად მაღალ, ელიტარულ, არაკოლექტივისტურ, არამასობრივ და ავტონომიურ ხელოვნებასთან ადამიანის ზიარება მიაჩნდა. სწორედ *სვეტიცხოვლის ტაძარია* ამ ავტონომიური და მაღალი მოდერნისტული ხელოვნების და, ზოგადად, „წმინდა“ ხელოვნების სიმბოლო.

ამ კონტექსტში კი კ. გამსახურდიასთვის ასევე მნიშვნელოვანია ნიცემეს *ზეადამიანის/ზეკაცის* და Amor fati-ს ცნებები: რომანის ავტორს სწორედ ამ ცნებებიდან გამოჰყავს ხელოვანის *ზეადამიანობის/ზეკაცობის* თეზისი და ხელოვანის ეთიკური მრწამსი. შესაბამისად, *ზეადამიანია/ზეკაცია* სწორედ ის ხელოვანი, ვინც ქმნის „წმინდა“, ავტონომიურ ხელოვნებას, ვინც ქმნის *ხელოვნებას ხელოვნებისთვის* და ვინც საბოლოოდ აუცილებლად ეწირება კიდევ საკუთარსავე ხელოვნებას.

რომანში განვითარებულ „წმინდა“, *ავტონომიური* ხელოვნების გაგებას უშუალოდ უკავშირდება რომანშივე განვითარებული *ეროსის* პლატონისეული გაგება, რაც შემდგომ რომანის სიუჟეტური მსვლელობისას უკავშირდება *პიგმალიონის* მოტივს – საკუთარი ხელოვნების ქმნილების შეყვარების მოტივს: არსაკიძემ უყვარდება თავისივე ქმნილება – *სვეტიცხოველი*. „სვეტიცხოველი“ კი ყველაფერს განასახიერებს მისთვის – *ეროსს, სოფიას (სადვთო სიბრძნეს)*, აბსოლუტურ *მშვენიერებას*, უმაღლეს *სიკეთეს*. შესაბამისად,

რომანში „სვეტიცხოველი“ ე. წ. კალოკაგათიის პრინციპის – ანუ უმაღლესი მშვენიერებისა და უმაღლესი სიკეთის – განსახიერებაა. ამიტომაც არსაკიძისთვის სწორედ სვეტიცხოველის ტაძრის აგებაა როგორც კალოკაგათიის პრინციპის ფორმალექცევა, ისე ღვთაებრივ ეროსთან ზიარება.

Levan Bregadze

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

The Theory of Socialist Realism and its Relation to Religion

One of the necessary demands of the socialist realism was propaganda of atheism. The Soviet State commenced a way of a unique experiment – to try to create a godless society, that had to be supported politically, ideologically and economically. The fiction literature (belles-lettres), literary critics and literary science based on the method of socialist realism was engaged to support this experiment ideologically.

The idea of creating an atheist state, the creation of which were trying the founders of the Soviet Union, is taking its origin from the European enlightenment started at the end of the 18th century. Starting from that more and more people were trying to live without religion in Europe, but no one was obliged to be an atheist, more thou no one thought about prohibiting religion by a law on the state level. But in the Soviet Union the antireligious attitude was declared as an obligatory norm in the everyday life as well as in the literature and arts. It was possible to write about religious subjects only from the atheist position, The god believers and spiritual persons could only be the objects of caricature descriptions.

In the service of antireligious propaganda were engaged not only literary works describing contemporality but also in some sense literary works created about historical subjects written by contemporary authors, and more yet – the interpretation of the ancient Georgian literary works were done from the atheist position, that led to odd results.

It became clear from the 1970s, that the experiment of creating an atheist state collapsed. From this time on the authority of the church and the trust in it increase. From this time on the Georgian literature too frees himself from the necessity of antireligious propaganda, the censure can no longer resist the comeback of the religious subjects in the literature, but some kind of resistance still took place.

It can be said, that in the Georgian literary science in the 1980s already existed religious critics (If we can say it in analogy of mythology critics), that was founded by Akaki Bakradze; That means, literary texts were already discussed also from the point of view of their relation to the religion.

In the present work are analysed the literary works created on the one hand at the time of the rise of socialist realism as well as on the other hand at times of its weakened influence and the relation of literary critics to these texts; It is shown how it became clear, that it was an utopia to try to build a society without religion in the writings of social realism and also how it damaged aesthetic side of the literary texts.

ლევან ბრეგაძე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის

ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

სოციალისტური რეალიზმის თეორია და მისი მიმართება რელიგიასთან

სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა იყო ათეიზმის პროპაგანდა. საბჭოთა სახელმწიფო დაადგა უნიკალური ექსპერიმენტის გზას – უდმერთო საზოგადოების ჩამოყალიბების მცდელობას, რაც პოლიტიკურად, იდეოლოგიურად და ეკონომიკურად უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ამ ექსპერიმენტის იდეოლოგიურად ხელშეწყობაში იყო ჩართული სოციალისტური რეალიზმის მეთოდზე დაფუძნებული მხატვრული ლიტერატურა, სალიტერატურო კრიტიკა და ლიტმცოდნეობა.

ათეისტური სახელმწიფოს შექმნის იდეა, რომლის განხორციელებასაც ცდილობდნენ საბჭოთა კავშირის დამაარსებელნი, სათავეს მე-18 საუკუნის ბოლოს დაწყებულ ევროპულ განმანათლებლობაში იღებს. იქიდან მოკიდებული ევროპაში სულ უფრო მეტი ადამიანი ცდილობდა ურელიგიოდ ცხოვრებას, თუმცა არავინ იყო ვალდებული ათეისტი ყოფილიყო, მით უფრო არავის მოსვლია თავში რელიგია დეკრეტით აეკრძალა სახელმწიფოებრივ დონეზე. სსრკ-ში კი ანტირელიგიურობა სავალდებულო ნორმად გამოცხადდა ყოფით ცხოვრებაშიც და ლიტერატურასა და ხელოვნებაშიც. რელიგიურ თემებზე წერა მხოლოდ ანტირელიგიური, ათეისტური პოზიციიდან შეიძლებოდა, ღვთის მორწმუნენი და სასულიერო პირები მხოლოდ კარიკატურული აღწერის ობიექტები შეიძლება ყოფილიყვნენ.

ანტირელიგიური პროპაგანდის სამსახურში ჩაბმული იყო არა მარტო თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებები, არამედ რამდენადმე თანამედროვე ავტორთა მიერ ისტორიულ თემაზე შექმნილი თხზულებებიც და, მეტიც – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა ინტერპრეტაციაც ათეისტური პოზიციიდან ხდებოდა, რასაც კურიოზულ შედეგებამდე მივყავდით.

1970-იანი წლებიდან ნათელი გახდა, რომ ათეისტური სახელმწიფოს შექმნის ექსპერიმენტი კრაზით დამთავრდა. ამ პერიოდიდან მოკიდებული იზრდება ეკლესიის ავტორიტეტი და მის მიმართ ნდობა. ამ დროიდან ქართული ლიტერატურაც თავისუფლდება ანტირელიგიური პროპაგანდის აუცილებლობისაგან, ცენზურა დიდ წინააღმდეგობას ვეღარ უწევს რელიგიური თემატიკის დაბრუნებას მწერლობაში, თუმცა გარკვეულ წინააღმდეგობას ადგილი ჯერ კიდევ ჰქონდა.

შეიძლება ითქვას, რომ 1980-იან წლებში ქართულ ლიტმცოდნეობაში უკვე არსებობდა რელიგიური კრიტიკა (მითოლოგიური კრიტიკის ანალოგიით რომ ვთქვათ), რასაც საფუძველი დაუდო აკაკი ბაქრაძემ; ანუ მხატვრული ტექსტები უკვე რელიგიასთან მათი მიმართების თვალსაზრისითაც განიხილებოდა.

ნაშრომში გაანალიზებულია როგორც სოციალისტური რეალიზმის აღზევების, ისე მისი გავლენის შესუსტების ხანაში შექმნილი მხატვრული ტექსტები და მათთან სალიტერატურო კრიტიკის მიმართება; ნაჩვენებია როგორ გამოვლინდა სოციალისტური რეალიზმის მწერლობაში ურელიგიო საზოგადოების შექმნისკენ სწრაფვის უტოპიურობა და ისიც, თუ როგორ დააზარალა ამან მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური მხარე.

Rūta Brūzgienė

Mykolas Romeris University

Lithuania, Vilnius

A Fairy Tale "Eglė Žalčių Karalienė" on the Soviet Stage as a Representative of Lithuanian Culture

A fairy tale "Eglė žalčių karalienė" is one of the most peculiar Lithuanian mythical tales, which has received a lot of attention from indoeuropean folklorists, researchers of mythology, as well as literary transformations. The poem created by the Lithuanian poetess S. Nėris (1904-1945) after its story became extremely popular in the Lithuanian scene during the Soviet era. Performances based on this tale or poem not only received several productions on different puppet theater stages, but there was also a ballet written by the composer Eduardas Balsys (1919-1984), which was also received several interpretations on the opera stage. The report will address the characteristics of this tale and poem, discuss its productions on stage and the reasons for their popularity, and their significance for Lithuanian culture in the Soviet period. The study refers to the works of G. Kadžytė, A. Kapočiūtė, A. J. Greimas, A. Žiūraitytė, V. Kubilius, H. Šabaševičius, W. Wolf, V. Karbusicky, V. Bobrovsky and others, and is based on comparative methodology.

Mzia Buskivadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgia, Tbilisi

Soviet Communist Discourse in the Art of Nazim Hikmet Ran

Influence and scales of the Soviet communist ideology was spread not only over the literature and culture of the countries of the Soviet Union, the ideology of “dominating over the peoples” masked by the context of “equality of the peoples” is characteristic for Turkish literature as well. In early 20th century, severity of the political situation in Turkey forced certain group of very young poets to leave for Moscow. And before, Turkish communist party attempted to spread the communist idea in the society and this was in complete dissonance with the goals and objectives of Kemal of Mustafa Kemal Atatürk. Nazim Hikmet Ran is probably the only Turkish poet, writer and scriptwriter, who remained loyal communist until his death. In the poet’s art contains the elements of the soviet communist ideology, initially, idealization of the leader, Stalin and later clear criticism. This is closely related to years when Nazim Hikmet studied and lived in Moscow. In the poem dedicated to Stalin, he, speaking as the peasant, Mehmed, regarded Bolsheviks as the only hope of liberation of his country. In addition, for him, Stalin is the symbol of communism, eternally young and eternally living. In few days after Stalin’s death, the poet wrote the verse clearly showing joy and relief due to liberation from Stalin. Nazim Hikmet’s communist Ideas were absolutely unacceptable to Atatürk government and because of this, he spent 16 years of his life in the different prisons of Turkey. The deprived him of citizenship and he was buried in Moscow. In his Human Landscapes

from My Country, he compares Turkey with black train, the passengers of which are the representatives of different periods and social strata. Some characters are the prisoners. In Nazim Hikmet's art the socialist realism is oriented towards recovery of self-awareness, directly associated with the happy future of the country. And before, the main way of fighting against imperialism was the soviet communist ideology.

მზია ბუსკივაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

საბჭოთა კომუნისტური დისკურსი ნაზიმ ჰიქმეთ რანის შემოქმედებაში

საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგიის გავლენა და მას-შტაბები მხოლოდ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების ლიტერატურასა და კულტურაზე არ ვრცელდებოდა. „ხალხთა თანასწორობის“ ქვეტექსტით შენიღბული „ხალხზე გაბატონების“ იდეოლოგია არც თურქული ლიტერატურისთვისაა უცხო. მე-20 საუკუნის დასაწყისში თურქეთის პოლიტიკური მდგომარეობის სიმძიმე ჯერ კიდევ სრულიად ახლაგაზრდა პოეტთა გარკვეულ ჯგუფს იძულებულს ხდის მოსკოვში წავიდეს. იქამდე კი თურქეთის კომუნისტური პარტია შეფარვით ცდილობს კომუნისტური იდეების საზოგადოებაში გავრცელებას, რაც სრულ დისონანსშია მუსტაფა ქემალ ათათურქის მიზნებსა და ამოცანებთან. ნაზიმ ჰიქმეთ რანი ლამის ერთადერთი თურქი პოეტი, მწერალი და სცენარისტი, რომელიც გარდაცვალებამდე ერთგულ კომუნისტად დარჩა. პოეტის შემოქმედებაში საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგია საწყისს ეტაპზე ბელადის, სტალი-

ნის, გაიდიალების, მოგვიანებით კი მისი კრიტიკის მკაფიო ელემენტებს შეიცავს. აღნიშნული, მჭიდროდ უკავშირდება ნაზიმ ჰიქმეთის მოსკოვში სწავლისა და ცხოვრების წლებს. ლექსში, რომელიც სტალინს ეძღვნება იგი გლეხი მეჰმედის პირით საკუთარი ქვეყნის გათავისუფლების ერთადერთ იმედად ბოლშევიკებს მიიჩნევს. გარდა ამისა, მისთვის სტალინი კომუნიზმის სიმბოლოა, მარად ახალგაზრდა და მარად ცოცხალი. სტალინის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში პოეტი წერს ლექსს, რომელშიც ნათლად იკითხება სტალინისგან გათავისუფლების სიხარული და შვება. ნაზიმ ჰიქმეთის კომუნისტური იდეები ათათურქის ხელისუფლებისათვის სრულიად მიღებული იყო. სწორედ ამიტომ მან ცხოვრების 16 წელი თურქეთის სხვადასხვა ციხეში გაატარა. მოქალაქეობაც ჩამოართვეს და დაკრძალვითაც მოსკოვშია დაკრძალული. ნაწარმოებში „ჩემი ქვეყნის ადამიანები“ თურქეთს იგი ადარებს შავ მატარებელს, რომლის მგზავრებიც სხვადასხვა დროისა და სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან. პერსონაჟების გარკვეული ნაწილი პატიმარია. ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებაში სოციალისტური რეალიზმი ეროვნული თვითშეგნების გაჯანსაღებაზეა ორიენტირებული, რაც პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ბედნიერ მომავალს. იქამდე კი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი გზა მისთვის საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგიაა.

Kunal Chattopadhyay

Professor of Comparative Literature

Jadavpur University

India, Kolkata

Reception of Socialist Realism in Bangla Progressive Literature and Alternatives to it: 1930s to 1990s

The foundation of the Progressive Writers Association in India saw communist writers trying to apply the ideas of Socialist Realism in their writings. This paper will examine briefly the reception of Socialist Realism in Bangla literature. This began with the celebrated debate between Saroj Dutt and Samar Sen , on whether being a progressive had to mean being a revolutionary, and in which Dutt insisted that progressive writers must take a clear revolutionary and proletarian stance, while Sen held that an author should stick to the reality one knows, and focus on exposing the decadence of existing society and culture.. A debate over Roger Garaudy's position was held in the late 1940s. This, together with a series of articles in the Communist Party of India's Bangla theoretical journal *Marxbadi*, insisted on a strong reiteration of the tenets of Socialist Realism. In reality, much of the writings produced focused more on middle class revolutionary cadres 'enlightened' by the party, than on proletarian heroes. The search for the voice of the proletariat led authors like Mahasweta Devi, Debesh Roy and Nabarun Bhattacharya to forms quite distinct from typical socialist realism, to language and language registers markedly different from the sanitized *bhadralok* discourse in which many of the previous authors were steeped. A case will accordingly be made that class formation and class struggle has to be examined from below, keeping in

mind the specificity of the country/region, for meaningful socialist and realist fiction to be written.

Olha Chervinska, Olga Tabachnikova, Elena Artamonova

University of Central Lancashire

England, UK

Social Realism as a Typological Form of World Perception

The paper will take the terminological paradigm of Socialist Realism beyond the classical framework of the well-known ideologized literary method, and reveal the organic nature of causal connections between a person as a subject and his/her (relatively speaking) comfortable social environment. We intend to represent Socialist Realism as a specific receptive form of self-expression and, simultaneously, of self-defence – in other words, as a certain optimistic theatrical masque in the context of harsh legitimization of creativity. The well-known tradition of masques in ancient world cultures can be regarded as the origin of this method. Historical experience of the world culture in its numerous versions will be drawn upon to prove the typological invariability of Socialist Realism as a phenomenon of world perception.

Nino Chikhladze

The University of Georgia

Georgia, Tbilisi

Modernistic Interpretations with Socrealistic Names on the Example of Lado Gudiashvili's Work

In 1925, Lado Gudiashvili, a famous and successful modernist artist, returned to Tbilisi from Paris and presented himself to the Georgian public with a personal exhibition in 1926. The response and highest evaluation of the exhibition were also reflected in Titsian Tabidze's letter. In 1927, in a public space of Hotel "Orient," Gudiashvili created an extraordinarily colorful and magnificent wall painting the artistic forms that were a direct continuation of the modernist work of the painter's Parisian period.

At the end of the 20s, the situation changes, and based on the pressure of the Soviet government, the modern line of the natural development of culture was first delayed. From the beginning of the 30s, it will proceed with the demand for the reflection of an ideological, artificial artistic construction – "Social Realism." Even the preferred topics and forms of expression are strictly defined. It is required that Industrialization, Collectivization, the Bolshevik Revolutionary past, Soviet people's happy present and self-confident belief in the future will be depicted with heroic ascension in monumental forms. The demand is universal and categorical.

To the Artist accepted and recognized in European modern art space and distinguished with his own handwriting and clearly expressed individualism was extremely difficult to continue his creative activity in the given situation. However, Gudiashvili tries to get the challenge. His best works of the 30s, with the Socrealistic titles,

contrary to the typical delivery required by Social Realism, reveal the artist's individual vision, which is undoubtedly part of modernistic construction. These are allegorical compositions expressing irony through the grotesque forms characterized by him. Part of adequately conveying the individual perception and view of the environment is the replacement of Gudiashvili's rich color palette with a dark, almost monochrome one, where graphic drawing is the main artistic means of representation. Such is the "Collective Farm Herd," where the herd driven in one direction is clearly an allegorical reflection of the violent process of collectivization, as well as in another graphic work called "Tractor", an allegory of brute force that destroys the beautiful creations of nature. However, the most important expression of Gudiashvili's individual vision of the 30s is supposedly the wall painting panel at the Marjanishvili Theatre executed in 1930. The panel with the Socrealistic title "Industry" reflected the allegory of the opposite reality of Social Realism without irony.

ნინო ჩიხლაძე

საქართველოს უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

მოდერნისტული ინტერპრეტაციები სოცრეალისტური სახელწოდებებით ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებთა მაგალითზე

1925 წელს პარიზიდან თბილისში დაბრუნებული უკვე სახელმწიფო და წარმატებული დიდი მოდერნისტი მხატვარი ლადო გუდიაშვილი 1926 წელს საანგარიშო პერსონალური გამოფენით წარსდგა ქართული საზოგადოების წინაშე. გამოფენის გამომხმარებმა და უმაღლესი შეფასება ტიციან ტაბიძის წე-

რილშიც აისახა. 1927 წელს საჯარო სივრცეში მან შექმნა სას-ტუმრო „ორიენტის“ არაჩვეულებრივად ფერადოვანი ბრწყინვალე კედლის მხატვრობა, რომლის მხატვრული ფორმები უშუალო გაგრძელებაა მისი პარიზული პერიოდის მოდერნისტული შემოქმედებისა.

20-იანი წლების ბოლოს სიტუაცია იცვლება და საბჭოთა ხელისუფლების ზეწოლის საფუძველზე კულტურის ბუნებრივი განვითარების მოდერნული ხაზი ჯერ ფერხდება, 30-იანი წლების დასაწყისიდან კი მკვეთრად იდეოლოგიური, ხელოვნური მხატვრული განსაზღვრულია მოსაწონი თემებიცა და გამოსახვის საშუალებებიც კი. მოთხოვნილია ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, ბოლშევიკური რევოლუციური წარსულის, საბჭოთა ადამიანის ბედნიერი აწმყოსა და მომავლის თავდაჯერებული რწმენის კონსტრუქციის – „სოცრეალიზმის“ ასახვის მოთხოვნით წარიმართება. მკაცრად ადმოცემა ჰეროიკული აღმაფრენის ამ-სახველი მონუმენტური ფორმებით. მოთხოვნა საყოველთაოა და კატეგორიული.

საკუთარი ხელწერისა და მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალიზმის მატარებელ, ევროპული მოდერნის არტ სივრცეში მიღებული და აღიარებული მხატვრისთვის უკიდურესად მძიმეა მოცემულ სიტუაციაში შემოქმედებითი საქმიანობის გაგრძელება. თუმცა გუდიაშვილი ცდილობს მიიღოს გამოწვევა. სოცრეალისტური სახელწოდებების მქონე 30-იანი წლების მისი საუკეთესო ქმნილებები სოციალისტური რეალიზმის მიერ მო-თხოვნილი ტიპობრივის გადმოცემის საპირისპიროდ, მხატვრის-თვის დამახასიათებელი ალეგორიული კომპოზიციებით, გროტესკით გამოხატული ირონიის მოხმობით ამჟღავნებს მის ინდივიდუალურ ხედვას, რაც უთუოდ მოდერნისტული კონსტრუქციის ნაწილია. გარემოს ინდივიდუალური აღქმისა და ხედვის ადეკვატურად გადმოცემის ნაწილია აგრეთვე გუდიაშვილის მდიდარი ფერადოვანი პალიტრის მრუმე, თითქმის მონოქრო-

მულით შეცვლა, სადაც გრაფიკული ნახატი გამოსახვის მთავარი მხატვრული საშუალებაა. ასეთებია „კოლმეურნეობის ჯოგი“, სადაც ერთი მიმართულებით გარეკილ ნახირში აშკარად კოლექტივიზაციის ძალადობრივი პროცესის ალეგორიული ასახვაა ისევე, როგორც სხვა გრაფიკულ ნაწარმოებში, სახელწოდებით „ტრაქტორი“, ალეგორიაა უხეში ძალისა, რომელიც ბუნების მშვენიერ ქმნილებებს ანადგურებს. თუმცა ვფიქრობთ, 30-იანი წლების გუნდიაშვილის ინდივიდუალური ხედვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამომხატველია მარჯანიშვილის თეატრის კედელზე 1930 წელს განხორციელებული პანო სოციალისტური სახელწოდებით „ინდუსტრია“, რომელიც უკვე ირონიის გარეშე გადმოსცემს სოცრეალიზმის საპირისპირო რეალობის ალეგორიას.

Eka Chikvaidze

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

Socialist Realism and Sermons of Shurch Leaders

The history of literature is familiar with trends that are born and established as a result of time, worldview, political, economic, social factors. Basically, such literature naturally finds an exact correspondence between form and content. These natural processes are somehow changed by the totalitarian regimes, whose goal was to "tame" literature and art in order to spread ideological changes. Obviously, in this way the proper worldview was spread. Social realism is the method that reflects the socialist concepts of the world and man. If art is a reflection of life, the social realist creator was tasked with reflecting life against the backdrop of socialist ideals. In a self-contradictory process (in the

purposeful "marriage" of literature and ideology), the norms and criteria that creators had to obey were created by the dictates of the Communist Party. This already contradictory essence was made even more intense by the given fact – in many countries, including Georgia, socialism and Communist Party had to dictate norms for Christian culture, and this naturally meant either self-liquidation on the part of the church, or offering alternative models of thought. A kind of creative "engineering" natural to social realism, making the text with specific ideas, rather than creating it, was completely excluded for such type of texts as homiletics, and thus two outwardly seemingly similar processes – propaganda/preaching, "engineering"/reconstruction faced mutual challenges. Based on the political context, the preaching of the church leaders should reflect the education of people in the spirit of the party and at the same time support the struggle for the victory of communism. Sermons and aspirations expressed in them had to be compatible with the objective course of history; But it faced natural opposition and a kind of impasse, therefore, it is interesting, what was the main pathos of the preaching of the church leaders? Here we will say that between compromise and struggle, the preaching and the preacher in a difficult era were able to and trace the path to those values without which the church loses its meaning.

ეკა ჩიკვაიძე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის

ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

სოციალისტური რეალიზმი და საეკლესიო მოღვაწეთა ქადაგებები

ლიტერატურის ისტორია იცნობს მიმდინარეობებს, რომლებიც დროის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ფაქტორების შედეგად იბადება და იმკვიდრებს თავს. ძირითადად, ასეთი ლიტერატურა ბუნებრივად პოულობს ფორმისა და შინაარსის ზუსტ შესაბამისობას. ამ ბუნებრივ პროცესებს გეხს ერთგვარად უცვლიან ტოტალიტარული რეჟიმები, რომელთა მიზანიც იდეური და იდეოლოგიური ცვლილებების გავრცელების მიზნით ლიტერატურისა და ხელოვნების „მოთვინიერება“ იყო. ცხადია, ამგვარად ვრცელდებოდა სათანადო მსოფლმხედველობა. სოციალისტური რეალიზმი სწორედ ის მეთოდია, რომელიც სამყაროსა და ადამიანის სოციალისტურ კონცეფციებს ასახავს. თუკი ხელოვნება ცხოვრების ასახვაა, სოცრეალისტ შემოქმედს ცხოვრების სწორედ სოციალისტურ იდეალთა ფონზე ასახვა ევალებოდა. თავისთავად ურთიერთგამომრიცხავ პროცესში (ლიტერატურისა და იდეოლოგიის მიზნობრივ „ქორწინებაში“) კომპარტიის კარნახით იქმნებოდა ის ნორმები და კრიტერიუმები, რომელთაც შემოქმედები უნდა დამორჩილებოდნენ. ამ ისედაც წინააღმდეგობრივ არსს კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს სძენდა თავისთავადი მოცემულობა – არაერთ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, სოციალიზმსა და კომპარტიას ქრისტიანული კულტურისთვის უნდა ეკარნახა ნორმები, ხოლო ეს ბუნებრივად ნიშნავდა ან თვითლიკვიდაციას ეკლესიის მხრიდან, ან ალტერნატიული აზროვნების მოძელების შეთავაზებას. სოცრეა-

ლიზმისთვის ბუნებრივი ერთგვარი შემოქმედებითი „ინჟინერია“, ტექსტის კონკრეტული იდეებით კეთება და არა ქმნა სრულიად გამორიცხული იყო ისეთი ტიპის ტექსტებისთვის, როგორც ჰომილეტიკა და ამდენად ორი გარეგნულად თითქოს მსგავსი პროცესი – პროპაგანდა/ქადაგება, „ინჟინერია“/აღგება-აღშენება ურთიერთგამოწვევის წინაშე იდგა. პოლიტიკური მოცემულობიდან გამომდინარე, საეკლესიო მოღვაწეთა ქადაგებაში უნდა ასახულიყო ადამიანის აღზრდა პარტიის სულისკვეთებით და ამასთან მხარი დაეჭირა ბრძოლის-თვის კომუნიზმის გასამარჯვებლად. ქადაგებები და მათში გამოკვეთილი მისწრაფებანი კი აუცილებლად თავსებადი უნდა ყოფილიყო ისტორიის ობიექტურ მსვლელობასთან; მაგრამ ბუნებრივ ოპოზიციასა და ერთგვარ ჩიხში ექცეოდა, შესაბამისად, საინტერესოა, რა იყო ეკლესიის მოღვაწეთა ქადაგების მთავარი პათოსი? აქვე ვიტყვით, რომ კომპრომისსა და ბრძოლას შორის ქადაგებამ და მქადაგებელმა რთულ ეპოქაში შეძლო და გაკვალა გზა იმ ღირებულებებისკენ, რომელთა გარეშეც მიწიერი ეკლესია აზრს კარგავს.

Sophio Chkhatarashvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

Ukrainian "Sixties" and Their Role in the Issue of Defining National Identity in the Era of Socialist Realism

Modern life has outlined the issue of the Ukrainian nation, Ukrainian culture more actual and dolorous. Ukraine came into the world's attention not only due to geopolitical events and reasons, but also due to its cultural heritage, which undoubtedly deserves observation and analysis.

At the beginning of the nineteenth century, with the appearance of Taras Shevchenko and thanks to his principled position to create literary works only in the Ukrainian language and take an active part in their distribution, Ukrainian literature began to be perceived as separate, separate and independent from Russian literature. Taras Shevchenko never used the term "identity" in his works, but tried to define the place, territory, appearance, character and show their distinguishing features from other Slavic nations.

The concept of identity was defined differently in the sixties of the twentieth century. The young generation known as the "sixties" focused not on place and appearance, but on memory and attitudes. Ivan Dziuba's monograph "Internationalism or Russification"; Diary of Vasyl Simonenko; Samizdat creativity of Lina Kostenko; Alla Horska's painting as a performance against the "Iron Curtain" is an incomplete list of facts and events that ultimately created the phenomenon of the "Sixties".

The works, that the "sixties" left to the next generation in the form of a kind of constitution, were created not in the search and determination of national identity, but in the struggle for its cherish. The research of the issue is complicated by the fact that within the circle of the "sixties" the " *New York Group of Poets* " – writers from the Ukrainian diaspora , "Kyiv School" –poets of the kyiv school and "dissident writing" need to be studied separately.

The more the Soviet government tried to russify the Ukrainian people, the more the longing for national identity grew stronger, the problem of the individual emerged. The Sixties considered the preservation of the native language and historical past as one of the main markers of national identity, along with those values (fighting for humanism, living for goodness, bringing spirituality to the fore, etc.) that, in their opinion, a modern Ukrainian person should have.

სოფიო ჩხატარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

**უკრაინელი „სამოციანელები“ და მათი როლი
ეროვნული იდენტობის განსაზღვრის საკითხში
სოციალისტური რეალიზმის ეპოქაში**

თანამედროვეობამ უკრაინელი ერის, უკრაინული კულტურის საკითხი მეტად მწვავე და აქტუალური გახადა. უკრაინა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა არა მხოლოდ გეოპოლიტიკური მოვლენებითა და მიზეზებით, არამედ იმ კულტურული მემკვიდრეობითაც, რომელიც დაკვირვებასა და ანალიზს უდავოდ იმსახურებს.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ტარას შევჩენკოს გამოჩენით და მისი პრინციპული პოზიციის წყალობით, შეექმნა ლიტერატურული ნაწარმოებები მხოლოდ უკრაინულ ენაზე და აქტიური მონაწილეობა მიეღო მათ გავრცელებაში, უკრაინული ლიტერატურის, როგორც ცალკე არსებულის, რუსული ლიტერატურისაგან განსხვავებულისა და დამოუკიდებელის აღქმა იწყება. თავის ნაწარმოებებში ტარას შევჩენკოს არასდროს გამოუყენებია ტერმინი „იდენტობა“, მაგრამ ადგილის, ტერიტორიის, გარეგნობის, ხასიათის განსაზღვრასა და მათი განმასხვავებელი ნიშნების წარმოჩენას შეეცადა სხვა სლავური ერებისაგან.

იდენტობის ცნება სხვაგვარად განისაზღვრა მეოცე საუკუნის სამოციან წლებში. „სამოციანელების“ სახელით ცნობილმა ახალგაზრდა თაობამ აქცენტი არა ადგილსა და გარეგნობაზე, არამედ მეხსიერებასა და დამოკიდებულებებზე გააკეთა. ივან ძიუბას მონოგრაფია „ინტერნაციონალიზმი თუ რუსიფი-

კაცია“; ვასილ სიმონენკოს დღიურები; ლინა კოსტენკოს სამიზ-
დატური შემოქმედება; ალა ჰორსკას მხატვრობა, როგორც პერ-
ფორმანსი „რკინის ფარდის“ წინააღმდეგ, არასრული ჩამონათ-
ვალა ფაქტებისა და მოვლენებისა, რომლებმაც საბოლოოდ შექ-
მნა ფენომენი „სამოციანელობა“.

ეროვნული იდენტობის არა ძიებასა და განსაზღვრაში,
არამედ დაცვისათვის ბრძოლაში იქმნებოდა ნაშრომები, რომ-
ლებიც „სამოციანელებმა“ ერთგვარი კონსტიტუციის სახით და-
უტოვეს მომავალ თაობას. საკითხის კვლევას ართულებს ის ფაქ-
ტი, რომ თვითონ „სამოციანელთა“ წრეში ცალკე შესწავლას საჭი-
როებს **„ნიუ-იორკის სკოლა“** – უკრაინულ დიასპორაში შემავალი
მწერლები; **„კიევის სკოლა“** – უნივერსიტეტელი ახალგაზრდების
პოეზია და **დისიდენტური მწერლობა**.

რაც მეტად ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლება უკრა-
ინელი ხალხის რუსიფიკაციას, მით უფრო ძლიერდებოდა ნა-
ციონალური თვითმყოფადობისკენ ლტოლვა, იკვეთებოდა ინდი-
ვიდის პრობლემა. სამოციანელები ეროვნული იდენტობის ერთ-
ერთ უმთავრეს მარკერებად მშობლიურ ენასა და ისტორიული
წარსულის შენარჩუნებას მიიჩნევდნენ, მათთან ერთად კი იმ ლი-
რებულებებს (ჰუმანიზმისათვის ბრძოლა, სიკეთისათვის ცხოვ-
რება, სულიერების წინა პლანზე წამოწევა და ა.შ), რაც მათი
აზრით, თანამედროვე უკრაინელ ადამიანს უნდა ჰქონოდა.

Eka Chkheidze

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Soviet Folklore and Socialist Realism

In 1934, the first All-Union Congress of Writers of the Soviet Union was held in Moscow, the congress declared socialist realism as the only artistic and literary creative method of Soviet literature and completely subordinated art to ideology.

The development of Soviet folklore was also based on social realism. Socialist reality was the basis of the repertoire of public speakers. Folk poetry became "national in form, socialist in content" (Stalin).

Soviet folklore was actively involved in public life. On the one hand, it reflected the new existential reality, on the other hand, it paved the way for new forms of life. "Folk creativity is an agitation and propaganda form of life."

The Soviet folk artistic vocabulary became the best means of communist training and education of the masses on the broad path of building a new life. In the age of socialism, the unity of theme and idea brought the Soviet poet and folk Melekse (author-speaker) closer to each other.

The most popular topics became: collective farming, five-year Soviet constitution, factories, etc. The speakers' self-awareness and values have changed. Priests and deacons became the object of satire. After the heroes of the heroic epic, they became the "builders of socialism". The icons of the leaders of the revolution were monumentally reflected (mythologizing Stalin and Lenin). Folk poem and song were saturated with sakhotbo content, acquired the form of ode.

The presentation of the heroic spirit of the Patriotic War and the Red Army is highlighted separately.

Genres of artistic orality were transformed and "evolved". Fairy tales, myths, sayings, lyrical poems, epic works, bylins were created on the Soviet theme... Soviet folklore gave rise to new genres, for example: telling ("Skaz"), which is based on revolutionary themes.

ეკა ჩხეიძე

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

საბჭოთა ფოლკლორი და სოცრეალიზმი

1934 წელს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა, რომელმაც საბჭოთა ლიტერატურის ერთადერთ მხატვრულ-შემოქმედებით მეთოდად სოციალისტური რელიზმი გამოაცხადა და ხელოვნება მთლიანად დაუქვემდებარა იდეოლოგიას.

საბჭოთა ფოლკლორის განვითარებაც სოცრეალიზმის ნიშნით მიმდინარეობდა. სოციალისტური სინამდვილე სახალხო მოქმედების რეპერტუარის დასაყრდენს წარმოადგენდა. ხალხური პოეზია გახდა „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური“ (სტალინი).

საბჭოთა ფოლკლორი აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთი მხრივ, ასახავდა ახალ ყოფას, მეორე მხრივ, გზას უკაფავდა ცხოვრების ახალ ფორმებს. „ხალხური შემოქმედება სააგიტაციო და საპროპაგანდო ფორმაა ცხოვრების“.

საბჭოთა ხალხური მხატვრული სიტყვიერება ახალი ცხოვრების მშენებლობის ფართო გზაზე მასების კომუნისტურად დარაზმვისა და აღზრდის საუკეთესო საშუალებად იქცა. სო-

ციალიზმის ხანაში თემატიკისა და იდეის ერთიანობამ, საბჭოთა პოეტი და ხალხური მელექსე (ავტორი-მთქმელი) ერთმანეთს დაუახლოვა.

ყველაზე აქტიური თემა გახდა: კოლექტიური მეურნეობა, ხუთწლეულები საბჭოთა კონსტიტუცია, ფაბრიკა-ქარხნები და სხვ. შეიცვალა მთქმელთა თვითშეგნება, ღირებულებები. სატირის ობიექტად იქცნენ მღვდლები, დიაკვნები. საგმირო ეპოსის გმირების ბადალი გახდნენ „სოციალიზმის მშენებლები“. მონუმენტალურად აისახა რევოლუციის ბელადების ხატები (სტალინისა და ლენინის მითოლოგიზება). ხალხური ლექსი და სიმღერა სახობო შინაარსით გაჯერდა, ოდას ფორმა შეიძინა.

ცალკე გამოიყოფა სამამულო ომის, წითელი არმიის გმირული სულისკვეთების წარმოჩენა.

გარდაიქმნა და „განვითარდა“ მხატვრული ზეპირსიტყვიერების ჟანრები. საბჭოთა თემატიკაზე შეიქმნა ზღაპრები, მითები, თქმები, ლირიკული ლექსები, ეპიკური ნაწარმოებები, ბილინები... საბჭოთა ფოლკლორმა ახალი ჟანრები წარმოშვა, მაგ.: თქმა („სკაზ“), რომელსაც საფუძვლად რევოლუციური თემატიკა უდევს.

Dodo Chumburidze

The University of Georgia

Georgia, Tbilisi

Scientific Conformism and Ideological

Conjuncture in Georgian Historical Studies of the Stalin Era

Immediately after the occupation of Georgia by Soviet Russia, Georgian historical science began to be ideologized.

The subjection of History to the party requirements in Russia was entrusted to the Socialist Academy of Social Sciences created in

1918 under the leadership of Lenin, and in 1921 the "Red Professor's Institute" was created for the same purpose.

The establishment of historical-party science also began in Georgia, which was promoted by special party schools, and the Institute of Marxism-Leninism was established by the resolution of the Central Committee of the Communist Party on November 12, 1930. Georgian Bolsheviks and academician Niko Mari were approved as members of this institute. Filipe Makharadze became the director of the institute.

The institute was opened on March 10, 1931. In his speech, Filipe Makharadze named the struggle against the anti-Marxist worldview as the goal of the institute. This front was further strengthened by the introduction of the method of socialist realism not only in literature and art, but also in the entire scientific field.

Georgian Soviet historiography began to act in three directions: 1. Marxism as the main ideological base of scientific studies; 2. The theory of class struggle and 3. Stalin's theory about the origin of nations and states.

The Georgian historian should submit to the ideological conjuncture, that is, choose scientific conformism, or resist. In this case, he could not avoid repressions.

The patterns of scientific conformism in Soviet historiography are so great that it damaged the development process of historiography, falsified and exaggerated reality, many historical facts were distorted. As an example of this, the article includes discrediting of the idea of independence by historians, hyperbolization of collectivization and the role of the working class, stigmatization of kulak elements and private owners, statements made against Germany in 1941, as if the occupation and annexation of Georgia by Germany took place in 1918. The development of Georgian historiography took place in the context of ideological conjuncture.

The article includes the speeches of Lavrenti Beria, statements of Tbilisi State University rectors Ivane Vashakmadze and Karlo Oragvelidze against famous Georgian scientists, including Ivane Javakhishvili. Oragvelidze said at a meeting in 1936 that Javakhishvili's sympathies were clearly on the side of the oppressing classes and their representatives, he did not recognize the theory of class struggle, Javakhishvili shared a bourgeois ideological point of view, rejecting Stalin's point of view, "in his opinion, the nation is not a historical category, it has always existed and will exist"...

In 1936, the great scientist could have been arrested and shot for this accusation alone.. Niko Berdzenishvili, Simon Janashia, Simon Kauhchishvili and other scientists tried to protect their colleague. However, caution and fear were still visible in their speeches. Other scientists, apart from Ivane Javakhishvili, were persecuted: Filipe Gogichaishvili, Grigol Tsereteli, Simon Kauhchishvili, Vakhtang Kotetishvili and others, they were considered nationalists, harmful and unreliable elements. Students and graduate students were set against the lecturers.

დოდო ჭუმბურიძე

საქართველოს უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

მეცნიერული კომფორმიზმი და იდეოლოგიური კონიუნქტურა სტალინური ეპოქის ქართულ საისტორიო კვლევებში

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისთანავე დაიწყო ქართული საისტორიო მეცნიერების იდეოლოგიზება.

რუსეთში ისტორიის გაპარტიულება ჯერ კიდევ ლენინის ხელმძღვანელობით 1918 წელს შექმნილ საზოგადოებრივ მეც-

ნიერებათა სოციალისტურ აკადემიას დაევალა, 1921 წელს კი იმავე მიზნით შეიქმნა „წითელი პროფესურის ინსტიტუტი“.

საქართველოშიც დაიწყო ისტორიულ-პარტიული მეცნიერების ჩამოყალიბება, რასაც ხელს უწყობდნენ სპეციალური პარტიული სკოლები, ხოლო საქ. კომპარტიის ც.კ.-ს 1930 წლის 12 ნოემბრის დადგენილებით შეიქმნა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის წევრებად დამტკიცებული იქნენ როგორც ქართველი ბოლშევიკები, ასევე აკადემიკოსი ნიკო მარი. ინსტიტუტის დირექტორი გახდა – ფილიპე მახარაძე.

ინსტიტუტი 1931 წლის 10 მარტს გაიხსნა. სიტყვით გამოსულმა ფილიპე მახარაძემ ინსტიტუტის მიზნად დაასახელა ბრძოლა ანტიმარქსისტული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. ეს ფრონტი კიდევ უფრო განამტკიცა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დანერგვამ არა მარტო ლიტერატურასა და ხელოვნებაში, არამედ მთელ სამეცნიერო სფეროში.

ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ სამი მიმართულებით დაიწყო მოქმედება: 1. მარქსიზმი, როგორც მეცნიერული კვლევების მთავარი იდეოლოგიური ბაზისი; 2. კლასთა ბრძოლის თეორია და 3. სტალინური თეორია ერების და სახელმწიფოების წარმოშობის შესახებ.

ქართველი ისტორიკოსი ან უნდა დამორჩილებოდა იდეოლოგიურ კონიუნქტურას, ანუ მეცნიერული კომფორმიზმი აერჩია, ან წინააღმდეგობა გაეწია. ამ შემთხვევაში ის რეპრესიებს ვერ აცდებოდა.

მეცნიერული კომფორმიზმის ნიმუშები საბჭოთა ისტორიოგრაფიაში იმდენად დიდია, რომ მან დააზიანა ისტორიოგრაფიის განვითარების პროცესი, გააყალბა და გააზვიადა რეალობა, ბევრი ისტორიული ფაქტი დამახინჯდა. ამის მაგალითად სტატიაში მოტანილია ისტორიკოსების მიერ დამოუკიდებლობის იდეის დისკრედიტაცია, კოლექტივიზაციისა და მუშათა კლასის როლის ჰიპერბოლიზაცია, კულაკური ელემენტებისა და კერძო

მფლობელების, სტიგმატიზაცია, გერმანიის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები 1941 წელს, თითქოს 1918 წელს მოხდა გერმანიის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ანექსია. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება იდეოლოგიური კონიუნქტურის კონტექსტით ხდებოდა.

სტატიაში ნაჩვენებია ლავრენტი ბერიას გამოსვლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორების – ივანე ვაშაყმაძისა და კარლო ორაგველიძის განცხადებები ცნობილი ქართველი მეცნიერების, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ. ორაგველიძემ 1936 წლის ერთ სხდომაზე თქვა, რომ ჯავახიშვილის თანაგრძნობა აშკარად მჩაგვრელი კლასებისა და მათი წარმომადგენლების მხარეზე იყო, ის არ ცნობდა კლასთა ბრძოლის თეორიას, ჯავახიშვილი იდგა ბურჟუაზიულ იდეოლოგიურ თვალსაზრისზე, უარყოფდა სტალინის შეხედულებას, „მისი აზრით, ერი არ არის ისტორიული კატეგორია, იგი მუდამ არსებობდა და იარსებებს“...

მარტო ამ ბრალდებისთვის შეიძლება 1936 წელს დიდი მეცნიერი დაეჭირათ და დაეხვრიტათ..ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვა მეცნიერები ცდილობდნენ კოლეგის დაცვას. თუმცა, მათ გამოსვლებში მაინც ჩანდა სიფრთხილე და შიში. ივანე ჯავახიშვილს გარდა, სდევნიდნენ მეცნიერებს: ფილიპე გოგიჩაიშვილს, გრიგოლ წერეთელს, სიმონ ყაუხჩიშვილს, ვახტანგ კოტეტიშვილს და სხვებს, მათ ნაციონალისტებად, მავნე და არასანდო ელემენტებად მიიჩნევდნენ. ლექტორების წინააღმდეგ ამხედრებდნენ სტუდენტებს და ასპირანტებს.

Teimuraz Doiashvili

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

The Dictates of Vulgar Realism and the Modernist Manifesto of Konstantine Gamsakhurdia

In the initial years of Georgia's Bolshevik transformation, Konstantine Gamsakhurdia fearlessly embraced his position, openly aligning himself with idealistic philosophy, mysticism, and the principles of decadent-modernist art, particularly expressionism. This inclination permeated his artistic works and manifested in his collection of essays titled "New Europe" (1928). However, as the Soviet system stabilized in the latter half of the 1920s, a stringent mechanism of ideological control and administration took effect. These circumstances compelled the writer, who had returned from exile in "Solovki" (1927), to exercise great caution.

During an era dominated by politically endorsed aesthetic empiricism and pseudo-documentaryism, officially supported by the new government, defending modernist ideals seemed akin to senseless self-sacrifice. Faced with this predicament, Konstantine Gamsakhurdia resorted to a clever stratagem. In his 1930 publication, "Left Eye," he included a short parabolic novel titled "The Wisdom of Lies." Through this work, he championed the rights of creative imagination and the realm of "lies" against the dictates of vulgar realism. Gamsakhurdia turned to the classical heritage as a companion and shield in this perilous game. Under the guise of establishing a connection with Sul Khan-Saba Orbelian's book of fables, he crafted a modernist manifesto intricately intertwined with the anti-realist concepts of Friedrich Nietzsche and Oscar Wilde.

Therefore, Konstantine Gamsakhurdia's novella, "The Wisdom of Lies," not only explores the search for national roots within modernist aesthetics but also stands as a remarkable testament to the preservation of creative freedom under totalitarian pressure within Georgian literature of the 20th century.

თეიმურაზ დოიაშვილი

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

ვულგარული რეალიზმის დიქტატი და კონსტანტინე გამსახურდიას მოდერნისტული მანიფესტი

საქართველოს ბოლშევიზაციის პირველ წლებში კონსტანტინე გამსახურდია ღიად გამოთქვამდა თავის პოზიციას – არ მალავდა სიახლოვეს იდეალისტურ ფილოსოფიასა და მისტიკასთან, დეკადენტურ-მოდერნისტული ხელოვნების პრინციპებთან, განსაკუთრებით – ექსპრესიონიზმთან. ეს აისახა როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ისე ესეების კრებულში „ახალი ევროპა“ (1928). 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საბჭოთა წყობილების სტაბილიზაციასთან ერთად, ამოქმედდა იდეოლოგიური კონტროლისა და ადმინისტრირების მკაცრი მექანიზმი, რაც „სოლოვკებში“ გადასახლებიდან დაბრუნებულ (1927) მწერალს დიდ სიფრთხილეს კარნახობდა. პოლიტიკურად სანქცირებული ესთეტიკური ემპირიზმისა და ფსევდოდოკუმენტალიზმის ხანაში, რასაც ოფიციალურად უჭერდა მხარს ახალი ხელისუფლება, მოდერნისტული იდეალების დაცვა უაზრო თავგანწირვას უდრიდა.

არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, კონსტანტინე გამსახურდიამ მახვილგონივრულ ხერხს მიმართა – 1930 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „მარცხენა თვალით“ შეიტანა მცირე იგავური ნოველა „სიბრძნე სიცრუისა“, რომელშიც ვულგარული რეალიზმის დიქტატის პირობებში შემოქმედებითი ფანტაზიის, გამონაგონის, „სიცრუის“ უფლებებს იცავდა. წამოწყებულ სახიფათო თამაშში დამხმარედ და ფარად კ. გამსახურდიამ კლასიკურ მემკვიდრეობას, მის ავტორიტეტს მოუხმო – სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა წიგნთან კავშირის დეკლარირების საფარქვეშ შექმნა მოდერნისტული მანიფესტი, სიღრმისეულად დაკავშირებული ფრიდრიხ ნიცშესა და ოსკარ უაილდის ანტი-რეალისტურ კონცეფციებთან.

სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“, მისი ჟანრული სპეციფიკა – გამონაგონით (სიცრუით) სიბრძნის გადმოცემა – მოდერნისტი მწერლის მიერ ინტერპრეტირებულია, როგორც გამონაგონის („სიცრუის“) დიქტატით წარმართული შემოქმედებითი აქტი, რომლის მიზანია მშვენიერების („სიბრძნის“) შექმნა. ეს არის ახალი, „მითოსს მოკლებული დროის“ ფორმულა-პანაცეა – მოდერნისტული ესთეტიკის „სიბრძნე სიცრუისა“.

ამრიგად, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „სიბრძნე სიცრუისა“ მოდერნისტული ესთეტიკის ეროვნული ძირების ძიების სურვილსაც ცხადყოფს და XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში არსებობს, როგორც ტოტალიტარული წნეხის პირობებში შემოქმედებითი თავისუფლების დაცვის ღირსშესანიშნავი ფაქტი.

Roman Dzyk, Liliia Shutiak

Yuriy Fedkovych Chernivtsi National University

Ukraine, Chernivtsi

The Reverse Side of the Socialist Realist Canon: the Experience of Ukrainian Literature

Although the concept of literary canon originates from a completely different tradition, it turned out to be surprisingly organic for description of what has been formed for a long time through totalitarian state mechanisms, in particular, in Ukrainian Soviet literature. Such canon is extremely structured, but not frozen because it experienced transformations depending on changes in the “party line”. The totalitarian nature of this canon meant that nothing could exist outside of it. What was outside these limits was either forbidden or condemned (and often it was not in the metaphorical, but quite literal sense of a word). This is exactly what we mean by the flip side of a socialist realist canon. The collapse of the totalitarian state, with all its supervisory and punitive mechanisms, seemed to lead to the fact that the reverse side would automatically turn into the front side. At least as a research object it’s worthy of due attention. It is about the comeback from oblivion of forbidden and undeservedly marginalized authors and texts. And we have been observing such processes for the last thirty years. At the same time, the work of once “canonical” authors is undergoing a regular reconsideration. In it, the emphasis shifts to the same reverse side, which was previously branded as certain deviations from the only correct path. In both cases, two demonstrative examples of the poets Pavlo Tychyna and Vasyl Stus can be given. On the other hand, we can state a certain vitality of the Ukrainian socialist realist canon in various guises until our time. As the latest studies show, it is impossible to fully understand its reverse side without a thorough study of this phenomenon.

Ketevan Elashvili

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

The Artistic Haze of Social Realism (Konstantine Gamsakhurdia's "Father of the People ")

During the most fatal period of the heyday of Bolshevism in Georgia, that is, in the 30s of the 20th century, there was practically no writer left who did not pay "tribute" to the "Red Minotaur" in some form. Among them was Konstantine Gamdakhurdia, who was ordered to create an artistic trilogy depicting the biography of Stalin in 1937-1939 by the direct order of Lavrenti Beria.

The presented paper analyzes tendencies of Utopianism in the Akaki Belashvili and Demna Shengelaia`s texts written by the esthetics of socialist realism. Both selected writers were members of The Futuristic groups in the 20th years in the past century, but later they had to go on to socialist realism and created texts inspired by its esthetics. The famous cultural researcher Boris Groys mentioned that, the fact, the representatives of Avang-Garde in the Soviet space smoothly transmitted to the aesthetics of socialist realism, caused by the fact that both of them are filled with the utopian spirit and tried to construct a dream future here and now. We analyze how these tendencies are represented in the novels created according to the socialist realism esthetics by Demna Shenegelaia and Akaki Belishvili.

მზია ჯამაგიძე

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი*

საქართველო, თბილისი

უტოპიანისტური ქართულ სოცრელისტურ მწერლობაში

მოხსენების მიზანია, გაანალიზოს უტოპიანისტური ტენდენციები ქართულ სოცრელისტურ მწერლობაში. უფრო კონკრეტულად აკაკი ბელიაშვილისა და დემნა შენგელიას პროზაში. შემოქმედების საწყისი ეტაპზე, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, ეს მწერლები ფუტურისტულ ჯგუფს წარმოდგენდნენ, მოგვიანებით კი მოუწიათ საბჭოთა ხელოვანების რიგებში გადაინაცვლება და სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკით გამსჭვალული ნაწარმოებების შექმნა. კულტურის მკვლევარი ბორის გროისი საბჭოთა ავანგარდისტების მეტნაკლებად უმტკივნეულო შემოქმედებით ტრანზიციას ავანგარდიდან სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკაში ხსნის იმით, რომ ორივე მიმდინარეობა გამსჭვალულია უტოპიანისტური სულისკვეთებით და მცდელობით, წარმოისახონ და შემქნან საოცნებო მომავალი აქ და ახლა. მოხსენებაში განვიხილავთ კონკრეტულად როგორ წარმოჩნდება ეს ტენდენციები ჩვენ მიერ შერჩეული მწერლების სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკით შექმნილ ნაწარმოებებში.

Otar Janelidze

Gori State University

Ilia State University, Institute of Political Science

Georgia, Tbilisi

Handbook of Communists

(To the 85th Anniversary of the Publication of “History of the All-Union Communist Party (Bolsheviks)” Short Course)

History was one of the powerful ideological foundations of the Bolshevik regime. The official Soviet concept of history, which was approved by V. Lenin, was developed by Academician Nikolai Pokrovsky. Pokrovsky was the leader of the historical scholarship in the 1920s USSR and ‘the head of the Marxist historical school’.

Mythologized history according to the Soviet model was of great importance not only in the education of a new Soviet person but also in the formation of Soviet identity. Historical science was called upon to contribute to the formation of class social consciousness. The book „History of the All-Union Communist Party (Bolsheviks): Short Course“ played a special role in this respect, which was published in 1938.

The book was written by several historians and high-ranking Bolsheviks (V. Knorin, P. Pospelov, E. Yaroslavsky), but Stalin is considered as its author, who owns the corrections in the text and the chapter on dialectical materialism.

The Short Course was printed 301 times during Stalin's lifetime, and 42,816,000 copies were published in Russian alone. In Georgian this book was published nine times with a total circulation of 245,000 copies.

Since the late 1930s, the „Short Course“ has become an indispensable textbook for both listeners of party schools and university students.

It was believed that the „Short Course“ made a great contribution to the „creative development of Marxism-Leninism and the strengthening of Soviet patriotism“. In fact, this book deprived historical science of common sense and an objective approach, reduced its research component, and dogmatism prevailed for a long time.

The attitude to the „Short Course“ in different periods was different. For almost two decades after its publication, the work was considered „the ideal textbook of Bolshevism“, the bible of the communists, and the handbook book.

At the XX Congress of the CPSU, the „Short Course“ was declared bankrupt. Under L. Brezhnev, the book underwent a kind of rehabilitation, and in the publications of the perestroika period, it was dubbed as a fake historical text of a conjunctive nature.

ოთარ ჯანელიძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის

ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

კომუნისტა სამაგიდე წიგნი

(„საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია:

მოკლე კურსის“ გამოცემის 85 წლისთავისათვის)

ისტორია იმთავითვე ბოლშევიკური რეჟიმის ერთ-ერთი მძლავრ იდეოლოგიურ დასაყრდენს წარმოადგენდა. ისტორიის საბჭოთა ოფიციალური კონცეფცია, რომელიც მოწონებული იყო ვ. ლენინის მიერ, აკადემიკოსმა ნიკოლაი პოკროვსკიმ შეიმუშავა. პოკროვსკი 1920-იან წლებში სსრკ-ში საისტორიო მეცნიერების ლიდერი და „მარქსისტული ისტორიული სკოლის ხელმძღვანელი“ იყო.

საბჭოურ თარგზე გამართულ, მითოლოგიზირებულ ისტორიას არა მარტო ახალი, საბჭოთა ადამიანის აღზრდაში, არამედ საბჭოთა იდენტობის ფორმირებაშიც დიდი მნიშვნელობა ეკისრებოდა. საისტორიო მეცნიერება მოწოდებული იყო, თავისი წვლილი შეეტანა კლასობრივი საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი შეასრულა წიგნმა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი“, რომელიც 1938 წელს გამოქვეყნდა. წიგნი რამდენიმე ისტორიკოსმა და მაღალი თანამდებობის ბოლშევიკმა (ვ. კნორინი, პ. პოსპელოვი, ე. იაროსლავსკი) დაწერა, მაგრამ მის ავტორად მაინც სტალინი ითვლება, რომელსაც ეკუთვნის შესწორებები ტექსტში და თავი დიალექტიკური მატერიალიზმის შესახებ.

„მოკლე კურსი“ სტალინის სიცოცხლეში 301-ჯერ დაიბეჭდა და მხოლოდ რუსულ ენაზე 42 816 000 ეგზემპლარი გამოიცა. საქართველოში ეს წიგნი ქართულ ენაზე ცხრაჯერ გამოქვეყნდა საერთო ტირაჟით – 245 ათასი ცალი.

1930-იანი წლების ბოლოდან „მოკლე კურსი“ აუცილებელი სასწავლო რესურსი გახდა, როგორც პარტიული სკოლების მსმენელებისათვის, ისე უმაღლესი სკოლის სტუდენტებისათვისაც.

მიჩნეული იყო, რომ „მოკლე კურსმა“ უდიდესი წვლილი შეიტანა „მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებით განვითარებასა და საბჭოთა პატრიოტიზმის განმტკიცების საქმეში“. სინამდვილეში, ამ წიგნმა საისტორიო მეცნიერებას გამოაცალა საღი აზრი და ობიექტური მიდგომა, შეამცირა მასში კვლევა-ძიებით კომპონენტი და ხანგრძლივი დროით დოგმატიზმი გააბატონა.

„მოკლე კურსისადმი“ დამოკიდებულება სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარი იყო. გამოცემიდან თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში ნაშრომი „ბოლშევიზმის იდეალურ სახელმძღვანელოდ“, კომუნისტების ბიბლიად და სამაგიდე წიგნად ითვლებოდა. სკკპ XX ყრილობაზე, „მოკლე კურსი“ გაკოტრებულად

გამოცხადდა. ლ. ბრეჟნევის მმართველობის დროს, ნაშრომმა ერთგვარი რეაბილიტაცია განიცადა, გარდაქმნის პერიოდის პუბლიკაციებში კი იგი კონიუქტურული ხასიათის გაყალბებულ ისტორიულ ტექსტად მოინათლა.

Grigol Jokhadze

Ilia State University

Georgia, Tbilisi

Unconscious Passages and Belated Resonans

(Osip Mandelstam's essay "Homecoming")

Osip Mandelstam's essay "Homecoming" has never been the object of the Georgian Literary criticism. It is all the more appropriate to say that the both essays – "Homecoming" as well as "Mensheviks in Georgia" – additionally reveal several proverbial layers of his artistic and personal portrait.

Mandelstam, as a contemplator, is always ironic. One may think that he is unable to write without irony or even sarcasm at all. His eulogy is always abusive in fact and – vice versa. Saving the lofty aims, his idea is nearly always articulated by the negative means. It gives him a feeling of satisfaction and not just aesthetically. It can be assumed that, this is how the protective mechanism of his psyche works. Its ticking, in the long run, determines his artistic constitution, surely, with the different form, quality and intensiveness. One may think that such way he utilizes the Modernistic standard when the irony is the resource of abstracting from his own conscience, estrangement from the social reality and self-profoundness. In terms of political preferences or belonging, the poet supports the Soviet government and criticizes everything that contradicts it. In this case, the object of his

vilification is Georgia. His behavior is determined by the political conjuncture, the service of which the poet does not disdain, but uses it rather profitably.

Seemingly, we deal with the stage of Mandelstam's biography when he is not an archetype of the Poet but just a human being.

გრიგოლ ჯობაძე

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

გაუცნობიერებელი პასაჟები და დაგვიანებული რეზონანსი (ოსიპ მანდელშტამის „დაბრუნება“)

ოსიპ მანდელშტამის ნარკვევ „დაბრუნებას“ ქართული სალიტერატურო კრიტიკა არასდროს გამოჰხმაურებია. მით უფრო საშურია იმის თქმა, რომ ისიცა და მასზე დაფუძნებული მეორე ნარკვევიც („მენშევიკები საქართველოში“), რომელიც ცალკე კვლევას იმსახურებს, მანდელშტამის შემოქმედებითი და პიროვნული პორტრეტის რამდენიმე ცნობილ პლასტს მორიგად ათვალსაჩინოებს:

მანდელშტამი, როგორც მჭვრეტელი, ყოველთვის ირონიულია. შეიძლება იფიქრო კიდეც, რომ მას უირონიოდ (ხშირად – უსარკაზმოდაც) წერა საერთოდ არ შეუძლია. საქებარი ფორმა სინამდვილეში გასაკვიცხია, ან – პირიქით. მისი თანხმობა თითქმის ყოველთვის უარყოფაა, და მისი „არას“ მიღმა ყოველთვის „დაიხ“ კრთის ხოლმე. რა კეთილშობილური მიზანიც უნდა ამომრავებდეს, იდეა ყოველთვის უარყოფითი საშუალებებით გამოითქმის. ეს მას დაკმაყოფილების განცდას უჩენს, და არა – მხოლოდ ესთეტიკური დაკმაყოფილებისა. ასე „მუშაობს“, ალბათ, მანდელშტამის ფსიქიკის თავდამცავი მექანიზმი. მისი წიკწიკი

სამწერლო კონსტიტუციასაც განაპირობებს, ცხადია, სავსებით არაერთგვაროვანი ფორმით, ხარისხითა და ინტენსივობით.

არ გამოირიცხება მოდერნისტული „სტანდარტისადმი“ ერთგულებაც, როცა ირონია სამყაროსგან საკუთარი ცნობიერების აბსტრაჰირების, სოციალური სინამდვილისაგან გაუცხოებისა და სუბიექტური თვითჩაღრმავების საშუალებაა.

პოლიტიკური პრეფერენციისა თუ კუთვნილების თვალსაზრისით, პოეტი თანაუგრძნობს საბჭოთა ხელისუფლებას და კილავს ყველაფერს, რაც მას ეწინააღმდეგება: ამჯერად მისი სამიზნე დამოუკიდებელი საქართველოა. მის ქცევას პიროვნულ სტანდარტებთან ერთად განაპირობებს პოლიტიკური კონიუნქტურაც, რომლის მსახურებასაც პოეტი არ უცხოობს. პირიქით: სარფიანად იყენებს.

როგორც ჩანს, ეს მანდელშტამის ბიოგრაფიის იმ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ, როცა პოეტი ჯერ ისევ ადამიანია და არა – „პოეტის არქეტიპი“.

Benedikts Kalnačs

*Institute of Literature, Folklore and Art, University of Latvia
Latvia, Riga*

Imposed Transformations: Socialist Realism and the Changing Landscapes of Identities

The doctrine of socialist realism, imposed on all literatures in the sphere of political and ideological influence of the Soviet state, radically changed the social and cultural climate of the repressed societies. The scholarly discourse was obliged to follow the prescriptions that did not pay any respect to the traditions of literary studies and the humanities

more generally. In my paper, I will trace the changing meanings of the term 'realism' focusing on Latvian examples before and during the communist rule from a regional and comparative perspective. In Latvian intellectual circles, realism became a topical issue in the last decades of the nineteenth century. The discussions focused on substantial aspects of representation that were linked to the search for an aesthetics that would open up specific possibilities for different arts in their attempts to respond to vital questions of contemporary life. These debates put realism in the healthy context of various different aesthetic trends and stimulated search for particularities of realist representation in literature, theatre, painting, etc. The situation in Latvia changed completely after the Soviet occupation of 1940. The ready-made and imported socialist realist doctrine prioritized the ideological value of art. Therefore, the term 'socialist' put its realist counterpart completely in the shadow. The two concepts, formally unified in the newly created term 'socialist realism', were impossible to match without totally distorting the concept of realism. The strong claims of the ideological importance of culture did not allow for specificity of different arts that were supposed to follow the same aims. The anti-colonial protest and recovery of broad realist contexts was gradually made possible by moving along two different paths, either taking an attempt to separate realism from its 'socialist' aspects, or, alternatively, trying to infiltrate anti-realist art into the seemingly stable but gradually crumbling citadel of socialist realism.

Lia Karichashvili

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

“Knight in the Panther’s Skin” in the “Light” of Socialist Realism

Socialist realism epoch has read the classical literature and the “Knight in the Panther’s Skin”, from the specific point of view, relevant to it. Primarily, it was necessary to place Rustaveli’s worldview and religious faith into the suitable frame, excluding his Orthodox Christian principles and replacing them with theism, pantheism, solaricism or such other philosophical-religious movements that were close to materialism and socialist realism principles. In the Rustaveli studies of that period, there was apparent pluralism of views, with respect of the poet’s worldview and for socialist realism, the most acceptable and popular was the view that Rustaveli was materialist, free of any religion.

As the main sign of his progressive thinking, they regarded “rejection of the medieval religious darkness”, fight for happiness in this world, brotherhood, friendship etc. Rustaveli was regarded as he proponent of the worldly live. Actually, this was inadequate interpretation of the love conception provided in the prologue an storyline of the poem, as Rustaveli “needed” worldly love (“earthly feelings”(21)) as imitation, embodiment (“Those who don’t sin but love from afar display the best intention”(21) of divine love, as it is hard to directly discuss (“very hardest to describe, define or extol”). Actually, in this part of the prologue, there is a hint of allegoric narrative of the poem. Trend of the “translation” / comments by Vakhtang IV, the first publisher of the “Knight in the Panther’s Skin” is to emphasize not only

“spousal” but also divine teaching and find Christian basis for Rustaveli’s love, is just emphasizing of the allegoric aspect of the poem, though, this vision of the King-commenter was neglected and it was explained as intentional “inaccuracy”, intended as excuse in the view of religious public.

Methodology of socialist realism was applied not only for studying and teaching of the motifs, characters, certain passages and realities in the “Knight in the Panther’s Skin”, but also it was used for illustrating the published books. This was a new stage in the history of illustrations to the “Knight in the Panther’s Skin”.

It should be also mentioned that the celebration events dedicated to Rustaveli’s 750th (1937) and 800th (1966) birthdays (translations of the poem etc.) have greatly contributed to popularization of the “Knight in the Panther’s Skin” all over the world.

ლია კარიჭაშვილი

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

„ვეფხისტყაოსანი“ სოციალისტური რეალიზმის „შუქზე“

სოციალისტური რეალიზმის ეპოქამ თავისებური, მისთვის რელევანტური კუთხით წაიკითხა კლასიკური ნაწარმოებები და მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“. ცხადია, პირველ რიგში, რუსთაველის მსოფლმხედველობასა და რელიგიურ მრწამსს სჭირდებოდა სათანადო ყალიბში მოქცევა, რაც გამორიცხავდა მის ორთოდოქსულ ქრისტიანულ საფუძვლებს და ჩაანაცვლებდა თეიზმით, პანთეიზმით, სოლარიზმითა თუ სხვა ისეთი ფილო-

სოფიურ-რელიგიური მიმდინარეობებით, რომლებიც ახლოს იყო მატერიალიზმთან და სოციალისტური რეალიზმის პრინციპებთან. ამ ეპოქის რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში თვალსაჩინოა აზრთა პლურალიზმი პოეტის მსოფლმხედველობასთან დაკავშირებით. სოციალისტური რეალიზმისთვის ყველაზე მისაღები და პოპულარულია თვალსაზრისი, რომ რუსთაველი მატერიალისტია და თავისუფალია ყოველგვარი რელიგიისაგან.

პოეტის პროგრესული აზროვნების უმთავრეს გამოხატულებად მიჩნეული იყო მის მიერ „შუასაუკუნეობრივი რელიგიური სიბნელის უარყოფა“, ამქვეყნიური ბედნიერებისთვის ბრძოლა, ძმობა, მეგობრობა და სხვა. რუსთაველი მიწიერი სიყვარულის აპოლოგეტად დასახელდა, რაც, რეალურად, იყო პოემის პროლოგსა და სიუჟეტში მოცემული მიჯნურობის კონცეფციის დამახინჯებული ინტერპრეტაცია, რამდენადაც რუსთაველს ამქვეყნიური სიყვარული („ხელობანი ქვენანი“ „სჭირდება“ როგორც ბაძვა, განსახოვნება („მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან“ (21), საღვთო სიყვარულისა, რადგანაც უშუალოდ მასზე საუბარი ძნელია („ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან“ (21). ფაქტობრივად, პროლოგის ამ ნაწილში მინიშნებაა პოემის ალეგორიულ ნარატივზე. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამომცემლის, ვახტანგ VI-ის, „თარგმანის“/კომენტარების ტენდენცია, წარმოაჩინოს პოემაში არამხოლოდ „საცოლქმრო“, არამედ საღვთო სწავლებაც და რუსთველურ მიჯნურობას ქრისტიანული საფუძველი მოუნახოს, სწორედ პოემის ალეგორიული პლასტის ხაზგასმაა, თუმცა მეფე-კომენტატორის ეს ხედვა უგულვებელყოფილ იქნა და აიხსნა როგორც შეგნებულად დაშვებული „უზუსტობა“, რომლის მიზანი იყო რუსთაველის გამართლება სასულიერო საზოგადოების თვალში.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდოლოგიით ხდებოდა არამხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ მოტივთა, პერსონაჟთა, ცალკე-

ულ პასაჟთა და რეალიათა კვლევა და სწავლება, არამედ მისი გამოცემების ილუსტრირებაც. ეს იყო ახალი ეტაპი „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების ისტორიაში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსთაველის დაბადებიდან 750 (1937 წ.) და 800 (1966 წ.) წლისთავის საიუბილეო ღონისძიებებმა (პოემის თარგმანები და სხვა) დიდად შეუწყო ხელი „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციას მსოფლიო მასშტაბით.

Nino Kavtaradze

*Ph.D. Student, Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State
University
Georgia, Tbilisi*

Iconography of the Labour Woman in the Soviet Cinema of the 1930s

In the 1930s, in Soviet cinema socialist realism was established. It was a universally accepted doctrine, a form of thinking and a framework of party ideology, in which all directions of art were united: including cinema. The latter best expressed the main mission and goal of the Soviet totalitarian system: to create a new reality on the screen and, accordingly, a "new Soviet man". The revolutionary pathos of the Soviet films in 1920s and the visual metaphors of Marxist ideology were replaced by the film language of social realist cinema of the 1930s, which became "mythological realism" in the second half of the decade.

"Unlike social cinema, Soviet literature of the 1930s more or less successfully allowed the 'conformist principle' to be preserved. Not a single director could avoid Stalin's mythology" (Lilya Mamatova "The Models of the Soviet Cinema 1930s") Illusory reality in Soviet films

meant the replacement of reality by a fake, a surrogate. In this new existence, a working person appears on the vanguard, who was supposed to build a socialist paradise according to the new course of the Soviet economy. In the visual narrative of the party rhetoric of the 1930s, the Soviet working woman appears as a main actor.

The Soviet system constantly conducted ideological campaigns in order to increase the productivity of women's labor and engage them in traditional male activities and as a result, expand the industrial workforce built on the military principle. The wide range of gender roles were presented in the totalitarian state (grandmothers, mothers, wives, young girls...) and participated with equal success in collectivization or in the process of collective work.

And while the directors were creating a screen allegory of a happy pastoral idyll, an earthly paradise ("Orange Valley" 1937, "Party Ticket" 1936, "Volga-Volga" 1938) women had to work/fight to save themselves and their families under cabal circumstances! A clear expression of the gap between "Stalinist mythology" and the real life is the 13,754 mass demonstrations of peasants throughout the Soviet Union in the 1930s, out of which 3,712 took place with the active participation and leadership of women.

The "gender emancipation" of women was sublimated in the context of labor in the Soviet cinema of the 1930s. The "new social body" competed with a man driving a tractor ("Tractorists" 1939) or flying an airplane ("Flying Painter" 1937)

In 1935, a year before the adoption of the new Soviet constitution, a thematic plan was published on how the representation of working women should be in Soviet cinema. It was a concept of a (masculine and non-feminine) woman created from an extremely patriarchal perspective. She becomes a passive object of the male gaze in a linearly structured frame composition. In the films of the 1930s, the working woman (women's community) represents a kind of visual

element and narrative construction, and due to the specifics of sound cinema, it prompts the Soviet female viewer to identify with the character, while the man makes the woman "under his gaze" through the voyeuristic-narcissistic functions assigned to him.

In general, in socio-realistic art of the 1930s and including cinema, the major passage is the visual iconography of the Soviet working woman and Stalin. Films depict how it appears to us "The Great Chief" in the role of a caring father, a kind teacher, a supremely wise deity, and what is the mixed attitude of women towards him.

How often is the collective of women worker eroticized both: symbolically and visually? How does a woman become an object of desire in Soviet cinema of the 1930s? (Lacan) In what artistic form(s) does their sexual energy accumulate in labor? (Freud) Do woman characters become voyeuristic-narcissistic "victims of the gaze" given to patriarchal culture (Laura Mulvey)? To what extent does the Soviet cinema, created in the heart of the "Stalin myth", allow us to criticize and analyse in the discourse of feminist and/or psychoanalytical film theories? My conference paper includes the answers to these questions and the analysis of the issues.

ნინო ქავთარაძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

შშრომელი ქალის იკონოგრაფია 1930-იანი წლების საბჭოთა კინოში

1930-იან წლებში საბჭოთა კინოში სოციალისტური რეალიზმი მკვიდრდება. ეს იყო საყოველთაოდ მიღებული დოქტრინა, აზროვნების ფორმა და პარტიული იდეოლოგიის ჩარჩო, რომელშიც ერთიანდებოდა ხელოვნების ყველა მიმართულება,

მათ შორის-კინო. ეს უკანასკნელი ყველაზე უკეთ გამოხატავდა ტოტალიტარული სისტემის მთავარ მისიას და მიზანს: ეკრანზე შეექმნა ახალი რეალობა და შესაბამისად „ახალი საბჭოთა ადამიანი“. 1920-იანი წლების საბჭოთა ფილმების რევოლუციური პათოსი და მარქსისტული იდეოლოგიის ვიზუალური მეტაფორები, 1930-იან წლებში სოცრეალისტურმა კინოენამ ჩაანაცვლა, რომელიც ათწლეულის მეორე ნახევარში „მითოლოგიურ რეალიზმად“ იქცა.

„1930-იანი წლების საბჭოთა ლიტერატურა მეტ-ნაკლები წარმატებით იძლეოდა იმის საშუალებას, რომ „კონფორმისტული პრინციპი“ დაცული ყოფილიყო, განსხვავებით კინოსგან. ვერც ერთმა რეჟისორმა ვერ აარიდა თავი სტალინის მითოლოგიას“ (ლილია მამატოვა „30-იანი წლების კინოს მოდელები“) ილუზორული რეალობა, საბჭოთა ფილმებში სინამდვილის – ყალბით, სუროგატით ჩანაცვლებას გულისხმობდა. ამ ახალ ყოფაში ავანსცენაზე მშრომელი ადამიანი გამოდის, რომელსაც საბჭოთა ეკონომიკის ახალი კურსის მიხედვით სოციალისტური სამოთხე უნდა აეშენებინა. 1930-იანი წლების პარტიული რიტორიკის ვიზუალურ ნარატივში კი საბჭოთა მშრომელი ქალი მთავარ აქტორად გვევლინება.

ქალის შრომის პროდუქტიულობის გაზრდისთვის საბჭოთა სისტემა მუდმივად ეწეოდა იდეოლოგიურ კამპანიებს, რათა ისინი ტრადიციულ მამაკაცურ საქმიანობებში ჩაერთო და სამხედრო პრინციპზე აგებული ინდუსტრიული სამუშაო ძალა გაეზევრებინა. ტოტალიტარულ ყოფაში წარმოდგენილი გენდერული როლების ფართო სპექტრი (ბებიები, დედები, ცოლები, ახალგაზრდა გოგონები...) თანაბარი წარმატებით მონაწილეობდნენ კოლექტივიზაციის პროცესსა თუ საკოლმეურნეო შრომაში. და მაშინ, როცა რეჟისორები ეკრანზე ბედნიერი პასტორალური იდილის, მიწიერი სამოთხის ეკრანულ ალეგორიას ქმნიდნენ („ნარინჯის ველი“ 1937, „პარტიული ბილეთი 1936, „ვოლგა-ვოლგა“

1938) ქალებს კაბალურ პირობებში საკუთარი თავისა და ოჯახების გადასარჩენად უწევდათ შრომა/ბრძოლა! „სტალინურ მიტოლოგიასა“ და რეალურ ცხოვრებას შორის არსებული უფსკრულის მკაფიო გამოხატულებაა, 1930-იან წლებში საბჭოთა კავშირის მასშტაბით გლეხთა 13754 მასობრივი გამოსვლა, საიდანაც 3712 სწორედ ქალთა აქტიური მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მოხდა.

ქალების „გენდერული ემანსიპაცია“ 1930-იანი წლების საბჭოთა კინოში შრომის კონტექსტში სუბლიმირდა. „ახალი სოციალური სხეული“ მამაკაცს ტოლს არ უდებდა ტრაქტორის ტარებასა („ტრაქტორისტები“ 1939) თუ თვითმფრინავის მართვაში („მფრინავი მღებავი“ 1937)

1935 წელს, ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებამდე ერთი წლით ადრე, თემატური გეგმა ქვეყნდება თუ როგორი უნდა ყოფილიყო მშრომელი ქალის რეპრეზენტაცია საბჭოთა კინოში. ეს იყო უკიდურესად პატრიარქალური პერსპექტივიდან შექმნილი (მასკულინური და არაფემინური) ქალის კონცეფცია, რომელიც სწორხაზოვნად სტრუქტურირებულ კადრის კომპოზიციაში მამაკაცური მზერის პასიური ობიექტი ხდება. 1930-იანი წლების ფილმებში მშრომელი ქალი (ქალთა თემი) წარმოადგენს ერთგვარ ვიზუალურ ელემენტს და ნარატიულ კონსტრუქციას, ხმოვანი კინოს სპეციფიკიდან გამომდინარე კი – საბჭოთა ქალ მაყურებელს პერსონაჟთან იდენტიფიკაციისკენ უბიძგებს, მაშინ, როცა მამაკაცი მისთვის მინიჭებული *ვუაიერისტულ*-ნარცისული ფუნქციების მეშვეობით ქალს საკუთარი „მზერის ქვეშ“ აქცევს.

ზოგადად, 1930-იანი წლების სოცრეალისტურ ხელოვნებაში და მათ შორის კინოში, მაგისტრალური პასაჟია საბჭოთა მშრომელი ქალისა და სტალინის ვიზუალური იკონოგრაფია. ფილმებში ასახულია, თუ როგორ გვევლინება „დიდი ბელადი“ მზრუნველი მამის, კეთილი მასწავლებლის, უზენაესი ბრძენი

ღვთაების როლში და როგორია ქალების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მის მიმართ.

რამდენად ხშირად ხდება მშრომელ ქალთა კოლექტივი ეროტიზებული როგორც სიმბოლურად, ისე ვიზუალურად? როგორ ხდება 1930-იანი წლების საბჭოთა კინოში ქალი სურვილის ობიექტი? (*ლაკანი*), რა მხატვრული *ფორმ(ებ)*ით აკუმულირდება მათი სექსუალური ენერგია შრომაში (ფროიდი) და რამდენად ხშირად ხდებიან პერსონაჟი ქალები პატრიარქალური კულტურისთვის მინიჭებული *კუაიერისტულ-ნარცისული* „მზერის მსხვერპლნი“ (*ლორა მალვი*)? რამდენად გვაძლევს „სტალინური მითოსის“ წიაღში შექმნილი საბჭოთა კინო ფემინისტური ან/და ფსიქოანალიტიკური *კინოთეორიების* დისკურსში კრიტიკისა და ანალიზის საშუალებას? სწორედ ამ კითხვებზე პასუხებსა და საკითხების ანალიზს მოიცავს ჩემი საკონფერენციო ნაშრომი.

Teo Khatiasvili

*Ilia State University
Georgia, Tbilisi*

"Victory Over the Sun" – a New Reality Built with Social Realist "Iconography"

Boris Groys, in one of his first and most influential books, *Gesamtkunstwerk Stalin*, argues a assertive and controversial view of art history, according to which social realism is not the opposite of the Soviet avant-garde, but its ideological successor, since both are built around the idea of a new human and a new reality, both aim to transform the human mind (thoughts, desires), so it is committed not to please the masses, but to create a mass that will like him.

Even before the revolution, Russian futurists will announce the "final victory over the sun" – that is, the victory over the sun's rays, over nature, which will be replaced by electronic light; This victory is the condition of the new reality where everything natural will be replaced by the artificial. Social realist art also follows a triumphant line of victory over nature, which can be read as overcoming backwardness, poverty, illiteracy, prejudices and obscurantism, which can be considered a type of Soviet modernism. Instead of the form-oriented avant-garde, social realism offers content-oriented ("socialist in content") art, which represents a radical solution to the idea of creating a new human.

Nutsa Ghogoberidze's "Uzhmuri" (1934) is the best example of "transitivity" from one stage to another, in which the expressive visual view of the avant-garde director and the propagandist narrative of the new, socialist realist art are layered together; film, which passed strict censorship, but still remains as a contradictory text, where the pathos of the victory of the new man and the subjugation of nature reflects the process of the disappearance and erasure of place, memory, identity.

თეო ხატიაშვილი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

**„მზეზე გამარჯვება“ –
სოცრეალისტური „იკონოგრაფიით“ აშენებული
ახალი რეალობა**

ბორის გროისი თავის ერთ-ერთ პირველ და გავლენიან წიგნში „გეზამტკუნსტვერკ-სტალინი“ (Gesamtkunstwerk Stalin) გამოთქვამს თამამ და ხელოვნებათმცოდნეობაში დამკვიდრებული შეხედულების საწინააღმდეგო მოსაზრებას, რომლის მიხედვი-

თავ სოცრეალიზმი არა საბჭოთა ავანგარდის საპირისპირო მოვლენა, არამედ მისი იდეური მემკვიდრია, რადგან ორივე მათგანი ახალი ადამიანისა და ახალი რეალობის იდეის გარშემო იქმნება, ორივე მიზნად ისახავს ადამიანის გონების (აზრების, სურვილების) გარდაქმნას, ამიტომ ის მოწოდებულია არა იმისთვის, რომ მასებს მოეწონოს, არამედ შექმნას მასა, რომელსაც ის მოეწონება.

ჯერ კიდევ რევოლუციამდე რუსი ფუტურისტები გამოაცხადებენ “მზეზე საბოლოო გამარჯვებას” – ანუ მზის სხივზე, ბუნებზე გამარჯვებას, რომელსაც ელექტრონული ნათება ჩაანაცვლებს; ეს გამარჯვება არის პირობა იმ ახალი რეალობისა, სადაც ყველაფერ ბუნებრივს ხელოვნური ჩაანაცვლებს. სოცრეალისტურ ხელოვნებასაც მიჰყვება ბუნებაზე გამარჯვების ტრიუმფალური ხაზი, რაც იკითხება, როგორც ჩამორჩენილობის, სიდატაკის, გაუნათლებლობის, ცრურწმენებისა და ობსკურანტიზმის დაძლევა, რაც საბჭოური მოდერნიზმის სახეობად შეიძლება განვიხილოთ. ფორმაზე ორიენტირებული ავანგარდის ნაცვლად სოცრეალიზმი გეთავაზობს შინაარსზე („შინაარსით სოციალისტური“) ორიენტირებულ ხელოვნებას, რომელიც ახალი ადამიანის შექმნის იდეის რადიკალურ გადაწყვეტას წარმოადგენს.

ნუცა ლოლობერიძის „უჟმური“ (1934) არის ერთი ეტაპიდან მეორეში „ტრანზიტულობის“ საუკეთესო ნიმუში, რომელშიც ავანგარდისტი რეჟისორის მეტყველი სახიერი აზროვნება და ახალი, სოცრეალისტური ხელოვნების პროპაგანდისტული ნარატივი ერთმანეთს შრებად ედება, რომელმაც მკაცრი ცენზურა გაიარა, მაგრამ მაინც რჩება წინააღმდეგობრივ ტექსტად, სადაც ახალი ადამიანის გამარჯვებისა და ბუნების დამორჩილების პათოსი ადგილის, მხესიერების, იდენტობის გაქრობისა და წაშლის პროცესსაც აირეკლავს.

Bezhan Khorava

*The University of Georgia, Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Georgia, Tbilisi*

The Image of Soviet Abkhazia of the 1920s-1930s in Abkhaz Soviet Literature of the 1930s-1950s

In February and March 1921, the Red Army of Soviet Russia conquered Georgia. Soviet power was established in Georgia. On March 4, units of the Red Army entered Sokhumi and proclaimed Soviet power.

In 1921-1922, anti-Soviet demonstrations took place in Abkhazia. At the end of August 1924, an uprising began in Georgia. In August and September, military operations were conducted in the Samurzakano district of Abkhazia, as well as in the Kodori gorge – Tsebelda, Lata, and Chkhalta.

Beginning in the autumn of 1929, the collective-farm movement spread across Georgia. Because of this, serious discontent arose in the Abkhazian villages. Poverty and general dissatisfaction resulted in a mass women's protest in the summer of 1930 in the Gali and Kodori districts. Protests continued in subsequent years as well.

At the same time, in the 20s and 30s, the construction of the Black Sea coastal highways and railways, resort and city development were in full swing in Abkhazia; collective farms were built in the villages; industrial exploitation of Tkvarcheli coal mines began, etc. These changes were accompanied by difficulties, followed by protest actions against collectivization.

The topic of protests taking place in Abkhazia was taboo during the Soviet years. It was taboo for Soviet literature as well.

After the establishment of Soviet power, proletarian literature appeared praising the new regime. It got along fine with the Bolshevik regime, which aimed to primitive culture as much as possible. Proletarian literature was poor, superficial, demagogic, lacking poetic culture and devoid of national content.

In the early 1930s, the authorities considered that proletarian literature no longer corresponded to the new tasks. In 1934, socialist realism was declared the only artistic method. Literature was supposed to reflect the inspiration of socialist labor, successes of the collectivization and industrialization, socialist village and city, bright faces of representatives of the peasantry and the working class, labor exploits of heroes of five-year plans, etc.

The changes that took place in the village and the city were also reflected in Abkhaz Soviet literature of the 1930s-1950s.

ბეჟან ხორავა

*საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის
ქართველოლოგიის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

საბჭოთა აფხაზეთის 20-30-იანი წლების სურათი XX საუკუნის 30-50-იანი წლების აფხაზეთის საბჭოთა მწერლობაში

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ საქართველო დაიპყრო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 4 მარტს რუსეთის მე-9 წითელი არმიის ნაწილები სოხუმში შევიდნენ და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს.

1921-1922 წლებში აფხაზეთში ანტისაბჭოთა გამოსვლები მოეწყო. 1924 წლის აგვისტოს მიწურულს საქართველოში აჯანყება დაიწყო. აფხაზეთში, აგვისტო-სექტემბერში, შეიარაღებული გამოსვლები მოხდა სამურზაყანოს მაზრაში, ასევე კოდორის ხეობაში – წებელდაში, ლათაში, ჩხალთაში.

1929 წლის შემოდგომიდან საქართველოში ფართოდ გაიშალა საკოლმეურნეო მოძრაობა. ასეთ ვითარებაში, აფხაზეთის სოფლებში თავი იჩინა სერიოზულმა უკმაყოფილებამ. გაჭირვებამ და მასობრივმა უკმაყოფილებამ გამოიწვია პროტესტის ფორმა – ქალთა მასობრივი გამოსვლების სახით 1930 წლის ზაფხულში გალისა და კოდორის მაზრებში. საპროტესტო გამოსვლები შემდეგ წლებშიც გაგრძელდა.

იმავედროულად, 20-30-იან წლებში აფხაზეთში ფართოდ გაიშალა შავიზღვისპირეთის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების მშენებლობა, ურბანული მშენებლობა; სოფლებში მიმდინარეობდა საკოლმეურნეო მშენებლობა, დაიწყო ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების ათვისება და სხვ. სოფელში მიმდინარე ძვრებს სირთულეები ახლდა, რასაც მოჰყვა კოლექტივიზაციის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, აფხაზეთში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლები ისტორიოგრაფიაში ტაბუდადებული თემა იყო. ასევე ტაბუდადებული იყო ეს თემა საბჭოთა მწერლობაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღმოცენდა ახალი რეჟიმის მეხოტბე პროლეტარული მწერლობა. პროლეტმწერლობა მშვენივრად თანაარსებობდა ბოლშევიკურ რეჟიმთან, რომლის მიზანი იყო კულტურა რაც შეიძლება პრიმიტიული ყოფილიყო. პროლეტარული ლიტერატურა ღარიბი, ზედაპირული, დემაგოგიური, პოეტურ კულტურას მოკლებული და ეროვნული შინაარსისაგან დაცლილი იყო.

30-იანი წლების დასაწყისში ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ პროლეტმწერლობა უკვე აღარ შეესაბამებოდა ახალ ამოცანებს. 1934 წლიდან ერთადერთ მხატვრულ მეთოდად სოციალისტური რეალიზმი გამოცხადდა. მწერლობას უნდა აესახა სოციალისტური შრომის აღმადგენა, კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის წარმატებები, სოციალისტური სოფელი და ქალაქი, გლეხობისა და მუშათა კლასის წარმომადგენელთა ნათელი სახეები, ხუთწლედების გმირთა შრომითი მიღწევები და სხვ.

სოფელსა და ქალაქში მიმდინარე ცვლილებები 30-50-იანი წლების აფხაზეთის საბჭოთა მწერლობაშიც აისახა.

Nino Khundadze

*The University of Georgia, Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Georgia, Tbilisi*

Georgian Culture of the 50s-60s of XX Century and its Historical Premises

The turn of the 50s and 60s of XX century in Georgia was an era of significant changes in the spiritual life of the country, a new outlook and a new artistic approach appeared, which in its essence opposed the principles of Socialist Realism prevailing at that time.

The purpose of my report is to highlight the important changes taking place in the culture of Georgia at the turn of the 50s-60s of the 20th century, based on the comparative research of foundations of these changes – historical premises and public consciousness, with the Fine Art of that period.

This era generally is an important period in itself for the Soviet Union, of which Georgia was a part at that time: the so-called "Developed socialism" reached the culmination of its existence-progress; From the end of the 50s and 60s, it freezes in one place, and from the second half of the 60s, it begins to decline, and if the era of building of the Socialism in the 30s and 40s creates a qualitatively characteristic culture, from the 60s it puts this culture in a stagnant state, while It, can be said, that a culture similar in form and content, but completely different in essence, is developed in its core.

The youth's desire to gain and establish inner freedom became characteristic of the Whole World in the 50s and 60s of the 20th century, and it can be said that it was a defining event of its phenomenon, which was the result of the Second World War and post-war policies. This movement turned out to be natural and so powerful that it found a certain reflection even in a politically and culturally closed and isolated space as was the Soviet Union – it developed in its own way against the background of the political situation distinguished for the Soviet Union.

For the "children" of political repressions and the Second World War in the Soviet Union, who had a "hellish" childhood and youth, the 50s became a symbol of a liberation and a happy future (post-Stalin events). Belief in a happy future, hope and expectation for the development of the country in a different way, instilled a romantic attitude towards life in the entire society. The country, physically and morally broken, experienced a powerful cultural development in the late 50s.

ნინო ხუნდაძე

საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის

ქართველოლოგიის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

XX საუკუნის 50-60-იანი წლების ქართული კულტურა და მისი ისტორიული წანამძღვრები

საქართველოში XX ს. 50-60-იანი წლების მიჯნაზე, რომელიც ქვეყნის სულიერი ცხოვრების სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებების ხანა იყო, წარმოჩნდა ახალი მსოფლმხედველობა და ახალი მხატვრული მიდგომა, რაც თავისი არსით უპირისპირდებოდა იმ დროს გაბატონებული სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს.

ჩემი მოხსენების მიზანია, XX საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე საქართველოს კულტურაში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები, ამ ცვლილებათა საფუძვლების – ისტორიული წანამძღვრების თუ საზოგადოების ცნობიერების და თანადროული ხელოვნების კომპარატიულ კვლევაზე დაყრდნობით გამოვკვეთო.

ეს ეპოქა ზოგადად საბჭოთა კავშირისთვის, რისი ნაწილიც ამ დროისათვის იყო საქართველო, თავისთავად მნიშვნელოვანი პერიოდი: ე.წ. „განვითარებული სოციალიზმი“ თავისი არსებობა-წინსვლის კულმინაციას აღწევს; 50-60-იანი წლების მიჯნიდან ის ერთ ადგილზე იყინება, ხოლო 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან კი უკუსვლას იწყებს და, თუ 30-40-იან წლებში სოციალიზმის მშენებლობის ეპოქა თვისობრივად სახასიათო კულტურას ჰქმნის, 60-იანი წლებიდან ამ კულტურას სტაგნაციურ მდგომარეობაში აყენებს, ხოლო მის წიაღში, შეიძლება ითქვას,

ფორმითა და შინაარსით მსგავსი, თუმცა არსობრივად სრულიად განსხვავებული ხასიათის კულტურა ვითარდება.

ახალგაზრდობის მიერ შინაგანი თავისუფლების მოპოვებისა და დამკვიდრებისაკენ სწრაფვა XX საუკუნის 50-60-იანი წლების მსოფლიოსთვის იქცა დამახასიათებელ, შეიძლება ითქვას, მისი ფენომენის განმსაზღვრელ მოვლენად, რაც მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომი პოლიტიკის შედეგი იყო. ეს მოძრაობა ბუნებრივი და იმდენად მძლავრი აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის მსგავს, პოლიტიკურ-კულტურული თვალსაზრისით ჩაკეტილ და იზოლირებულ სივრცეშიც კი გარკვეული ასახვა ჰპოვა – უშუალოდ საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური ვითარების ფონზე თავისებურად განვითარდა.

საბჭოთა კავშირში პოლიტიკური რეპრესიებისა და მეორე მსოფლიო ომის „შვილებისათვის“, რომლებმაც “ჯოჯოხეთური” ბავშვობა და ყრმობა განვლეს, 50-იანი წლები ერთგვარი შვებისა და ბედნიერი მომავლის სიმბოლოდ იქცა (პოსტ-სტალინური მოვლენები). ბედნიერი მომავლის რწმენამ, ქვეყნის განსხვავებული გზით განვითარების იმედმა და მოლოდინმა მთელ საზოგადოებაში ცხოვრების მიმართ რომანტიკული დამოკიდებულება გააღვივა. ფიზიკურად და მორალურად წელში გატეხილმა ქვეყანამ 50-იანი წლების ბოლოს მძლავრი კულტურული აღმავლობა განიცადა.

Maia Kiknadze

*Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
Georgia, Tbilisi*

On the Stage of Shota Rustaveli Theater from the Performance “From Spark” by Shalva Dadiani

In the 30s of the 20th century during soviet era the state paid great attention on the occupation of writers and artists. The party itself used to determine their working plans, by establishing ideological standards, publishing certain documents and resolutions. Considering aforesaid the establishment of new socialistic realism’s course in the fine literature and literature criticism at the congress of Soviet Writers Union (1934) is very noteworthy. Actually there was demand of soviet writers, though indeed it related to all the fields of art, including theater as the best means for the popularization of soviet ideology.

Socialism in theater as in writing, painting or cinema had similar grounds. The difference was stipulated only under the specific feature of the field. Directorial style, form, artistic manners, scenography and performance by actors and actresses were added to the interpretation of the play in the performance. They were narrating to the spectators of the theater about the party, victory of socialism and development of soviet industry. Modern characters were appearing on the stage: collective farmers, peasants, engineers, members of communist union, pioneers and revolution leaders.

Like the Soviet theaters, a number of social-realist plays (S. Shanshiashvili's "Anzori", I. Mashashvili's "Gangashi", P. Samsonadze's "Salte" and etc.) were staged on the Georgian stage. Among them special one is the play “From Spark” by Shalva Dadian which is the best example of social realism. The writer provided us a true story from the

history of Bolshevism. Namely, the establishment of a social-democratic organization in Batumi by Stalin's initiative.

The first performance took place in Rustaveli Theater on December 11, 1937 (dir. Ak. Vasadze). According to one of the reviewers, "the director took a new step with this performance in the establishment of socialist realism on the stage."

The appearance of Stalin in the play caused special admiration of the audience. Actor Mikheil Gelovani, in addition to external similarities, tried to convey the inner world of the leader's face, his great nature and the fighting spirit. The climax of the play was the meeting of Stalin and Lenin in the last episode, which filled the audience with the belief of victory and optimism.

მაია კიკნაძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

შალვა დადიანის პიესა „ნაპერწყლიდან“ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე

მე-20 ს-ის 30-იანი წლების საბჭოთა კავშირში, სახელმწიფოს მხრიდან დიდი ყურადღება ექცეოდა მწერალთა და ხელოვანთა მოღვაწეობას. პარტია თავად განსაზღვრავდა მათი მუშაობის გეგმებს, აწესებდა იდეოლოგიურ ნორმებს, გამოსცემდა გარკვეულ დოკუმენტებსა და დებულებებს. ამ თვალსაზრისით ძალზედ საყურადღებოა საბჭოთა მწერალთა კავშირის ყრილობაზე (1934) ახალი მიმდინარეობის სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრება მხატვრულ ლიტერატურასა და ლიტერატურის კრიტიკაში. მართალია, მოთხოვნა საბჭოთა მწერლების

მიმართ იყო გამოთქმული, მაგრამ სინამდვილეში ის ეხებოდა ხელოვნების ყველა დარგს, მათ შორის თეატრს, როგორც საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებას.

სოცრეალიზმი თეატრში, ისევე როგორც მწერლობაში, მხატვრობასა თუ კინოში ერთნაირი ნიშნით ხასიათდებოდა. განსხვავებას მხოლოდ დარგის სპეციფიკა განაპირობებდა. სპექტაკლში, პიესის ინტერპრეტაციას ემატებოდა სარეჟისორო სტილი, ფორმა, მხატვრული ხერხები, სცენოგრაფია, მსახიობთა შესრულება. თეატრში მისულ მაყურებელს უყვებოდნენ პარტიაზე, სოციალიზმის გამარჯვებაზე, საბჭოთა ინდუსტრიის განვითარებაზე. სცენაზე ჩნდებოდნენ თანამედროვე გმირები: კოლმეურნეები, გლეხები, ინჟინრები, კომკავშირელები, პიონერები, რევოლუციის ბელადები.

საბჭოთა თეატრების მსგავსად, ქართულ სცენაზეც არაერთი სოც-რეალისტური პიესა (ს. შანშიაშვილის „ანზორი“, ი. მაშაშვილის „განგაში“, პ. სამსონაძე „სალტე“ და ა.შ) დაიდგა. მათ შორის განსაკუთრებულია შალვა დადიანის პიესა „ნაპერწკალი“, რომელიც წარმოადგენს სოც-რეალიზმის საუკეთესო მაგალითს. მწერალმა გადმოგვცა ნამდვილი ამბავი ბოლშევიზმის ისტორიიდან. კერძოდ, სტალინის ინიციატივით ბათუმში სოც-დემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

სპექტაკლის პრემიერა რუსთაველის თეატრში 1937 წლის 11 დეკემბერს შედგა (რეჟ. აკ. ვასაძე) (ქართულ თეატროლოგიაში, სპექტაკლი არ არის განხილული) .

ერთ-ერთი რეცენზენტის აზრით, „რეჟისორმა ამ დადგმით ერთი ახალი ნაბიჯი გადადგა, სოციალისტური რეალიზმის სცენაზე დამკვიდრების საქმეში“.

სპექტაკლში, სტალინის გამოჩენამ კი მაყურებლის განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია. მსახიობი მიხეილ გელოვანი, გარეგნული მსგავსების გარდა, ცდილობდა ბელადის სახის შინაგანი სამყაროს, მისი დიდბუნოვანი ხასიათის, საბრძოლო სუ-

ლისკვეთების გადმოცემას. სპექტაკლში განსაკუთრებულ კულმინაციას ქმნიდა ბოლო ეპიზოდი სტალინისა და ლენინის შეხვედრა, რომელიც მყურებელს გამარჯვების რწმენითა და ოპტიმიზმით აღვსებდა.

Khatuna Kokrashvili

*The University of Georgia, Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Georgia, Tbilisi*

**The Georgian Orthodox Church and Atheistic Propaganda
Methods in the Totalitarian State
(20-30s of the 20th century)**

After the occupation of the Democratic Republic of Georgia by Soviet Russia in 1921, the Soviet regime was established in the country. After the creation of the USSR, Georgia formally joined the Union of Allied Republics. It was part of a centralized, totalitarian state dominated by the Russian Soviet Federative Republic. Atheism and anti-religious positions were one of the essential ideological basis of the USSR. After Sovietization, this kind of religious policy spread in Georgia as well.

We will try to explain the peculiarities of the church policy of the Soviet state and the situation of the Georgian Orthodox Church; By what methods of atheistic propaganda against religion and the church were carried out; What special features characterized it in Georgia and what were its results.

It is known that immediately after the creation of the Soviet state, two directions of attitude towards the church emerged among the political elite: the first expressed the position of Lenin-Trotsky and

aimed at the complete liquidation of the church; The second, which Stalin advocated, meant church modernization, less radicalism towards the church.

In the early 20s of 20th century, the abolition and destruction of churches, the ruin of holy things, icons and frescoes, repression of clergymen, murder and insults became regular events encouraged by the state in Soviet Georgia. From 1923-1925, the state policy towards the church was connected with the "renovation movement" started in the church. This process was manifested by the attempt to form a "new church" in Georgia. The goal of the "renovation", together with the "modernization" of the church, was to bring the Orthodox churches in the territory of the Soviet Union under the control of the Russian Church, which threatened the autocephalous status of the Georgian Orthodox Church, which it restored in 1917. The mentioned movement could not gain a foothold in Georgia.

At the turn of the 20s and 30s of the 20th century, the formation of a new person and a contemporary socialist society by the ideals of the "cultural revolution" and "socialist realism" became relevant, which meant strengthening the struggle against religion and the church. An anti-religious organization was founded – "the League of Fighting Godlesses", whose initiative group was created in 1928 in Georgia. Representatives of the Soviet intelligentsia and teachers were included in it for atheistic propaganda, and attention was paid to creating special departments in higher schools to train personnel. However, this organization did not succeed and ceased to exist in the 40s of the 20th century.

ხათუნა ქოქრაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტი, თამაზ ბერაძის სახელობის

ქართველოლოგიის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია
და ათეისტური პროპაგანდის მეთოდები
ტოტალიტარულ სახელმწიფოში
(მე-20 ს-ის 20-30-იანი წლები)**

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ ქვეყანაში საბჭოთა რეჟიმი დამყარდა. სსრკ-ს შექმნის შემდეგ საქართველო ფორმალურად გაერთიანდა მოკავშირე რესპუბლიკების კავშირში, თუმცა რეალურად აღმოჩნდა ცენტრალიზებული, ტოტალიტარული სახელმწიფოს შემადგენლობაში, სადაც დომინირებდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა. სსრკ-ს მნიშვნელოვან იდეოლოგიურ საფუძველს ათეიზმი და ანტირელიგიური პოზიცია წარმოადგენდა. გასაბჭოების შემდეგ ამგვარი სარწმუნოებრივი პოლიტიკა საქართველოშიც გავრცელდა.

შევეცდებით ვუჩვენოთ, საბჭოთა სახელმწიფოს საეკლესიო პოლიტიკის თავისებურებები და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა; წარმოვაჩინოთ როგორ და რა მეთოდებით მიმდინარეობდა ათეისტური პროპაგანდა რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ; რა განსაკუთრებული ნიშნები ახასიათებდა მას საქართველოში და როგორი იყო მისი შედეგები.

ცნობილია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისთანავე პოლიტიკურ ელიტაში ეკლესიისადმი დამოკიდებულების ორი მიმართულება გამოიკვეთა: პირველი გამოხატავდა ლენინტროცკის პოზიციას და მიზნად ისახავდა ეკლესიის სრულ

ლიკვიდაციას; მეორე, რომელსაც სტალინი ემხრობოდა, გულისხმობდა საეკლესიო მოდერნიზაციას, ნაკლებ რადიკალიზმს ეკლესიის მიმართ.

აღსანიშნავია, მე-20 ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში ეკლესიების გაუქმება და ნგრევა, სიწმინდეების, ხატებისა და ფრესკების განადგურება, სასულიერო პირების რეპრესიები, მკვლელობა, დახვრეტა, შეურაცხყოფა საბჭოთა საქართველოში სახელმწიფოსაგან წახალისებულ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. 1923-1925 წლებში სახელმწიფო პოლიტიკა ეკლესიის მიმართ დაუკავშირდა ეკლესიაში დაწყებულ „განახლების მოძრაობას“. საქართველოში ეს პროცესი „ახალი ეკლესიის“ ჩამოყალიბების მცდელობით გამოიხატა. „განმაახლებლების“ მიზანს, ეკლესიის „მოდერნიზაციასთან“ ერთად, წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ეკლესიების რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში შეყვანა, რაც საფრთხეს უქმნიდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალურ სტატუსს, რომელიც მან 1917 წელს აღიდგინა. აღნიშნულმა მოძრაობამ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა.

მე-20 ს-ის 20-30-იანი წლების მიჯნაზე აქტუალური გახდა „კულტურული რევოლუციისა“ და „სოციალისტური რეალიზმის“ იდეალების შესაბამისად ახალი ადამიანისა და ახალი სოციალისტური საზოგადოების ფორმირება, რაც გულისხმობდა რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასაც. დაარსდა ანტირელიგიური ორგანიზაცია – „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ (მუკი), რომლის საინიციატოვო ჯგუფი საქართველოში 1928 წელს შეიქმნა. მასში ათეისტური პროპაგანდის მიზნით ჩართეს საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, ყურადღება დაეთმო კადრების მოსამზადებლად უმაღლეს სკოლებში სპეციალური კათედრების შექმნას. თუმცა ამ ორგანიზაციამ ვერ გაამართლა და 40-იან წლებში არსებობა შეწყვიტა.

Andrey Korovin

*A.M.Gorky Institute of World Literature of Russian Academy
of Sciences*

Russia, Moscow

Danish “Collective Novel” and Socialist Realism

Examining Guram Panjikidze's novels from a new perspective allows us to reveal the writer's vision of the events of his period, to evaluate/reevaluate the author's critical attitude towards his modernity in a new way. It is interesting to know how the writer sees the possibility of realizing one’s own personality in the totalitarian state of the Soviet period, the peculiarities of the perception of civil responsibility by this society.

Guram Panjikidze's first novel "The Seventh Sky" contemplates the process of eternal violation of a closed space, which must be realized by the centrifugal movement of a different subject against the

idyllic harmony of the system. The main character of the novel, Levan Khidasheli, is an individual opposed to the progress declared by socialism, whose consciousness strives for objective perception and change of the reality, but is unable to find the right path and salvation, because the “pragmatist”, the "man of life" wins, killing the dreamer in him with his own weapon. Unfortunately, the vicious features of the "consumer society" touches him either, which he fights with his mind, but unconsciously tends to possess them himself. This is the dilemma of existence shown by G. Panjikidze with specific realities, in a specific space-time.

With this novel, the writer once again emphasizes the main purpose of literature: to unravel the complex and dramatic nature of a modern thinking person, to try to create a desire to establish new and healthy things, to find a perspective of the future in order to get an individual model of the style and forces of the era.

თეა მაჭავარიანი

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
საქართველო, ქუთაისი*

საბჭოთა ეპოქის რეცეფცია გურამ ფანჯიკიძის რომანში „მეშვიდე ცა“

გურამ ფანჯიკიძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე აღიარეს გასული საუკუნის 60-70-იანი წლების გამორჩეულ მწერლად, „ეპოქის სულის განმსაზღვრელად“. მიუხედავად იმისა, რომ პროზაიკოსის მოღვაწეობა სოციალის-ტური რეალიზმის პერიოდს დაემთხვა, დროის შესაბამისი პრობლემების შემჩნევა, გაანალიზება და მათი მხატვრული წარაცია იყო მისი უმთავრესი დანიშნულება.

გურამ ფანჯიკიძის რომანების ახლებურ ჭრილში განხილვა საშუალებას გვაძლევს გამოვლინდეს მწერლისეული ხედვა მისი პერიოდის მოვლენებისა, ახლებურად შეფასდეს/ გადაფასდეს ავტორის კრიტიკული დამოკიდებულება თავისი თანამედროვეობის მიმართ. საინტერესოა, როგორ ხედავს მწერალი საბჭოთა პერიოდის ტოტალიტარულ სახელწიფოში პიროვნების რეალიზების შესაძლებლობას, ამ საზოგადოების მიერ სამოქალაქო პასუხისმგებლობის აღქმის თავისებურებებს.

გურამ ფანჯიკიძის პირველი რომანი „მეშვიდე ცა“ ჩაკეტილი სივრცის მარადიული რღვევის პროცესს მოიაზრებს, რაც უნდა განხორციელდეს განსხვავებული სუბიექტის ცენტრიდანული სვლით მიმართული წყობილების იდილიური ჰარმონიის წინააღმდეგ. რომანის მთავრი პერსონაჟი ლევან ხიდაშელი სოციალიზმისაგან დეკლარირებულ პროგრესს დაპირისპირებული ინდივიდია, რომლის ცნობიერიც ისწრაფვის რეალობის ობიექტური აღქმისა და შეცვლისაკენ, მაგრამ ვერ ახერხებს სწორი გზის პოვნას და ხსნას, რადგან იმარჯვებს „პრაქტიცისტი“ „ცხოვრების კაცი“, ვინც მასში მეოცნებეს კლავს მისივე იარაღით. სამწუხაროდ, მასზეც ვრცელდება „მომხმარებლითი საზოგადოების“ მანკიერი თვისებები, რომლებსაც გონებით ებრძვის, მაგრამ არაცნობიერად თვითონაც ატარებს. ეს არის ყოფიერების დილემა გ.ფანჯიკიძის მიერ ნაჩვენები კონკრეტული რეალიებით, კონკრეტულ სივრცე-დროში.

აღნიშნული რომანით მწერალი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ლიტერატურის უმთავრეს დანიშნულებას: ამოხსნას თანამედროვე მოაზროვნე ადამიანის რთული და დრამატული ბუნება, შეეცადოს ახლისა და ჯანსაღის დამკვიდრების სურვილის გაჩენას, იპოვოს მომავლის პერსპექტივა, რათა მივიღოთ ეპოქის სტილისა და ძალთა ინდივიდუალური მოდელი.

K.S. Matyghanov

*Institute of Literature and Art named after M.O. Auezov of the
Ministry of Science and Higher Education of the Republic of
Kazakhstan
Kazakhstan, Almaty*

The Study of the Family and Ritual Folklore of the Kazakh People From the Era of Socialist Realism to Modernity

Family ritual folklore as an independent genre type of national folklore has been studied since the 18th century. The tsarist administration, with the aim of conquering the Kazakh Khanate, whose territory was presented as a "corridor to Asia", first of all carried out a complete reconnaissance of the Kazakh lands. For this purpose, small embassies, scientific expeditions were equipped to study the life of the Kazakh people and record samples of folklore heritage. Starting from the second half of the 19th century, the Russian Empire intensified its actions for the further colonization of Kazakh lands, taking control of the religious and spiritual life of the people, carrying out their comprehensive study. Russian scientists who traveled across the Kazakh steppe recorded all the information they collected and regularly published it in Russian publications. Important information was collected in the border commissions, located in the fortresses that surrounded the Kazakh steppe in a dense ring. Governors-general, missionaries, military personnel, paramedics, doctors, translators, etc. were actively involved in this process.

In the 20th century, much of the folklore heritage was studied from an ideological standpoint, one-sidedly. A rich layer of religious dastans was not introduced into scientific circulation. Modern Kazakh folklore, revealing the typology of ethnographic connections, revealing

the nature and specifics of the genre of family ritual folklore, classifies its intra-genre varieties. Materials are being introduced into scientific circulation that have been rediscovered and become public in connection with the removal of the secrecy stamp from the heritage of the Alash Orda figures. The new materials analyzed are from the Manuscript Fund of the Central Scientific Library of the National Academy of Sciences of the Republic of Kazakhstan, the Fund of Manuscripts of the Institute of Literature and Art named after M.O. Auezov, and from scientific trips to study the oral folk art of the Kazakhs of China, Mongolia.

David Maziashvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

Tom Stoppard's Rock'n Roll and Socialist Realism

Contemporary British playwright, Tom Stoppard is one of the most remarkable figures in British and world theatre life. His notable works include not only plays but also variety of film scripts, which received many important theatre and film prizes at different times of his career. However, it is not only cinema lovers and theatregoers who are interested in Stoppard's works. Academics from humanities and popular magazines express their interest in his works, which increases Stoppard's popularity in all social groups of his contemporary society.

The most famous plays and scripts about the Soviet Union by Stoppard include *Travesties* (1974), *Every Good Boy Deserves Favour* (1977), *Professional Foul* (1977) and *Rock'n Roll* (2006). The dates of their creation chronologically coincide with the rise of the Socialist Realism in the Soviet Union.

The goal of the paper is to study Stoppard's one of the major plays *Rock'n Roll*. From literary, socio-political and artistic standpoints analyze the author's relation to Socialism and Socialist Realism in Sovietized Czechoslovakia. Stoppard's *Rock'n Roll* is a good example of intertextuality and metafictional technique. Creative mixture of the historical truth, playwright's biography, contemporary reality and Anglo-American rock music artistically expressed in the play. Examination of these things will enable us to talk about concrete literary-aesthetic connections and differences, which finally clarify the author's relation to Socialist Realism.

Considering this, I would like to discuss several issues:

1. Tom Stoppard, Vaclav Havel and Sovietized Czechoslovakia
2. Rock music and Prague in 1968;
3. Intertextuality of the play – Milan Kundera's fictional reality.

დავით მაზიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

ტომ სტოპარდის როკ-ენ-როლი და სოციალისტური რეალიზმი

თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგის, ტომ სტოპარდის შემოქმედებას გამორჩეული ადგილი უკავია, როგორც ბრიტანეთის, ისე მსოფლიო თეატრალურ და ლიტერატურულ სივრცეში. იგი იმ მწერალთა რიგს მიეკუთვნება, რომლებმაც სიცოცხლეშივე კლასიკოსის სახელი მოიპოვეს. მისი პიესები, სცენარები, რადიო და ტელე პიესები, ასევე კინემატოგრაფიული ნამუშევრები დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც სახელოვნებო, ისე აკადემიურ წრეებში. ამას მოწმობს უამრავი მნიშვნელოვანი თეატრალური, ლიტერატურული და კინემატოგრაფიული ჯილ-

დო, რომელიც თან სდევდა სტოპარდის ნამუშევრების გამოჩენას მთელს მსოფლიოში.

ტომ სტოპარდის შემოქმედებაში სოციალისტური რეალიზმის ეპოქაზე ყველაზე ცნობილი პიესებია: „პაროდისტები“ (*Travesties*) (1974), „კაი ბიჭებს პატივი ვცეთ“² (*Every Good Boy Deserves Favour*) (1977), „პროფესიული ფოლი“ (*Professional Foul*) (1977) და „როკ-ენ-როლი“ (*Rock'n Roll*) (2006). ამ პიესების უმრავლესობა ქრონოლოგიურად ემთხვევა სოციალისტური რეალიზმის აღზევებას საბჭოთა კავშირში.

ჩემი სტატიის მიზანია სტოპარდის შემოქმედებაში ერთ-ერთი გამორჩეული პიესის „როკ-ენ-როლის“ შესწავლა. პიესის სოციო-პოლიტიკური, ლიტერატურული და მუსიკალურ-სახელოვნებო ასპექტების ანალიზის შედეგად წარმოვაჩინო რა დამოკიდებულება აქვს სტოპარდს სოციალიზმის და სოციალისტური რეალიზმის მიმართ საბჭოთა ჩეხოსლოვაკიაში და როგორ აისახა ის დრამატურგის შემოქმედებაზე. სტოპარდის „როკ-ენ-როლი“ საინტერესოა ინტერტექსტუალობისა და მეტაფიქციის მხატვრული ტექნიკის მხრივაც. პიესაში შერწყმულია ისტორიული სინამდვილე, დრამატურგის ბიოგრაფია, ფიქციური რეალობა, თანამედროვე რეალობა და ანგლო-ამერიკული როკ-მუსიკა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტოპარდის „როკ-ენ-როლს“ რამდენიმე მიმართულებით განვიხილავ:

1. ტომ სტოპარდი, ვაცლავ ჰაველი და საბჭოთა ჩეხოსლოვაკია;
2. როკ-მუსიკა და 1968 წლის პრალა;
3. პიესის ინტერტექსტუალობა – მილან კუნდერას ფიქციური რეალობა.

² ამ პიესის სათაურის ზუსტი თარგმნა რთულია. სტოპარდი სიტყვებით თამაშობს და სათაური ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელობას ატარებს. ერთ-ერთი მნიშვნელობით EGBDF (**E**very **G**ood **B**oy **D**eserves **F**avour) (მი, სოლ, სი, რე, ფა) მუსიკალური ნოტების მნიშვნელობაა (დავით მაზიაშვილი).

Tatiana Megrelishvili

Georgian Technical University

Georgia, Tbilisi

Liudmila Boris

Russia, Moscow

**Models of Personality Image in Historical Fictional Prose
of the Era of Socialist Realism
(late 1920s-1960)**

During the period of the late 1920s in the USSR, despite the policy aiming to create a unified aesthetic system for literature – socialist realism – while forcing all other aesthetic styles into emigration (internal and external), despite the intrusion by the state into the laws of the natural movement of the literary process, it was not possible to completely neutralize the internal processes characterizing the state of realistic aesthetics.

As a result, under the influence of socio-political conditions, a situation emerged in literature, which could be described as a parallel dramatic coexistence of modernist and new aesthetics. This largely unique situation was also reflected in historical prose. In this study we are looking to trace the features of such a situation.

The report introduces a concept that proposes to consider the established literary situation as a kind of development of the aesthetics of realism in the late 19th – early 20th centuries. Samples of historical prose, in which heterogeneity is reflected most visibly, have been selected for the study: Y. Tynyanov ("The Death of Vazir-Mukhtar"), A. Tolstoy ("Peter I"), A. Chapygin ("Razin Stepan"), as well as works created in the languages of the peoples of the USSR (A. Dovzhenko "Ukraine on fire", P. Zagrebely "Divo" ("Miracle"), K. Gamsakhurdia "The Right Hand of Great Master"). The analysis of the aforementioned

samples of prose identified three models that help create the literary image of a historical personality as well as its personal-historical conflict. These models will be presented in the report.

Methodologically, the report is based on the following works:

1. M. Serebryansky, Soviet historical novel, M., 1936;
2. B. Groys, Rebuilt ideology. – "The Art of Cinema", 1994, N 10, Günther X. Iron Harmony (The State as a Total Work of Art) // Questions of Literature. 1992. Issue. 1. P. 27- 41;
3. Günther X. "Stalin's Falcons" (Analysis of the myth of the 30s) // Questions of literature. 1991. November-December, pp.122-141;
4. Clark K. Stalin's myth of the great family // Socialist realist canon. SPb., 2000, pp. 785-796.

ტატინა მეგრელიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

ლუდმილა ზორისი

მოსკოვი, რუსეთი

პიროვნების გამოხატულების მოდელები სოცრეალიზმის ეპოქის ისტორიულ მხატვრულ პროზაში (1920-იანების ბოლო – 1960)

1920-იანი წლების ბოლო პერიოდში სსრკ-ში ლიტერატურისთვის ერთიანი ესთეტიკური სისტემის – სოციალისტური რეალიზმის შექმნის პოლიტიკის მიუხედავად და ყველა სხვა ესთეტიკური სტილის შიდა თუ გარე ემიგრაციაში განდევნის, აგრეთვე სალიტერატურო პროცესის ბუნებრივი განვითარების კანონებში შეჭრის პოლიტიკის მიუხედავად, ვერ მოხერხდა იმ შინაგანი პროცესების სრული ნიველირება, რომლებიც რეალისტური ესთეტიკის მდგომარეობას ახასიათებს. ამდენად, სოციალურ-პოლიტიკური პირობების გავლენით ლიტერატურაში შე-

იქმნა სიტუაცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოდერნისტული და ახალი ესთეტიკის პარალელური დრამატული თანარსებობა. ეს მრავალმხრივ უნიკალური სიტუაცია ისტორიულ პროზაშიც აისახა. მოცემული კვლევის მიზანია ამგვარ მდგომარეობაზე დაკვირვება.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება კონცეფცია, რომელიც გულისხმობს შექმნილი ლიტერატურული სიტუაციის როგორც XIX ასწლეულის ბოლოს – XX საუკუნის დასაწყისის რეალიზმის ესთეტიკის განვითარების ნაირსახეობის განხილვას. კვლევის ობიექტს წარმოადგენს იმ ისტორიული პროზის ნიმუშები, რომლებშიც არაერთგვაროვნება ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ აისახა: ი. ტინიანოვი („ვაზირ-მუხტარის სიკვდილი“), ა.ტოლსტოი („პეტრე I“), ა.ჩაპიგინი („რაზინი სტეპან“), აგრეთვე სსრკ ხალხების ენებზე შექმნილი ნაწარმოებები (პ.ზაგრებელინი. „საოცრება“, ა.დოვჟენკო „უკრაინა ცეცხლში“, კ.გამსახურდია „დიდოსტატი მარჯვენა“). ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა, გამოგვეყო ისტორიული პიროვნების სახის შექმნის სამი მოდელი; ყოველი მათგანი წარმოდგენილი იქნება მოხსენებაში.

მოხსენება მეთოდოლოგიურად ეყრდნობა შემდეგ ნაშრომებს:

1. მ. სერებრიანსკი, Советский исторический роман, მოსკოვი, 1936.

2. ბ. გროსი, Отстроенная идеология. – „Искусство кино“, 1994, N 10.

3. ხ. გიუნტერი Железная гармония (Государство как тотальное произведение искусства)//Вопросы литературы. 1992. Вып. 1. გვ. 27-41; ხ. გიუნტერი „Сталинские соколы“ (Анализ мифа 30-х годов)//Вопросы литературы. 1991. ნოემბერი-დეკემბერი. გვ.122-141.

4. კ. კლარკ Сталинский миф о великой семье//Соцреалистический канон. სანკტ-პეტერბურგი, 2000. გვ. 785-796.

Darejan Menabde

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Memoirs of a Writer of the Period of Socialist Realism

In order to study and demonstrate the real picture of the literary life of the period of Socialist Realism, the memoir texts of writers of the same period acquire special importance. The presentation deals with the *Memoirs* of writer and journalist Mikheil Kekelidze (Tbilisi: 2020).

M. Kekelidze (1911-1996) was the author of historical novels, researcher of children's and pedagogical literature, an eye-witness of the overthrow of the First Georgian Republic and Bolshevization of the country. At a very young age, he founded an illegal organization *Young Georgia*, due to which he spent many years in Soviet prisons and exile as a political prisoner and political exile.

In the *Memoirs*, special attention attaches to the relationship of the writer, having returned from the exile, with the literary society of Tbilisi. Various episodes from life of a number of Georgian writers (K.Kapaneli, M.Javakhishvili, K.Nadiradze, G.Tabidze, K.Gamsakhurdia, L.Kiacheli, G.Robakidze, N.Mitsishvili, V.Daiseli, G.Shatberashvili and others) in the conditions of the totalitarian regime are described.

M.Kekelidze lived to see the end of the period of Socialist Realism, the collapse of the Soviet Union and restoration of the independence of Georgia. From this perspective of history, the historical developments, seen and evaluated from the writer's viewpoint, are another interesting page of the past literary life of our country.

დარეჯან მენაბდე

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

სოციალისტური რეალიზმის ეპოქის მწერლის მემუარები

სოციალისტური რეალიზმის ეპოქის ლიტერატურული ცხოვრების შესწავლისა და რეალური სურათის წარმოსაჩენად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმავე ეპოქის მწერალთა მემუარული ტექსტები (ცნობილია, რომ ვინც რეპრესიებს გადაურჩა, მთელი ცხოვრების განმავლობაში იდეოლოგიური წნეხის ქვეშ იყო). მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად მემუარული ლიტერატურის სპეციფიკა არ გამორიცხავს ავტორის სუბიექტურობას, ფაქტების ფიქსირების თვალსაზრისით ასეთი ტექსტები ხშირად ისტორიული წყაროს ღირებულებისაა. ვფიქრობთ, განსაკუთრებულად ფასეულად უნდა ჩაითვალოს მემუარები, რომლებიც მე-20 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ან,საერთოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწერა.

მოხსენებაში წარმოდგენილია მწერლისა და ჟურნალისტის, მიხეილ კეკელიძის (1911-1996), „მოგონებები“ (ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამოცემა – 2020 წ.) მ. კეკელიძე იყო ავტორი ისტორიული რომანებისა („ბრწყინვალე ვარსკვლავის მადიებელი“, „ჯვარცმული ქვეყანა“, „შავი ღრუბლები“), საბავშვო და პედაგოგიური ლიტერატურის მკვლევარი, თვითმხილველი პირველი ქართული რესპუბლიკის დამხობის და ქვეყნის ბოლშევიზაციისა. სრულიად ახალგაზრდამ ჩამოაყალიბა არალეგალური ორგანიზაცია „ახალგაზრდა საქართველო“, რის გამოც, როგორც პოლიტპატიმარმა და პოლიტგადასახლებულმა, მრავალი წელი გაატარა საბჭოთა ციხეებსა და გადასახლებაში.

„მოგონებებში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გადასახლებიდან დაბრუნებული მწერლის ურთიერთობა თბილისის ლიტერატურულ საზოგადოებასთან. აღწერილია არაერთი ქართველი მწერლის (ვ. კაპანელი, მ.ჯავახიშვილი, ვ.ნადირაძე, გ.ტაბიძე, კ.გამსახურდია, ლ.ქიაჩელი, გ.რობაქიძე, ნ.მიწიშვილი, ვ.დაისელი, გ.შატბერაშვილი და სხვ.) ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში. შემზარავია, როგორც ავტორი უწოდებს, „დანაპატიმრები“ მწერლების გამუდმებული მეთვალყურეობისა და თვალთვალის ეპიზოდები. აღწერილია ლიტერატურულ შეკრებებზე მწერალთა დაგმობა და მათზე თავდასხმები როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა, ისე „მუშა-პოეტებისა“ და „პირწავარდნილი კომკავშირლების“ მხრიდან, ავტორის ბიძის, კორნელი კეკელიძის, დევის, შვეიცროებისა და მისი 18 წლის შვილის, ალექსის, დახვრეტის ისტორია და ა.შ. და ა.შ.

მ. კეკელიძე მოესწრო სოციალისტური რეალიზმის ეპოქის დასრულებას, საბჭოთა კავშირის დაშლასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ისტორიის ამ გადასახედიდან კი მწერლის თვალთ დანახული და შეფასებული ისტორიული მოვლენები კიდევ ერთი საინტერესო ფურცელია ჩვენი ქვეყნის წარსული ლიტერატურული ცხოვრებისა.

Lili Metreveli, Tatia Oboladze

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Reception of the Anti-hero in the Literary Text and Criticism of Social Realism

**(Mikhail Javakhishvili's "Kvachi Kvachantiradze"
and Polikarpe Kakabadze's "Kvarkvare Tutaberi")**

In the 1920s, two important texts of Georgian literature were written: Mikheil Javakhishvili's picaresque novel "Kvachi Kvachantiradze" (1924) and Polikarpe Kakabadze's play "Kvarkvare Tutaberi" (1928).

Who are Kvarkvare Tutaberi and Kvachi Kvachantiradze? And what do they have in common? The capability of metamorphoses, a total absence of moral and ethical values, dishonesty, and fraud – this is an incomplete list of qualities that both characters have. The two authors selected different artistic methods to depict the events and create an anti-hero.

Our research aims to investigate how Soviet literary criticism interprets the mentioned texts. The comparative analysis of literary criticism of the 20s and 30s is particularly interesting considering two factors:

1. As it is known, on October 24, 1932, the extended meeting of the organizing committee adopted a resolution on the recognition of socialist realism as the only acceptable creative method of Soviet writing, which, would significantly adjust the positions of critics and the perspectives of the texts' receptions;

2. Since the 30s, the so-called "Enemy of the People" writers and intellectuals were outlined. Mikheil Javakhishvili, by his firm and

uncompromising choice, ended up in this category, while Polikarpe Kakabadze had to compromise and give up the finale of the play.

Within the framework of the paper, we will take into account the above-mentioned context to study the evaluations presented in the Soviet literary criticism of the 20-30s about both the literary texts and their authors.

ლილი მეტრეველი, თათია ობოლაძე

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი*

საქართველო, თბილისი

**ავანტიურისტი ანტიგმირის რეცეფცია სოცრეალიზმის
ეპოქის ლიტერატურულ ტექსტსა და კრიტიკაში
(მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“
და პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“)**

1920-იან წლებში გასაბჭოებულ საქართველოში იწერება ქართული ლიტერატურის ორი უმნიშვნელოვანასი ტექსტი: მიხეილ ჯავახიშვილის პიკარესკული რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ (1924 წწ.) და პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ (1928 წწ.).

ვინ არის ყვარყვარე თუთაბერი და კვაჭი კვაჭანტირაძე? და რა საერთო აქვთ მათ?

მეტამორფოზების, სხვადასხვა ნიღბის ვირტუოზულად მორგებისა და პოზიციების ცვლის გასაოცარი უნარი, ზნეობრივი და მორალური ღირებულებებისაგან სრული თავისუფლება, მტკიცე იდეოლოგიური პოზიციის არქონა, უპრინციპობა, უტიფრობა, თაღლითობა – ეს იმ თვისებათა არასრული ჩამონათვალია, რომლებითაც უხვადაა დაჯილდოებული ორივე პერსონაჟი.

საგულისხმოა, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა შერჩეული ჟანრითა და მოვლენების ასახვის რეალისტური მანერით, ფაქტობრივად, თავისი პერსონაჟის ხასიათის ძირითადი შტრიხებიც თავიდანვე განსაზღვრა (ესპ. „Novela picaresca“ მომდინარეობს სიტყვიდან *Picaro*, რაც ქართულად ნიშნავს ცრუპენტელას, თაღლითს, ავანტიურისტს), ხოლო პოლიკარპე კაკაბამემ იუმორის მხატვრული ხერხის გამოყენებით მედროვე, უპრინციპო ანტიგმირი დახატა.

ჩვენ დავინტერესდით, როგორ წაიკითხა საბჭოთა ცენზურამ აღნიშნული ტექსტები და როგორი ინტერპრეტაციით გაიზრა ყვარყვარე თუთაბერისა და კვაჭი კვაჭანტირაძის მხატვრული სახეები? ასევე, როგორი იყო გამოხმაურებები, ერთი მხრივ, ნაწარმოებების გამოქვეყნების პერიოდში (იგულისხმება 20-იანი წლები) და, მეორე მხრივ, როგორ გადაიზრა *სოცრელიზმის ეპოქის ლიტერატურულმა კრიტიკამ და პუბლიცისტიკამ დასახელებული ტექსტები? (ვგულისხმობთ 30-იანი წლების პრესას).*

20 და 30-იანი წლების ლიტერატურული კრიტიკის შედარებითი ანალიზი განსაკუთრებით საინტერესოა ორი ფაქტორის გათვალისწინებით:

1. როგორც ცნობილია, 1932 წლის 24 ოქტომბერს საორგანიზაციო კომიტეტის გაფართოებულმა სხდომამ მიიღო დადგენილება საბჭოთა მწერლობის შემოქმედებით მეთოდად სოციალისტური რეალიზმის აღიარების შესახებ. რაც, ცხადია, მნიშვნელოვნად დააკორექტირებდა კრიტიკოსების პოზიციებსა და ტექსტების რეცეფციების პერსპექტივებს;

2. 30-იანი წლებიდან უკვე გამოიკვეთა ე.წ. „ხალხის მტერი“ მწერლები და ინტელექტუალები. მიხეილ ჯავახიშვილი, საკუთარი მტკიცე და უკომპრომისო არჩევანით, სამწუხაროდ,

სწორედ მათ რიგებში აღმოჩნდა. პოლიკარპე კაკაბაძეს კი კომპრომისზე წასვლა და პიესის ფინალის დათმობა მაინც მოუხდა.

მოხსენების ფარგლებში შევეცდებით ზემოთ დასახელებული ორი ფაქტორის გათვალისწინებით, შევისწავლოთ და დავაკვირდეთ 20-30 წლების საბჭოთა ლიტერატურულ კრიტიკაში წარმოდგენილ შეფასებებს როგორც საკვლევი ტექსტების, ისე მათი ავტორების შესახებ.

Mariam Miresashvili

Sokhumi State University

Georgia, Tbilisi

Interpretations of the Period of "Thaw":

Georgian Example

Discussions about the culture and literature of the period of "thaw" (50-60 years of XX century), its trends and typical features have been continued up till now (there is not even consensus about its chronological framework). During this period the restrictions of censorship over art and literature were partially eased; it became possible to mirror the actual reality more widely and not one-sidedly. In spite of the above-mentioned, socialist realism still remained the only approved artistic method. It is true at the end of the sixties the revision of "canonic" definition of socialist realism came into being in the directives issued by the creative unions, but no serious effort to break out of the "socialist realist" framework had been made.

The tendencies, which were typical for the Soviet literature of the thaw period, found their reflection in the creations of those Georgian writers who established themselves on literary arena in the

1960s. The ideological unity of the Georgian writers of the “sixties” was based not on the pathos of the establishment but on the negation. The writers of the “sixties” totally opposed to all that had become an unbearable anachronism of the outer reality: lie, institute of “social order”, “neo-false classicism” (also referred to as Stalin’s “classicism”), etc. At the same time, they were the first who managed to “break” through the normative aesthetics of socialist realism, cover the deficit of sincerity of feeling and truthfulness existing in Georgian literary space, change partially the Stalinist tropes established in previous decades and bring Georgian literature closer to the actual reality.

In the article it is shown that in the 1950s and ‘60s a complete denial of typical for Stalin period metaphors which determined major pattern of narrative (e.g. trope of positive hero, family trope, war trope) did not take place; they were just revised and renovated. From this viewpoint, only the tropes which occupied the central place in Stalin culture are considered; an analysis has been made as to what changes they experienced, how they were manifested in the works of Georgian writers. Therewith, the author of the article consider the anti-trope of Stalinist culture which is associated with irony; it is noted that irony became the landmark of inconsistency between cultural values of the “thaw” (anti-monumentalism, honesty, cult of feelings, etc.) and the cultural values of the Stalin period.

მარიამ მირესაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

„დათბობის“ პერიოდის ინტერპრეტაციები: ქართული მაგალითი

დისკუსია „დათბობის“ პერიოდის (XX საუკუნის 50-60-იანი წლები) კულტურასა და ლიტერატურასთან, მის ტენდენციებსა და ნიშანდობლივ თავისებურებებთან მიმართებით დღემდე გრძელდება; არ არსებობს ერთიანი ხედვა „დათბობის“ ქრონოლოგიურ ჩარჩოებზეც კი. აღნიშნულ პერიოდში პარტიულმა ბიუროკრატია ნაწილობრივ შეასუსტა ცენზურის სიმკაცრე ხელოვნებისა და ლიტერატურის მიმართ; შესაძლებელი გახდა სინამდვილის მოვლენების უფრო ფართოდ და არაცალმხრივად ასახვა. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სოცრეალიზმი რჩებოდა ოფიციალური მიერ ერთადერთ აღიარებულ მხატვრულ მეთოდად. მართალია, 60-იანი წლების მიწურულს შემოქმედებითი კავშირების დადგენილებებში დაიწყეს სოცრეალიზმის „კანონიკური“ დეფინიციის ერთგვარი რევიზია, თუმცა საბოლოოდ მცირე კორექტირებაზე შეთანხმდნენ; კერძოდ, ადრინდელ ფორმულირებას ჩამოაცილეს მეორე ნაწილი, რომელიც ეხებოდა ხელოვნების საშუალებით კომუნისტური თაობის აღზრდის პერსპექტივას.

ტენდენციები, რომლებიც დამახასიათებელი იყო „დათბობის“ პერიოდის საბჭოთა მწერლობისთვის, სრულად აისახა იმ ქართველი მწერლების შემოქმედებაში, რომლებმაც 1960-იან წლებში დაიმკვიდრეს თავი სალიტერატურო ასპარეზზე. ქართველ „სამოციანელთა“ იდეური გაერთიანება განაპირობა არა დამკვიდრების, არამედ *უარყოფის პათოსმა*. „სამოციანელებმა“

უარყვეს ის, რაც მათი გარემომცველი სინამდვილისთვის აუტანელ ანაქრონიზმად იქცა: სიყალბე, „სოციალური დაკვეთის“ ინსტიტუტი, „ნეოცრუკლასიციზმი“ (იგივე „სტალინური კლასიციზმი“) და სხვა. იმავდროულად, მათ პირველებმა შეძლეს სოცრეალიზმის ნორმატიული ესთეტიკის „გარღვევა“, ქართულ სალიტერატურო სივრცეში არსებული გულწრფელობისა და სიმართლის დეფიციტის შევსება, წინა ათწლეულებში დამკვიდრებული სტალინური ტროპების ნაწილობრივ შეცვლა და ქართული მწერლობის ცხოვრებისეულ რეალობასთან დაახლოება.

სტატიაში აღნიშნულია, რომ 50-60-იან წლებში არ მომხდარა სრული უარყოფა სტალინური პერიოდის ტექსტებისთვის დამახასიათებელი მეტაფორებისა, რომლებიც განსაზღვრავდნენ ძირითად თხრობით მოდელებს (მაგ., დადებითი გმირის ტროპი, ოჯახის ტროპი, ომის ტროპი); ისინი მხოლოდ გადაამუშავეს და ახლებურად გაიაზრეს. აღნიშნული თვალსაზრისით განხილულია ტროპები, რომლებსაც ცენტრალური ადგილი ეკავათ სტალინურ კულტურაში; გაანალიზებულია, თუ რა ცვლილებები განიცადეს მათ, რა სახით წარმოაჩნდნენ ქართველი მწერლების ნაწარმოებებში. ამასთან, სტატიის ავტორი განიხილავს სტალინური კულტურის ანტიტროპს, რომელიც *ირონიას* უკავშირდება; აღნიშნავს, რომ ირონია გახდა შეუთავსებლობის ნიშანსვეტი “დათბობის” კულტურულ ფასეულობებს (ანტიმონუმენტალიზმი, გულწრფელობა, გრძნობათა კულტი და სხვ.) და სტალინური პერიოდის კულტურულ ფასეულობებს შორის.

Irine Modebadze

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Romanticism in Socialistic Realism (History of the Soviet Literary Studies)

The term “Socialist realism”, as a designation of a new “creative method”, was introduced in 1934, but comprehension of its meaning commenced much earlier, from 1918, when Lenin’s call – “the art must serve to the people!” was issued. In 1950-60s the tendency to expand the boundaries of the new esthetic paradigm intensified. In 1966, at A. M. Gorky Institute of World Literature (Moscow) the scientific conference “Significant Problems of Socialist Realism was arranged. There was justified necessity of “revision of the existing theoretical views” and distinguishing between the concepts of the “Soviet literature” and “socialistic realism” that were regarded as one and the same before. In 1968, there was published Aleksei Ovcharenko’s research “Socialistic realism and contemporary literary process”. The Soviet scientist justified the necessity of defining differences between the concepts of “method” and “style”, “romanticism” and “romance” and argued that in the depths of the Socialist Realism, existence of “Soviet romanticism” and “Soviet symbolism” was possible. One of the monograph chapters: “Romanticism in Soviet literature” became subject to extensive theoretical polemics, on the pages of “Literaturnaya Gazeta” [Literature Newspaper] and several magazines in 1969-1970. It was of great importance for development of Soviet literary studies. There was clearly revealed the crisis in theoretical comprehension of socialistic realism and need of new approach to assessment of artistic diversity in the Soviet literature.

The report discusses the views and arguments expressed by G. Pospelov, A. Dimshits, S. Petrov, B. Suchkov, G. Lomidze, M. Khrapchenko and A. Bushmin in the ideological paradigm and general cultural context of that period.

ირინე მოდებაძე

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

„რომანტიზმი სოციალისტურ რეალიზმში (საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიის ფურცლები)

„სოციალისტური რეალიზმი“, როგორც „შემოქმედებითი მეთოდის“ აღმნიშვნელი ტერმინი, დამკვიდრდა 1934 წელს, მაგრამ მისი მნიშვნელობის გააზრება გაცილებით ადრე, 1918 წლის იმ დღიდან დაიწყო, როდესაც გაჟღერდა ვლ. ლენინის მოწოდება – „ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს ხალხს!“ ახალი ესთეტიკური პარადიგმის საზღვრების დადგენა საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. 1950-60-იან წლებში გამყარდა მისი გაფართოების ტენდენცია. 1966 წ. მოსკოვის გორკის სახ. მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში (ИМЛИ) გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „Актуальные проблемы социалистического реализма“ /„სოციალისტური რეალიზმის აქტუალური პრობლემები“/, სადაც დასაბუთდა „არსებული თეორიული შეხედულებების გადახედვისა“ და „საბჭოთა ლიტერატურის“ და „სოცრეალიზმის“ იქამდე გაიგივებულ ცნებათა გამიჯვნის აუცილებლობა. 1968 წელს დაიბეჭდა ალექს. ოზჩარენკოს კვლევა „Социалистический реализм и современный литературный процесс“ /„სოციალისტური რეალიზმი და თანამედროვე ლიტერატურული პროცესი“/ (M.: „Советский писатель“, 1968, 316 გვ.).

მონოგრაფიაში საბჭოთა მეცნიერი ასაბუთებდა „მეთოდისა“ და „სტილის“, „რომანტიზმისა“ და „რომანტიკის“ ცნებათა სხვაობის განსაზღვრის აუცილებლობას და ამტკიცებდა, რომ სოცრეალიზმის წიაღში შესაძლებელია „საბჭოთა რომანტიზმისა“ და „საბჭოთა სიმბოლიზმის“ არსებობა. ამ ბოლო დებულების გამო, მონოგრაფიის ერთ-ერთი თავი „Романтизм в советской литературе“ („რომანტიზმი საბჭოთა მწერლობაში“) „ლიტერატურნაია გაზეთას“ („Литературная газета“) და რამდენიმე ჟურნალის ფურცლებზე 1969-70 წლებში გამართული მწვავე თეორიული პოლემიკის საგნად იქცა. დღევანდელი პერსპექტივიდან ამ პოლემიკის საგანი („რომანტიზმი სოციალისტურ რეალიზმში“) არა მხოლოდ უჩვეულოდ, არამედ პარადოქსულადაც ჟღერს, მაგრამ გასული საუკუნის 70-იან წლებში ამ საკითხისადმი მიძღვნილ პოლემიკას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის შემდგომი განვითარებისთვის: ნათლად გამოვლინდა სოცრეალიზმის თეორიული გააზრების კრიზისი და საბჭოთა მწერლობის მხატვრული მრავალფეროვნების შეფასებისადმი ახალი მიდგომის საჭიროება.

მოხსენებაში განიხილება გ. პოსპელოვის, ა. დიმშიცის, ს. პეტროვის, ბ. სუჩკოვის, გ. ლომიძის, მ. ხრაპჩენკოსი და ა. ბუმინის მიერ გამოთქმული აზრები და არგუმენტაცია იმდროინდელი იდეოლოგიური პარადიგმისა და ზოგადკულტურულ კონტექსტში.

Ivane Mchedeladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgia, Tbilisi

**“Burned Literature” of the Thaw Period in Ukraine:
Oles Honchar's Banned Novel "The Cathedral"**

Soviet liberalization, known as the "Thaw", was soon followed by repression. The method of repression was different from the brutality of the Stalin era. However, for complete control over culture and art, physical liquidation was replaced by psychological and moral pressure, prohibition, liquidation of publications.

Oles Honchar's novel "The Cathedral" is one of the prominent victims of the Soviet totalitarian cultural policy. The scandal surrounding it, persecution, slander, ban, etc., can be completely compared to the story of Boris Pasternak's "Doctor Zhivago".

Despite the fact that many Georgian researchers have discussed the work of Oles Honchar, this history of his cult novel has been delicately bypassed by everyone. The novel was published in 1968, and from the very beginning it met with unprecedented popularity. The famous publishing house "Dnipro" printed it with a huge circulation. The work describes the history of one of the temples of the Cossack era and the markers of the national narrative are clearly outlined. In modern scientific literature, the national narrative has been repeatedly named as a model of Soviet totalitarianism and opposition. Therefore, the novel immediately attracted the attention of the government. As they say, the party boss recognized himself in one of the characters, which played a special role in starting the prosecution against the author and his work.

Because of the "The Cathedral" they are persecuting me, destroying my life, treating me like an empty space," wrote a desperate Oles Honchar in his pocketbook, which saw the light of the sun quite late. In Soviet criticism and science, this work was regarded as a taboo for a long time. As it turns out from the latest studies, this work received a great response in Europe, in Ukrainian diasporic circles and in informal publications of dissidents. An article was published in the German press with a scandalous title – the novel that they could not burn, etc. Factually, the entire circulation was destroyed and it was republished quite late, at the end of perestroika period.

From the destroyed circulation of the novel, only gift copies survived, which were hidden in private/personal libraries for decades. One such copy of the liquidated circulation is kept in the personal library of Professor Otar Bakanidze in Georgia, with the commemorative inscription of the author.

The latest scientific and critical literature, periodicals of Ukrainian emigration regarding the mentioned novel will be analyzed in the context of researching the problems of nationalism and totalitarianism, "cultural imperialism" and colonialism. Based on scientific literature, unknown archival materials and manuscripts, little-known stories of the Ukrainian cultural context of the thawing period will be analyzed about the dissident movement, banned literature and other problems.

For analysis by such approach, for the report there was also applied qualitative research via with key informants interview.

Discussion of these issues is necessary to generalize the cultural and historical context of both the creation of the work and its unprecedented pursuit.

ივანე მჭედელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

დათბობის პერიოდის „დამწვარი ლიტერატურა“

უკრაინაში: ოლეს გონჩარის აკრძალული რომანი „ტამარი“

„დათბობის“ სახელით ცნობილ საბჭოურ ლიბერალიზაციას მალევე შეეპარა რეპრესიების სუსხი. რეპრესიების მეთოდი სტალინური ეპოქის სასტიკისგან განსხვავდებოდა. კულტურასა და ხელოვნებაზე სრული კონტროლისთვის ფიზიკური ლიკვიდაცია ფსიქოლოგიურმა და მორალურმა ზეწოლამ, აკრძალვამ, გამოცემათა ლიკვიდაციამ შეცვალა.

ოლეს გონჩარის რომანი „ტამარი“ საბჭოთა ტოტალიტარული კულტურული პოლიტიკის ერთ-ერთი გამორჩეული მსხვერპლთაგანია. მის გარშემო დატრიალებული სკანდალი, დევნა, ცილისწამება, აკრძალვა და ა.შ. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ბორის პასტერნაკის „ექიმი ჟივაგოს“ ისტორიას შეედაროს.

მიუხედავად იმისა, რომ არაერთ ქართველ მკვლევარს აქვს განხილული ოლეს გონჩარის შემოქმედება, მისი საკულტო რომანის ამ ისტორიას ყველამ დელიკატურად აუარა გვერდი. რომანი გამოქვეყნდა 1968 წელს და თავიდანვე არნახული პუპულარულობა ხვდა წილად. ცნობილმა გამოცემლობა „დნიპრომ“ უზარმაზარი ტირაჟით დაბეჭდა. ნაწარმოებში აღწერილია კაზაკთა ეპოქის ერთ-ერთი ტამრის ისტორია და მკაფიოდაა გამოკვეთილი ნაციონალური ნარატივის მარკერები. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღინიშნა ნაციონალური ნარატივი საბჭოთა ტოტალიტარიზმის და ოპოზიციურ

მოდელად. ამ პერიოდის უკრაინაში ნაციონალიზმი განსაკუთრებით გამოკვეთილ სახეს იღებს და ტოტალიტარიზმის მწვავე ოპოზიციურ მოდელად ფორმირდება. მაშასადამე, რომანმა იმთავითვე მიიპყრო ხელისუფლების ყურადღება. როგორც ამბობენ, ერთ-ერთ პერსონაჟში პარტიულმა ბოსმა ამოიციო თავისი თავი, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა ავტორისა და ნაწარმოების წინააღმდეგ დევნის წამოწყებაში.

„ტამრის“ გამო მდევნიან, სიცოცხლეს მიწამლავენ, არაფერად მაგდებენ“ – წერდა სასოწარკვეთილი ოლეს გონჩარი თავის უბის წიგნაკში, რომელმაც საკმაოდ გვიან იხილა მზის სინათლე. საბჭოთა კრიტიკასა და მეცნიერებაში ამ ნაწარმოებს დიდი ხნით ტაბუ დაედო. როგორც უახლესი კვლევებიდან ირკვევა, ამ ნაწარმოებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ევროპაში, უკრაინულ დიასპორულ წრეებში და დისიდენტთა არაფორმალურ გამოცემებში. გერმანულ პრესაში გამოქვეყნდა სტატია სკანდალური სათაურით – *რომანი, რომელიც ვერ დაწვეს* და ა.შ. ფაქტობრივად, მთლიანი ტირაჟი გაანადგურეს და საკმაოდ გვიან, ე.წ. პერესტროიკის მიწურულს გამოქვეყნდა ხელახლა.

რომანის განადგურებული ტირაჟიდან გადარჩა მხოლოდ სასაჩუქრე ეგზემპლარები, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ინახებოდა/იმალებოდა პირად ბიბლიოთეკებში. ლიკვიდირებული ტირაჟის ერთ-ერთი ასეთი უნიკალური ეგზემპლარი საქართველოშიც, პროფესორ ოთარ ბაქანიძის პირად ბიბლიოთეკაში ინახება ავტორის სამახსოვრო წარწერით.

ნაციონალიზმისა და ტოტალიტარიზმის, „კულტურული იმპერიალიზმისა“ და კოლონიალიზმის პრობლემათა კვლევის კონტექსტში გაანალიზდება უახლესი სამეცნიერო და კრიტიკული ლიტერატურა, უკრაინული ემიგრაციის პერიოდიკა აღნიშნული რომანის შესახებ. ავტორიტეტული სამეცნიერო ლიტერატურის, უცნობ საარქივო მასალებსა და ხელნაწერებზე დაყრდნობით გაანალიზდება დათბობის პერიოდის უკრაინული

კულტურული კონტექსტის ნაკლებადცნობილი ისტორიები დისიდენტური მოძრაობის, აკრძალული ლიტერატურისა და სხვა პრობლემების შესახებ.

მოხსენებისათვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევაც (*სიღრმისეული ინტერვიუები, რისთვისაც შეჩეულია ამ პროცესის თანამედროვეთა მოგონებები, შეფასებები და ა.შ.*).

ამ საკითხთა განხილვა საჭიროა, როგორც ნაწარმოების შექმნის, ისე მისი არნახული დევნის კულტურული და ისტორიული კონტექსტის განსაზოგადებლად.

Murad Mtvarelidze

Gori State University

Georgia, Khashuri

The Ambivalence of Giorgi Leonidze's Lyrics in Conditions of Socialist Realism and the Poet's Unknown

In the work of Giorgi Leonidze, the great Georgian poet of the 20th century, we consider to distinguish several stages, the most difficult of which is the second half of the twenties of the last century to almost the end of the thirties. At that time, the personal feelings of the poet and their fixation are contradictory: this similarity – difference is multi-charactered. These poetic works paradigmatically confirm the ambivalence of the poet's spiritual attitudes.

Giorgi Leonidze, like other “Tsisperkantseli” (“Blue Horns”-symbolist poets), met with a kind of nihilism the events going on in Georgia in the twenties of the last century; However, at the same time, the principles of socialist realism of the new era were reflected in his poetic works created during this period. It is natural that, in the

following period, his poetry faithfully followed the aspects characteristic of Soviet literature; On the other hand, the sincere aspiration of the poet towards the past of free Georgia is shown, which has become a distant dream in the present. On the one hand it might be wrapped in romantic traditions, but nourished by subtexts of protest against reality. All these allows us to say that the personal beliefs of the poet always revolved around the independence of the motherland. This can be clearly seen in the memories of the poet's contemporaries and in one still unknown impromptu. Unstudied by researchers of the history of Georgian poetry, this lyrical masterpiece, imprinted with a national charge, conveyed by the emotional memory of the poet, with an epochal spiritual mood, echoes the theme of such masterpieces of Giorgi Leonidze's analytical period as: "Night of Iveria", "Lochin's Grief", "Tbilisi Spring". "Old Georgia", "Black oak at Beach of the Black Sea"

These poems were written in 1925-1926 and reflect the elegiac mood of the poet due to the loss of the glory of old Georgia. An obvious protest due to the bloody terror that was raging in us at that time is not visible in these lyrical creations, however, through symbols and metaphors, modern readers can clearly feel Giorgi Leonidze's thoughts and emotions.

Especially noteworthy is the poem "Night of Iveria", about which the analysis developed and established in Georgian literary studies is completely different from reality. Neither the addressee of the poem, nor its tragic fate, nor the change of the text that this work underwent in subsequent editions, which is of great importance for evaluating the mood of the poet, is indicated and taken into account.

Later, due to a kind of transformation of the poet's views, which was caused by the directives of social realism and the strict censorship of the Georgian Soviet literature of the twenties and thirties, Giorgi Leonidze was forced to hide his beliefs in the background temporarily and activate his pen in the service of the new era.

მურად მთვარელიძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ხაშური

გიორგი ლეონიძის ლირიკის ამბივალენტურობა
სოციალისტური რეალიზმის პირობებში
და პოეტის უცნობი ექსპრომტი

მეოცე საუკუნის დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში აუცილებლად მიგვაჩნია გამოვყოთ რამდენიმე ეტაპი, რომელთაგან ყველაზე რთულია გასული საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევრიდან ოცდაათიანი წლების თითქმის მიწურულამდე. ამ დროს პოეტის პირადი განცდები და მათი ფიქსაცია წინააღმდეგობრივია: ეს მსგავსება – განსხვავება მრავალპლანიანი და მრავალსახეობრივია. ეს პოეტური თხზულებანი პარადიგმულად პოეტის სულიერი განწყობილებების ამბივალენტურობას ადასტურებს.

გიორგი ლეონიძე, სხვა ცისფერყანწელთა დარად, ერთგვარი ნიჰილიზმით შეხვდა გასული საუკუნის ოციანი წლების საქართველოში განვითარებულ მოვლენებს; თუმცა, ამავე დროს, ამავე პერიოდში შექმნილ მის პოეტურ თხზულებებში აისახა ახალი დროის, სოციალისტური რეალიზმის პრინციპები. ბუნებრივია, შემდგომ პერიოდში მისი პოეზია ერთგულად გაჰყვა საბჭოთა ლიტერატურისათვის ნიშანდობლივ ასპექტებს; მეორე მხრივ, იკვეთება პოეტის გულწრფელი სწრაფვა თავისუფალი საქართველოს წარსულისაკენ, რომელიც აწმყოში შორეულ ოცნებად იქცა. შესაძლებელია, ეს ერთი მხრივ იყო რომანტიკული ტრადიციებით შეფუთული, მაგრამ ქვეტექსტებით ნასაზრდოები პროტესტი რეალობის მიმართ. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ პოეტის პიროვნული მრწამსი მუდამ

უტრიალებდა სამშობლოს დამოუკიდებლობას. ეს კარგად ჩანს პოეტის თანამედროვეთა მოგონებებშიც და ერთ, დღემდე უცნობ ექსპრომტში. ქართული ლექსის ისტორიის მკვლევართათვის შეუსწავლელი ეს, ეროვნული მუხტით აღბეჭდილი, პოეტის ემოციური მეხსიერებით მოტანილი, ეპოქისეული სულიერი განწყობილებით დაღდასმული ლირიკული შედეგრი ეხმიანება გიორგი ლეონიძის საანალიზო პერიოდის ისეთი ლექსების თემატიკის, როგორცაა: „ღამე ივერიისა“ , „ლოჭინის მწუხრი“, „თბილისური გაზაფხული“, „ძველი საქართველო“, „შავი ზღვის პირს შავი მუხა“.

ეს ლექსები 1925-1926 წლებშია დაწერილი და აირეკლავს პოეტის ელემენტარულ განწყობილებას ძველი საქართველოს დიდების დაკარგვის გამო. ამკარა პროტესტი სისხლიანი ტერორის გამო, რაც იმხანად ჩვენში დატრიალდა, ამ ლირიკულ ქმნილებებში არ ჩანს, თუმცა სიმბოლოებისა და მეტაფორების მეშვეობით თანამედროვე მკითხველი ამკარად გრძნობს გიორგი ლეონიძის ფიქრსა და ემოციას.

განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსი „ღამე ივერიისა“, რომლის შესახებ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში შემუშავებული და დამკვიდრებული ანალიზი სრულიად ამცდარია რეალობას. არ არის მითითებული და გათვალისწინებული არც ლექსის ადრესატი, არც მისი ტრაგიკული ხვედრი და არც ტექსტის ის ცვლილება, რაც ამ ნაწარმოებმა შემდგომ გამოცემებში განიცადა, რასაც პოეტის განწყობილებების შესაფასებლად დიდი მნიშვნელობა აქვს.

შემდგომ, პოეტის შეხედულებათა ერთგვარი ტრანსფორმაციის გამო, რაც განაპირობა სოცრეალიზმის დირექტივებმა, ოცი-ოცდაათიანი წლების ქართული საბჭოთა ლიტერატურის მკაცრმა ცენზურამ გიორგი ლეონიძემ აიძულა, დროებით უკანა პლანზე გადაეწია საკუთარი მრწამსი და თავისი კალამი ახალი დროის სამსახურში ჩაეყენებინა .

Ketevan Nadareishvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

Medea and Totalitarian Ideology in “Colchian Medea in Kolkhoz” by G. Margvelashvili

One of the main discourses of the recently published novel “Colchian Medea in Kolkhoz” (2021) by Givi Margvelashvili, the prominent Georgian philosopher and writer, presents a strange, at first glance, interrelation that of Medea and Sovietism, the mythical heroine and a totalitarian ideology. But Medea’s story is a universal matrix able to display interaction of various dichotomies. This time the personage Medea appears to be her statue erected in Bichvinta (Georgia) in 1968. In that period of Georgia’s history, during the soviet regime, around Bichvinta was founded Citrus Soviet Farm, so called “Citrusovi Sovkhoz”, considered as a symbol of Sovietism by the writer.

But the author connects Medea’s statue with the Soviet regime not only because the monument was erected in the Soviet farm. Her monument displaying the murderous mother, as Margvelashvili views it, has an inner kinship, through her cruelty, with the statues of Lenin and Stalin, the leaders of Bolshevism.

The aim of the paper is to study one of the main discourses of the novel – the relationship between a totalitarian ideology and art objects. This is connected with discussing and studying the following issues: (1) what’s the point of reviving Medea’s statue; how is this act linked with a change of Medea’s destiny, therefore, with her rehabilitation; (2) what is the role of Ch. Wolff’s “Medea. Voices” presenting Medea as a victim of the totalitarianism in the process of her rehabilitation; (3) What outcomes can the possible revival of Lenin’s and Stalin’s

monuments have in acknowledging of their appraisal by a history both for the leaders themselves and for a society.

The conclusions of the paper will suggest useful insights for the studies of G. Margvelashvili's philosophical-literary discourse. At the same time they will facilitate the investigation of Medea's receptions, given that Medea's personage is presented here by a different art medium – by her statue.

ქეთევან ნადარეიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

საქართველო, თბილისი

მედეა და ტოტალიტარული იდეოლოგია გივი მარგველაშვილის წიგნში „კოლხი მედეა კოლხოზში“

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსისა და მწერლის, გივი მარგველაშვილის, ახლახანს (2021) გამოცემული წიგნის „კოლხი მედეა კოლხოზში“ ერთ-ერთი მთავარი დისკურსი, ერთი შეხედვით, უცნაურ მიმართებას – მედეასა და საბჭოეთის, მიტოსური გმირისა და ტოტალიტარული იდეოლოგიის მიმართებას წარმოგვიდგენს. თუმცა მედეას ამბავი ისეთ უნივერსალურ მატრიცად გვევლინება, რომელსაც მრავალნაირი დიქოტომიის გათამაშება ხელეწიფება. ამჯერად ნაწარმოების პერსონაჟი მედეა ლეგენდარული კოლხეთის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო – მედეას ქანდაკებაა, რომელიც 1968 წელს ბიჭვინთაში დაიდგა. იმ წლებში იქ ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, ე.წ. „ციტრუსოვი სავხოზი“ იყო გაშენებული, რაც მწერალს საბჭოეთის სიმბოლოდ აქვს გააზრებული.

თუმცა მედეას ქანდაკებას საბჭოეთთან მხოლოდ საბჭოთა მეურნეობაში მდებარეობა არ აკავშირებს. მედეას ქანდაკებას, რომელიც ავტორის აზრით, შვილების მკვლელ დედას წარმოგვიდგენს, თავისი სისასტიკით შინაგანი ნათესაობა აქვს საბჭოეთის ბელადებთან – ლენინთან და სტალინთან.

მოხსენებაში მიზნად ვისახავთ, განვიხილოთ ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი დისკურსი – მიმართება ტოტალიტარულ იდეოლოგიასა და ხელოვნების ობიექტებს შორის. ეს უკავშირდება ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემას, როგორებიცაა: 1) რატომ სურს პერსონაჟს, მწერალ ვაკუშს მედეას ქანდაკების გაცოცხლება; რა კავშირშია ეს ქმედება მედეას ბედისწერის შეცვლასა და შესაბამისად, მის რეაბილიტაციასთან; 2) რა როლს თამაშობს ქართველი მწერლის მედეას რეაბილიტაციის პროცესში გერმანელი ავტორის – ქ. ვოლფის წიგნი „მედეა: ხმები“, რომელშიც კოლხი ქალი ტოტალიტარული იდეოლოგიის მსხვერპლად გვევლინება; 3) რ შედეგები შეიძლება მოჰყვეს მედეას ქანდაკების კვალდაკვალ ლენინისა და სტალინის ძეგლების შესაძლო გაცოცხლებას ისტორიის მიერ მათთვის გამოტანილი შეფასების გასააზრებლად როგორც თავად ამ იდეოლოგიათვის, ისე მთლიანად საზოგადოებისთვის.

მოხსენების დასკვნები საყურადღებო იქნება გივი მარგველაშვილის ლიტერატურულ-ფილოსოფიური დისკურსის შესწავლის კუთხით, კერძოდ, იმის გასარკვევად, თუ რა მომართებას მოიაზრებს მწერალი ტოტალიტარულ იდეოლოგიასა და ხელოვნების ობიექტებს შორის, ქანდაკების სამყაროსა და წიგნის სამყაროს შიდა სივრცეს შორის. ამასთან ერთად, კვლევის შედეგები თავის წვლილს შეიტანს მედეას სახის რეციპირების შესწავლაში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მედეა ამ ნაწარმოებში ხელოვნების სხვა მედიუმით – ქანდაკების სახით არის წარმოდგენილი.

Ada Nemsadze

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Renewed *Tsiskari* and the End of Social Realist Criticism

After the resolution of the Central Committee of the USSR of April 23, 1932, the artistic vector of the Soviet state had to be developed by a new method – socialist realism. As the writer Alexander Fadeev said, writers should help the state to implement its goals and plans. It was obvious that an ideological dictatorship was being established in art, which left less and less room for creative freedom. Soon, all fields of art were adapted to new requirements, although this artificial process did not prove to be long-lasting in Georgian reality.

It was not even three decades that almost all fields of art began to renew and the foundations of social realism were gradually shaken. In 1957, the magazine *Tsiskari* began to be published, the products of which best reflect this process. In the renewed *Tsiskari*, the assessment of fiction texts starts from a completely different, new position and the discussion of new trends in literature begins, which *Tsiskari* criticism begins to display and outline quite boldly.

In the report, we discuss the literary criticism of the first twenty years of the Magazine (Guram Asatiani, Revaz Tvaradze, Tamaz Chkhenkeli, Otia Pachkoria, Koba Imedashvili, Tamaz Chiladze, Guram Gvedtsiteli, Guram Kankava, Akaki Bakradze...), as the end of social realist criticism; we analyze its character, innovations and tendencies.

ადა ნემსაძე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის

ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

განახლებული „ცისკარი“ და სოცრეალისტური კრიტიკის დასასრული

სსრკ ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვნებო ვექტორი ახალი მეთოდით – სოციალისტური რეალიზმით – უნდა გამართულიყო. როგორც მწერალმა ალექსანდრე ფადეევმა თქვა, მწერლები სახელმწიფოს უნდა დახმარებოდნენ დასახული მიზნებისა და გეგმების განხორციელებაში. აშკარა იყო, რომ ხელოვნებაში იდეოლოგიური დიქტატურა მყარდებოდა, რომელიც შემოქმედებითი თავისუფლებისათვის უფრო და უფრო ნაკლებ ადგილს ტოვებდა. მალე ხელოვნების ყველა დარგი გადაეწყო ახალ მოთხოვნებზე, თუმცე ეს ხელოვნური პროცესი ქართულ რეალობაში არ აღმოჩნდა მაინცდამაინც ხანგრძლივი.

სამი ათეული წელიც არ იყო გასული, რომ განახლების დასაწყისი ხელოვნების თითქმის ყველა დარგს დაეტყო, თანდათან მოირყა სოცრეალიზმის სამიწკველიც. 1957 წელს გამოსვლას იწყებს ჟურნალი „ცისკარი“, რომლის პროდუქციაც ამ პროცესს ყველაზე უკეთ ასახავს. განახლებულ „ცისკარში“ სრულიად სხვაგვარი, ახალი პოზიციებიდან იწყება მხატვრული ტექსტების შეფასება, იწყება საუბარი ლიტერატურის ახალ ტენდენციებზე, რომლის აფიშირებასა და ხაზგასმას „ცისკრის“ კრიტიკა საკმაოდ თამამად იწყებს.

მოხსენებაში განვიხილავთ ჟურნალის პირველი ოცწლეულის სალიტერატურო კრიტიკას (გურამ ასათიანი, რევაზ

თვარაძე, თამაზ ჩხენკელი, ოტია პაჭკორია, კობა იმედაშვილი, თამაზ ჭილაძე, გურამ გვერდწითელი, გურამ კანკავა, აკაკი ბაქრაძე...), როგორც სოცრეალისტური კრიტიკის დასასრულს, ვანალიზებთ მის ხასიათს, სიახლეებსა და ტენდენციებს.

Avtandil Nikoleishvili

Akaki Tsereteli State University

Georgia, Kutaisi

Towards the Realities Revealing Socialist Realism in Georgian Poetry of the Soviet Period

Despite the repressive governance policy that the communists carried out in every direction since the first years of getting hold of the political power, at the initial stage of the sovietization of Georgia, they were not able to completely come Georgian literature under the ideological influence. This is confirmed by the fact that several literary groups existed in Georgian literature until the end of the 1920s. This situation has changed significantly since the 1930s, when the government declared socialist realism as the only creative method of writing. In this way, the literature appeared in a strict ideological framework and subjected to the requirements of the Soviet policy. The mentioned event severely limited the process of free expression of opinion, and the authorities legalized the Soviet-era praising as the main purpose of writing.

Such government policy acquired such a large scale in the 1930s-1950s that most of the writers working at that time could not escape this phenomenon. Poetic appeals written jointly by famous poets became one of the popular forms of turning literature into an ideological

supplement of the political power of that time, by which they show leader a report on the country's successes. Almost all writers working in the mentioned period had to create artistic texts glorifying Soviet reality and thus, this became one of the main directions of their creative work. Unfortunately, this event had a very negative impact on the Georgian writing of that period. Artistic productions created according to the requirements of socialist realism no longer represent any literary value. There are many artistic texts that illustrate this in the works of Galaktion Tabidze, Giorgi Leonidze, Konstantine Lortkipanidze and other writers working at that time. Unfortunately, as a result of the powerful pressure of the Soviet ideological policy, they had to write poetic texts that extolled the current epochal reality in a conjunctive manner along with the poems expressing their true national-civic convictions.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

სოციალისტური რეალიზმის წარმომჩენი რეალიების შესახებ საბჭოთა პერიოდის ქართულ პოეზიაში

მიუხედავად იმ რეპრესიული მმართველობითი პოლიტიკისა, რომელსაც კომუნისტები ხელისუფლების ხელში ჩაგდების პირველივე წლებიდან ატარებდნენ ყოველი მიმართულებით, საქართველოს გასაბჭოების საწყის ეტაპზე ჩვენი მწერლობის იდეოლოგიურ მარწუხებში სრულად მოქცევა მათ მაინც ვერ შეძლეს. ამის დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 1920-იანი წლების ბოლომდე ქართულ მწერლობაში რამდენიმე ლიტერატურული დაჯგუფება არსებობდა. ეს მდგომარეობა

არსებითად იცვლება 1930-იანი წლებიდან, როცა ხელისუფლებამ მწერლობის ერთადერთ შემოქმედებით მეთოდად სოციალისტური რეალიზმი გამოაცხადა. ამ გზით ლიტერატურა მკაცრ იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოექცა და დაექვემდებარა საბჭოური პოლიტიკის მოთხოვნებს. აღნიშნულმა მოვლენამ მკვეთრად შეზღუდა აზრის თავისუფლად გამოხატვის პროცესი და მწერლობის უმთავრეს დანიშნულებად ხელისუფლებამ საბჭოთა ეპოქის მეხოტბეობა დააკანონა. ასეთმა მმართველობითმა პოლიტიკამ 1930-1950-იან წლებში იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ ამ მოვლენას თავი იმხანად მოღვაწე მწერალთა უმეტესობამ ვერ დააღწია. იმდროინდელი ხელისუფლების იდეოლოგიურ დანამატად ლიტერატურის გადაქცევის ერთ-ერთი პოპულარულ ფორმად იქცა ცნობილი პოეტების მიერ ერთობლივად დაწერილი პოეტური მიმართვები, რითაც ისინი ბელადს ქვეყნის წარმატებებზე აბარებდნენ პატაკს.

ხსენებულ პერიოდში მოღვაწე თითქმის ყველა მწერალი იძულებული იყო თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად საბჭოთა რეალობის განმადიდებელი მხატვრული ტექსტების შექმნა ექცია. ჩვენი მწერლობის განვითარებაზე მეტად ნეგატიური ზეგავლენის მომხდენი ამ მოვლენის წარმომჩენი ნაწარმოებები, რომლებიც დღეს აღარავითარ ლიტერატურულ ფასეულობას აღარ წარმოადგენს, მრავლად გვხვდება გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ალიო მირცხულავას, კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და იმხანად მოღვაწე ბევრი სხვა მწერლის შემოქმედებაში. სამწუხაროდ, საბჭოური იდეოლოგიური პოლიტიკის მძლავრი ზეწოლის შედეგად, ისინი იძულებული გახდნენ, თავიანთი ნამდვილი ეროვნულ-მოქალაქეობრივი მრწამსის გამომხატველ მხატვრულ ქმნილებებთან ერთად ისეთი ტექსტებიც დაეწერათ, რომლებიც კონიუნქტურული ფორმით განადიდებდნენ იმჟამინდელ ეპოქალურ სინამდვილეს.

Natalia Nikoriak, Aliona Matiychak

Yuriy Fedkovych Chernivtsi National University

Ukraine, Chernivtsi

**Socialist Realist Markers of Biopics "Taras Shevchenko" (1926)
and "Taras Shevchenko" (1951)**

The modern revision of both the literary heritage and the film heritage is quite a complicated task. Especially it comes to the period of Soviet totalitarianism, when many artists had to balance on the edge of party-dogmatic postulates and loyalty to the art, to make (or not make) forced compromises with the regime in order to preserve national paradigms. Biographical films are intended to provide reliable information about the life and activity of an outstanding personality, and not to perform ideological tasks or the function of propaganda. However, it is the genre of film biography that in full reveals the methods of socialist realist "totalitarianism". In this context, the dynamics of the interpretation of Kobzar figure in the film biographies "Taras Shevchenko" (1926) and "Taras Shevchenko" (1951) is quite demonstrative in the realm of the general formation specificity of the "pantheon of heroes" of the Soviet regime.

Still in the 1926 biopic by P. Chardynin, the first attempts to adapt Shevchenko's biography and creative heritage to the needs of Soviet ideology were made. Architectonically, the film consists of a series of novellas chronicling the writer's life – from childhood to his death. However, the biographical canvas is filled with socialist realist codes, creating a "convenient" image for the Soviet authorities. Traditional Soviet ideologemes appear in the 1926 biopic: "a prophet-kobzar", "an autodidact artist-serf", "a rebel", "a fighter for the liberation of the oppressed and dejected". This film is believed to start the

creation of a new image of Kobzar as "a forerunner of modern communist ideas." The 1951 film by I. Savchenko, shot on the eve of 90th anniversary of Kobzar's death, was a confirmation of the paradigm shift. Here, the attention is focused on the period of Shevchenko's exile, on his sufferings in the captivity. The film creates a heroic image of Shevchenko as "a symbol of the proletarian struggle" and "a fighter for socialist ideals". Soviet mythologemes actively appear in the 1951 biopic – "a poet-fighter", "a 'petrel' of the revolution", "a peasant poet", "a younger brother of the Russian social democrats". The film became a demonstrative example of the embodiment of the ideological socialist realist narrative and cinematographic Shevchenkiana had to be guided by it in the following decades.

Khatuna Nishnianidze

*Tbilisi Theological Academy and Seminary
Georgia, Tbilisi*

**Precolonial Period Political and Sociocultural State in „Davitiani”
and the History of its Study in Socialist Realism Era**

The history of the study of „Davitiani" counts almost more than a century and a half. Davit Guramishvili created not only own self-portrait but also a self-portrait of the whole nation. During his time living in Georgia, Russia and Ukraine he has never been distant from political and historical events.

The goal of our research is to answer the following questions: Under Soviet rule when nationalism was received as a thing of the past, how were the national and personal troubles represented in „Davitiani” perceived in scientific literature? How is the political and sociocultural

state reflected in „Davitiani” and how was it received in Soviet period? Were the political and sociocultural relations between Georgia, Russia and Ukraine described in „Davitian” being studied based on the information in various literary sources and archival materials? What indicators did Soviet comparative literature provide us with for analyzing „Davitiani”? Was Davit Guramishvili generally thought of as a uniting symbol of three nations or was it a Soviet propaganda? How was Davit Guramishvili’s artistic face portrayed across Georgia, Ukraine and Russia during the Soviet Union?

ხათუნა ნიშნიანიძე

*თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია
საქართველო, თბილისი*

პრეკოლონიური ხანის პოლიტიკური და სოციოკულტურული ვითარება „დავითიანში“ და მისი შესწავლის ისტორია სოციალისტური რეალიზმის ეპოქაში

„დავითიანის“ შესწავლის ისტორია თითქმის საუკუნე ნახევარზე მეტს ითვლის. დავით გურამიშვილი თავის პოემაში ქმნის როგორც თავის, ისე ერის, ნაციის ავტოპორტრეტს. იგი არასოდეს ყოფილა ისტორიული, პოლიტიკური მოვლენებისაგან დისტანცირებული პირი არც საქართველოში ყოფნისას, არც რუსეთსა თუ უკრაინაში ცხოვრების წლებში.

ჩვენი კვლევის მიზანია, პასუხი გავცეთ კითხვებს: სოციალისტურ ეპოქაში, საბჭოთა იდეოლოგიის მძვინვარებისა და წნეხის პირობებში, როცა ნაციონალიზმი მიიჩნეოდა წარსულის გაუმართლებელ რეციდივად, როგორ ფასდებოდა სამეცნიერო ლიტერატურაში „დავითიანში“ ასახული პიროვნული და ეროვ-

ნული განსაცდელი, ნაწარმოებში ვერბალიზებული ისტორიული და კულტურული ტრავმები? როგორ აისახა „დავითიანში“ პრეკოლონიური ხანის პოლიტიკური და სოციოკულტურული ვითარება და როგორია მისი რეცეფცია საბჭოთა პერიოდის მეცნიერებაში? საბჭოთა იდეოლოგიის მიერ მკაცრი კონტროლის პირობებში, „დავითიანში“ აღწერილი ქართულ, რუსულ და უკრაინულ სამყაროთა შორის არსებული პოლიტიკური და სოციოკულტურული მიმართებები გაიაზრებოდა/შეისწავლებოდა თუ არა სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროსა და საარქივო მასალებში დაცული ინფორმაციის საფუძველზე? რა მოდელებსა და მარკერებს გვთავაზობდა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა „დავითიანის“ ანალიზისას? სამი ერის ერთობისა და ძმობის სიმბოლოდ დავით გურამიშვილის სახელდება რეალობა იყო თუ საბჭოური მითი? როგორ ინტერპრეტირდებოდა დავით გურამიშვილის მხატვრული სახე საბჭოთა პერიოდის ქართულ, რუსულ და უკრაინულ ხელოვნებაში?

Lela Ochiauri

*Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
Georgia, Tbilisi*

Soviet Reality, "General Line" and "Artistic" Forgery in Georgian Cinema of the 30s

At the turn of the 1920s and 1930s, the framed and ideologised Georgian (Soviet) art was violated like flying comets by the flashes of individuals and small "artistic associations" and the brilliance of their created works of art. For the "full-fledged" persecution of art and artists, the Bolsheviks, at this, initial stage of "building a new country,"

had less free time (they had other "enemies of people" to destroy) and censorship had not properly and fully established solid guidelines.

Since 1932, officially (although the processes had already begun), the authorities of the Soviet Union, headed by Stalin and with the idea and dictates of Maxim Gorky, laid the foundation for a new and comprehensive ideology, course, "method of description" and legalized it as a universal mandatory "rule," the only acceptable form of thinking – Socialist Realism. The authority did everything to introduce it, to establish it, to declare any attempt to express creative freedom as "formalistic" and to start repression in culture.

In Soviet cinema (as in any field of art) – "social order", didacticism, straight-line propaganda, as well as limitation of themes, artificiality of conflicts and characters, over-simplification, fakeness and lies became the main issue. These processes have significantly changed the flow of Georgian culture/cinematography. A long era of surrogate, pseudo-art began. All the doors of freedom and free thinking, personal will, creative expression were closed. All the curtains came down.

The paper analyses how and what art turned into by censorship and ideology, subsequent events; how they influenced the fate of people. We are talking about the general trends of Georgian cinema of the 1930s; On the events developed around the cinema, which preceded and caused recognition, success, career achievements, rise of some and, in most cases, hearings, accusations, condemnations and repressions of others. Which meant and caused – persecution of individuals, creative, moral and physical destruction.

The paper talks about two of such directors, two cinematographers who, unwittingly and by the decision of the state, found themselves in opposite positions, with a radical fate – Nutsa Ghogoberidze and Mikheil Chiaureli. The first – being the first female Soviet film director – experienced all the manifestations and punishments of

victims of Soviet repression, Bolshevik terror. The second one – one of the founders of Georgian cinema – received all the privileges, all kinds of support and fame, and was fully honored (the fate of the few) to be "the first."

ლელა ოჩიაური

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

საბჭოთა რეალობა, „გენერალური ხაზი“ და „მხატვრული“ ნაყალბევი 30-იანი წლების ქართულ კინოში

XX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე, ჩარჩოებში მოქცეულ, იდეოლოგიზებულ ქართულ (საბჭოთა) ხელოვნებას კომეტების ქროლვასავით მაინც არღვევდნენ ინდივიდებისა და მცირერიცხოვანი „არტისტული გაერთიანებების“ ნათეები და მათი შექმნილი ხელოვნების ნიმუშების ბრწყინვალეობა. ხელოვნებისა და ხელოვანების „სრულფასოვანი“ დევნისთვის, ბოლშევიკებს, „ახალი ქვეყნის შენების“ საწყის ეტაპზე, ნაკლებად ეცალათ (ჯერ სხვა „ხალხის მტრები“ ჰყავდათ გასანადგურებელი) და არც ცენზურას ჰქონდა ჩამოყალიბებული მყარი ორიენტირები.

1932 წლიდან, ოფიციალურად (თუმცა პროცესები დაწყებული იყო) ხელისუფლებამ, სტალინით სათავეში, მაქსიმ გორკის იდეითა და კარნახით, ყოვლისმომცველ იდეოლოგიას, კურსს, „აღწერის მეთოდს“ ჩაუყარა საფუძველი და სავალდებულო „წესად“, ერთადერთ ფორმად დააკანონა – სოციალისტური რეალიზმი. ყველაფერი გააკეთა მის დასანერგად, დასამკვიდრებლად, შემოქმედებითი თავისუფლები ნებისმიერი

მცდელობის „ფორმალისტურად“ გამოსაცხადებლად და კულტურაში რეპრესიების დასაწყებად.

საბჭოთა კინოში (ხელოვნების ნებისმიერ სფეროში) მთავარი გახდა – „სოციალური დაკვეთა“, დიდაქტიკა, სწორხაზოვანი პროპაგანდა, რასაც თემატიკის შეზღუდვა, კონფლიქტებისა და ხასიათების ხელოვნურობა, სქემატურობა, სიყალბე მოჰყვა. ამ პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს ქართული კულტურის/კინემატოგრაფის დინების კალაპოტი. დაიწყო სუროგატული, ფსევდოხელოვნების ხანგრძლივი ეპოქა. თავისუფლებისა და თავისუფალი აზროვნების, პიროვნული ნების, შემოქმედებითი გამოხატვის ყველა კარი დაიკეტა. ყველა ფარდა დაეშვა.

მოხსენებაში საუბარია – თუ როგორად აქციეს ცენზურამ და იდეოლოგიამ, თანმდევმა მოვლენებმა ხელოვნება; როგორ მოახდინეს ადამიანების ბედზე გავლენა; 30-იანი წლების ქართული კინოს ტენდენციებზე; კინოს გარშემო განვითარებულ მოვლენებზე, რომლებიც წინ უძღოდნენ და იწვევდნენ – ერთთა აღიარებას, წარმატებებს, კარიერულ მიღწევებს, აღზევებას და უმეტეს შემთხვევაში, მეორეთა – დასმენებს, ბრალდებებს, დაგმობებსა და რეპრესიებს. რაც იწვევდა – დევნას, შემოქმედებით, მორალურ და ფიზიკურ განადგურებას.

განხილულია ორი რეჟისორის, კინომოვლენის ფილმები, რომლებიც, მათდა უნებურად და სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, საპირისპირო პოზიციებზე, რადიკალური ბედის აღმოჩნდნენ – ნუცა ლოლობერიძე და მიხეილ ჭიაურელი. პირველმა – პირველმა საბჭოთა კინორეჟისორმა ქალმა – რეპრესიების, ბოლშევიკური ტერორის მსხვერპლის ყველა გამოვლინება და სასჯელი გამოსცადა. მეორემ – ქართული კინოს ერთ-ერთმა ფუძემდებელმა – ყველა პრივილეგია, ხელშეწყობა და დიდება მიიღო და პატივი ერგო (მცირეთა ხვედრი), ყოფილიყო „პირველი“.

Tamar Paitchadze

Ivane Javakishvili Tbilisi State University

Georgia, Tbilisi

Social Realism and Modernism – to Comprehension Victims and Weapons

Talks and disputes about the deliberate suppression and blocking of modernist art in the era of Soviet totalitarianism began in the late 1980s. From this time, the point of view emerged, according to which modernism was an "intellectual victim", but not of the totalitarian consciousness or era in general, but specifically of Stalinism – as the founder of the "repressive model" and the strictest implementer of this policy.

This position represented a kind of one-sided or tendentious recognition, although it was far from the complete truth, and it was a practical manifestation or continuation of the well-known "Ottepel" policy, which should be considered a defining event of the public and creative existence of the second half of the 20th century, as an "ideological make-up" or "An unprecedented example of "liberal theateralization" and a new variation of politics, which was tried for the Soviet ideology: a pseudo-humane decision dictated from above, softened by the institution of a diktat, in exchange for years of repression, radical measures, an information vacuum and an existential crisis.

Discussing the relationship between modernism and social realism it is impossible without considering the incompatibility of artistic forms. Since the twenties, a laboratory for the universal establishment of totalitarianism in the public consciousness has actually been forged, which in itself meant propaganda by means of the art of cognition and consciousness.

Functional, developing socialist realism should overshadowed non-functional artistic elements of modernism.

This work was planned, it had several basic postulates, which were mainly based on accusations against the modernist worldview, namely: the decanonization of classical/models and thematic-aesthetic principles, montage, alienation, complex style, conventions, etc. The continuation of these dependencies was that social realist (i.e. new) creative politics and discourse, in contrast to the modernists, maintained that to the great creative "benefits" that classicism introduced – this position was, of course, a farce and a trap for the recipients.

Following these approaches, socialist realism had to expose modernist radical-pragmatic gestures, creative leftism, "bourgeois pessimism" and methodically clear the way from modernist art.

It was a synthetic and purposeful plan, which was neither started in the Stalinist era nor finished after it. It was a form of colonial "philosophy" in general, which took a maximalist form in physical manifestation, which meant not only violence against the text, but also the physical isolation of opponents.

თამარ პაიჭაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

სოცრეალიზმი და მოდერნიზმი – მსხვერპლისა და იარაღის გასაცნობიერებლად

საბჭოური ტოტალიტარიზმის ეპოქაში მოდერნისტული ხელოვნების მიზანმიმართული ჩახშობისა და დაბლოკვის შესახებ საუბარი და დავა 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ამ

დროიდან გამოიკვეთა თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც მოდერნიზმი იყო ყველაზე ცალსახა „ინტელექტუალური მსხვერპლი“, ოღონდ არა ზოგადად ტოტალიტარული ცნობიერებისა თუ ეპოქისა, არამედ კონკრეტულად „სტალინიზმისა“ – როგორც „რეპრესიული მოდელის“ დამფუძნებლისა და ამ პოლიტიკის უმკაცრესი გამტარებლისა. ეს პოზიცია კი წარმოადგენდა ერთგვარ ცალმხრივ ან ტენდენციურ აღიარებას, თუმცა სრული სიმართლისაგან ფაქტია, შორს იყო და ბუნებრივია „დათბობის/ოტტეპელის“ ცნობილი პოლიტიკის პრაქტიკული გამოვლინება თუ გაგრძელება იყო, რომელიც

XX საუკუნის II ნახევრის საზოგადოებრივ შემოქმედებითი ყოფის განმსაზღვრელ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, როგორც „იდეოლოგიური მაკიაჟის“ თუ „ლიბერალური თეატრალიზაციის“ უპრეცედენტო ნიმუში; ისევე როგორც საბჭოთა იდეოლოგიისთვის ნაცადი პოლიტიკის ახალი ვარიაცია: ზემოდან ნაკარნახევი ფსევდოჰუმანური გადაწყვეტილება, შერბილებული დიქტატის ინსტიტუტი – რეპრესიული წლების, რადიკალური ზომების, ინფორმაციული ვაკუუმისა და ეგზისტენციალური კრიზისის სანაცვლოდ.

მოდერნიზმისა და სოციალრეალიზმის ურთიერთობის განხილვა შეუძლებელია უპირველესად მხატვრულ ფორმათა შეუთავსებლობის გათვალისწინების გარეშე, ხოლო ოციანი წლებიდან ფაქტობრივად ყალობდება ტოტალიტარიზმის საზოგადოებრივ ცნობიერებაში საყოველთაო დამკვიდრების ლაბორატორია, რაც თავისთავად შემეცნებისა და ცნობიერების ხელოვნების ხერხით პროპაგანდისტულ გზებს გულისხმობდა. ფუნქციონალური, განვითარებადი სოციალისტური რეალისტური კანონის თვალსაზრისს უნდა უარეყო და გადაეფარა მოდერნიზმის ე.წ. არაფუნქციონალური მხატვრული ელემენტები. ეს სამუშაო გეგმიური იყო მას რამდენიმე საბაზო პოსტულატი გააჩნდა, რაც ძირითადად მოდერნისტული მსოფლმხედველობი-

სადმი ბრალდებებზე იყო დაფუძნებული. ეს იყო: კლასიკური მოდელების, თემატურ-ესტეტიკური პრინციპების დეკანონიზაცია, მონტაჟი, გაუცხოება, რთული სტილი, კონვენციები და ა.შ.

ამ დამოკიდებულებათა გაგრძელება კი ის იყო, რომ სოცრეალისტური (ანუ ახალი) შემოქმედებითი პოლიტიკა და დისკურსი მოდერნისტებისაგან განსხვავებით ინარჩუნებდა იმ დიდ შემოქმედებით „ბენეფიტებს“, რაც კლასიციზმმა დანერგა – ეს პოზიცია რასაკვირველია იყო ფარსი და მახე რეციპიენტებისთვის.

ამ მიდგომათა კვალობაზე სოცრეალიზმს უნდა ემხილა მოდერნისტული რადიკალურ – პრაგმატულ ჟესტები, შემოქმედებითი მემარცხენეობა, „ბურჟუაზიული პესიმიზმი“ და მეთოდურად გაეწმენდა გზა მოდერნისტული ხელოვნებისაგან.

ეს იყო სინთეზური და მიზანმიმართული გეგმა, რომელსაც არც სტალინურ ეპოქაში დაწყებულა და არც მისი შემდგომ დასრულებულა. ეს იყო ზოგადად კოლონიური „ფილოსოფიის“ სახე, რომელმაც მაქსიმალისტური ფორმა ფიზიკურ გამოვლინებაში მიიღო, რაც არა მხოლოდ ტექსტზე ძალადობას გულისხმობდა, არამედ ოპონენტთა ფიზიკურ იზოლაციას.

Tatyana Rybalchenko

Tomsk State University

Russia, Tomsk

Options for Rejecting the Identity of the Heroes of Modernist and Realistic Novels

(R. Musil "A Man Without Qualities", M. Gorky

"The Life of Klim Samgin". L. Leonov "The Thief")

It is supposed to compare the collisions of the rejection of the identity of the central characters of the novels of the 1920-1930s in the aesthetics of modernism (R. Musil "A Man without Qualities") and re-

alistic aesthetics (M. Gorky "The Life of Klim Samgin" and L. Leonov "The Thief"). A common thing is revealed - not a criticism of falling out of the socio-cultural framework of the "extra person", but the discovery of the tragedy of the individual in the latest civilization in the twentieth century (the civilization of the masses, standards and consumption of things and ideas). The proximity of criticism in the novels of traditional classical thinking to the ideas of T. Adorno, as well as the influence of European social and cultural catastrophes in the first half of the 20th century, is indicated. There is a difference in national criteria in assessing the fate of an "unidentifiable" person: the building of an individualistic utopia by the hero Musil (free love) and the impossibility of salvation outside the social process, the death of an independent individual in the chaos of new history. The phenomenology of Musil's poetics and the world-modelling poetics of mythologism in the Russian novels of Gorky and Leonov (the influence of Russian cosmism) are compared. The hidden polemic of the authors with the dominant system of political and humanistic ideas is proved, which is explained by the ambiguity of the authors' aesthetic positions, the irreducibility of understanding to one identical version.

Tamar Sharabidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

**„Undertakings Brought from Russia“ –
Lado Kotetishvili’s Short Story “Gveltucha”**

A strange fact has taken place in the history of Georgian literature – one of the best writers of the 20th century, who will soon take his rightful place among Georgian classics, became known to Georgian readers only in the 21st century, just a few years ago. His works have not been published in full yet. Relatives of the writer are still reading his manuscripts and preparing them for publication. Lado Kotetishvili, whose works were created in the 30s of the 20th century and which are mainly modernist, told his wife before his death never to publish them. His wife and children fulfilled his wish, but in the end, the generation of grandchildren considered it necessary to publish the writings of Lado Kotetishvili in memory of their grandfather. The response exceeded their expectations. Lado Kotetishvili’s works will attract many researchers and the writer will definitely be included in the textbook of the history of new Georgian literature because of his special style and worldviews.

Another circumstance should also be considered: Lado Kotetishvili did not publish his works. Of course, he writes for the intended reader, but he does not consider the general reader of his time, that is why he does not disguise himself in any of his works. Short story Gveltucha is also important due to the fact that it was written several years after the Sovietization of Georgia; and not for publication. Therefore, what is described in it is in full accordance with the reality and the author’s vision related to it.

თამარ შარაზიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველი ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

„რუსობისაგან მოტანილი საქმე“ – ლადო კოტეტიშვილის მოთხრობა „გველტუჩა“

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთი უცნაური ფაქტი მოხდა – მეოცე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მწერალი, რომელიც სულ მალე ქართველ კლასიკოსთა რიგებში დაიკავებს თავის ღირსეულ ადგილს, 21-ე საუკუნეში, სულ რამდენიმე წლის წინ, გახდა ქართული მკითხველისათვის ცნობილი. მისი შემოქმედება სრულად არ არის დაბეჭდილი. მწერლის ახლობელთა წრე ჯერაც მის ხელნაწერებს კითხულობს და გამოსაქვეყნებლად ამზადებს. ლადო კოტეტიშვილის შემოქმედება მე-20 საუკუნის 30-იან წლებში იქმნება და უმთავრესად მოდერნისტულია, მაგრამ მწერალს ასევე თავისუფლად შეუძლია სათქმელის რეალისტური გადმოცემაც. კოტეტიშვილის რეალისტური მოთხრობაა „გველტუჩა“, მთავარი პერსონაჟი გველტუჩა კი ძალიან ჰგავს ალექსანდრე ყაზბეგის პერსონაჟებს. ჰგავს იმით, რომ მოხევეა, მოხევეური მეტყველებითა და მოხევეური გულწრფელი ხასიათით, თუმცა „რუსობისაგან მოტანილი საქმის“ თავყანისცემით, ბოლშევიზმის იდეოლოგიისადმი ზრმა სიმპათიითა და მორჩილებით ის რენეგატი ხდება.

მოთხრობის თემა ქვეყანაში ბოლშევიზმის იდეოლოგიის შემოჭრა, მოქმედების არეალი განისაზღვრება საქართველოს სასაზღვრო კუთხეში შექმნილი მდგომარეობის აღწერით, რომელსაც მკითხველი მთელ საქართველოზე განაზოგადებს; დრა-

მის საფუძველი ადამიანის გაორებაა, „მშობისა და თანასწორობის“ ნიღბით შემოსული იდეოლოგიის გამარჯვება, რომელიც ადამიანს მორალურად ანგრევს, მკვლელად, მოღალატედ და ერთგულ მონად აქცევს. ლადო კოტეტიშვილი რეალისტურ სტილზე იმიტომ არ გადასულა, რომ საქართველოში მოდერნისტული ლიტერატურის მიმართ „სალიკვიდაციო სამუშაოები“ ჩატარდა და მთელმა რიგმა მოდერნისტულმა ჯგუფებმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადეს. მწერალი ერთდროულად ქმნის მოდერნისტულ და რეალისტურ ტექსტებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზემოთხსენებული ლიკვიდაციის მიუხედავად, საქართველოში დარჩა მოდერნიზმი იატაკქვეშ, ევროპულ მოდერნიზმზე ადრე არც ის შეწყვეტილა, და მისი წარმომადგენელი ლადო კოტეტიშვილი იყო.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ლადო კოტეტიშვილს თავისი ნაწარმოებები არ დაუბეჭდავს. ის მკითხველად არ მოიაზრებს თავისი დროის საზოგადოებას, ამიტომაც არც ერთ ნაწარმოებში არ ინიღბება და არ სჭირდება „მიწასთან (ხელოვნური) დაბრუნება.“ მოთხრობა „გველტუჩა“ იმათაც არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს გასაბჭოებიდან, რომელიც მოთხრობის თემაა, რამდენიმე წელშია დაწერილი, ამიტომ მასში აღწერილი სრულ შესაბამისობაშია სინამდვილესთან და მასთან დაკავშირებულ მწერლის ხედვასთან.

Ketevan Sikharulidze

*Ivane Javaxishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

**For the History of Soviet Folklore:
The Issue of the Relationship Between Folklore
and Pseudo-Folklore**

The folklore of the Soviet period was a particular stage in the history of folk creativity. To confirm its folk origin and legitimacy, the Soviet government armed itself with folklore tradition and actively developed work in this direction. This idea was first spoken by the Russian folklorist Sokolov, who considered it necessary to manage folklore ideologically.

At the beginning of the 1930s, according to party instructions, folklorists were instructed to help storytellers create a new type of work that reflected the magnificence of the new era. This is how the academic cooperation between the folklorist and the storyteller was established. Folklorists were instructed to guide the storyteller and edit their written texts, which is a falsification of traditional folk works.

In Soviet folklore, glorification works were created by imitating folk epics and poems. Authors painted party leaders like characters from folk epics. In this regard, a prominent place belongs to the mythologized images of Lenin and Stalin. At different stages of historical development, society often expected a savior hero with outstanding qualities. After the October Revolution, people's future political beliefs were connected to Lenin and Stalin. The party introduced new communist mythology by all means, and a large part of the population eagerly shared them. In some poems, one can really feel the direct attitude of the authors toward the leaders. The structure and other signs

of these works are folklore. Therefore, these works should be attributed to the field of folklore with certain clarifications.

The coexistence of pro-Soviet orality and the Soviet myth embedded in the people defines the folklore of the Soviet era, which was born after the October Revolution and ended with the death of Stalin.

ქეთევან სიხარულიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

საბჭოთა ფოლკლორის ისტორიისათვის: ფოლკლორისა და ფსევდო ფოლკლორის ურთიერთმიმართების საკითხი

ხალხური შემოქმედების ისტორიაში თავისებური საფეხური აღმოჩნდა საბჭოთა პერიოდის ფოლკლორი, რომელზე დაკვირვებამ სხვადასხვა სახის პრობლემა გამოკვეთა. თავისი ხალხური წარმომავლობისა და ლეგიტიმურობის დასადასტურებლად საბჭოთა ხელისუფლება შეიარაღდა ფოლკლორული ტრადიციით და ამ მიმართულებით აქტიურად გაშალა მუშაობა. ეს იდეა პირველმა გაახმოვანა ცნობილმა რუსმა ფოლკლორისტმა ი. სოკოლოვმა, რომელიც საჭიროდ თვლიდა ფოლკლორის იდეოლოგიურ მართვას.

1930-იანი წლების დასაწყისში პარტიული მითითებებით, ფოლკლორისტებს დაევაღათ, დახმარებოდნენ მთქმელებს ახალი ტიპის ნაწარმოებთა შექმნაში, რომლშიც აისახებოდა ახალი ეპოქის დიდებულება. ასე დამყარდა შემკრებსა და მთხრობელს შორის ლიტერატურული თანამშრომლობა. ეს კი ტრადიციული

ფოლკლორული შემოქმედების ფალსიფიკაციას წარმოადგენდა, რომლის შედეგად გაჩნდა შემკრებთა მიერ პროვოცირებული იდეოლოგიური შინაარსის მქონე ფსევდო ფოლკლორული ნაწარმოებები (ნოვინა-(ახალი ნაწარმოებები) და ფეიკლორი), რომლებიც იწერებოდა, ერთჯერადად სრულდებოდა და არ ვრცელდებოდა ვარიანტებად.

საბჭოთა ფოლკლორში სახოტბო ნაწარმოებები იქმნებოდა ხალხური ეპოსისა და ლექსების მიმზამველობით. პარტიულ ლიდერებსა და ცნობილ კომუნისტებს ავტორები ხალხური ეპოსის პერსონაჟების მსგავსად ხატავდნენ. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი ლენინისა და სტალინის მითოლოგიზებულ სახეებს ეკუთვნის. აქ თავს იჩენს მითოლოგიური ცნობიერების კანონზომიერება. ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოებაში ხშირად ჩნდებოდა მოლოდინი გამორჩეული თვისებების მქონე მხსნელი გმირისა. ამგვარი ფიგურები ცნობილია მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ხალხის არც თუ მცირე ნაწილის იმედები დაუკავშირდა ლენინს, შემდეგ კი სტალინს. პარტია ყველა საშუალებით ნერგავდა ახალ კომუნისტურ მითოლოგიას და მას მონდომებით იზიარებდა მოსახლეობის დიდი ნაწილი. ზოგიერთ ლექსში მართლაც იგრძნობა ავტორთა წრფელი დამოკიდებულება ბელადებისადმი. ფოლკლორულია ამ ნაწარმოებთა სტრუქტურა, პოეტური ლექსიკა, ტრადიციული ფორმულები. ამიტომ ეს ნაწარმოებები უნდა მივაკუთვნოთ ფოლკლორის სფეროს, რა თქმა უნდა, გარკვეული დაზუსტებებით.

პროსაბჭოური ზეპირსიტყვიერებისა და ხალხში ჩანერგილი საბჭოთა მითის თანაარსებობა განსაზღვრავს საბჭოთა ეპოქის ფოლკლორს, რომელიც დაიბადა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და დასრულდა სტალინის გარდაცვალებით.

Natia Sikharulidze

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Lyrical Impulse in the Framework of Social Realist Rhetoric (According to a poem by Galaktion Tabidze)

Galaktion Tabidze's first wife, Olya Okujava, experienced two deportations. Unfortunately, Olya never returned from her second exile in 1936. It was later discovered that she was shot in 1941, along with other prisoners, in the Oryol forest.

Naturally, Galaktion was deeply affected by Olya's exile, and he expressed his emotions through several poems. Alongside his well-known work "The Last Train," there is a belief that the poem "He went out of the house and did not return," published in 1940, as well as the expanded later version "****The window was clouded by the evening and the curtain," were written in response to Olya's exile.

By examining Galaktion's archival material, particularly the various versions of his poems from the late 1930s, it becomes apparent that he dedicated another poem to his wife's exile. However, in the final published version, the text underwent modifications that obscured its direct connection to the biographical fact. This pertains to the poem "Welding between dream and reality," which was printed in 1940.

The handwritten version of the poem reveals that Galaktion initially intended to write about his inability to propose to Olya and reconcile with her. However, the poet did not refine the poem artistically, choosing instead to rewrite the original text almost entirely.

Galaktion Tabidze's "Welding between dream and reality" serves as an example among many others that clearly illustrates how the original lyrical impulse was suppressed or adapted to conform to the constraints of existing reality and the rhetoric of social realism.

ნათია სიხარულიძე

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი*

საქართველო, თბილისი

ლირიკული იმპულსი სოცრეალისტური რიტორიკის ჩარჩოში

(გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის მიხედვით)

გალაკტიონ ტაბიძის პირველი მეუღლე, ოლია ოკუჯავა ორჯერ გადასახლეს. მეორე გადასახლებიდან (1936) ოლია აღარ დაბრუნებულა, როგორც შემდეგ გაირკვა, იგი 1941 წელს, სხვა პატიმრებთან ერთად, ორიოლის ტყეში დახვრიტეს.

გალაკტიონი, ბუნებრივია, საშინლად განიცდიდა ოლიას გადასახლებას და ამ მისთვის უმძიმეს ფაქტს რამდენიმე ლექსი მიუძღვნა. გარდა ყველასათვის ცნობილი ნაწარმოებისა „უკანასკნელი მატარებელი“, არსებობს მოსაზრება, რომ ოლიას გადასახლების გამო უნდა იყოს დაწერილი 1940 წელს გამოქვეყნებული ლექსი „სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“ და ამავე ნაწარმოების ვრცელი, გვიანდელი ვარიანტი „სარკმელი საღამომ და ფარდამ დაბურდა“.

გალაკტიონის საარქივო მასალის, უფრო ზუსტად კი, პოეტის 1930-იანი წლების ბოლოს დაწერილი ლექსების ვარიანტების შესწავლა ცხადყოფს, რომ მას მეუღლის გადასახლებისათვის კიდევ ერთი ლექსი მიუძღვნია, თუმცა საბოლოო, გამოქვეყნებულ ვარიანტში ტექსტი ისეა შეცვლილი, კონკრეტულ ბიოგრაფიულ ფაქტთან სიახლოვე აღარ შეინიშნება. ვგულისხმობთ 1940 წელს დაბეჭდილ ლექსს „შედულება ოცნებასა და სინამდვილეს შორის“.

ხელნაწერი ვარიანტი მეტყველებს, რომ გალაკტიონს ჩაფიქრებული ჰქონდა, ოლიასთან ვერგამოთხოვების, ვერდამშვი-

დობების თემაზე დაეწერა ლექსი. პოეტს თავდაპირველი ტექსტი მხატვრულად არ დაუხვეწავს, მუშაობის პროცესში იგი თითქმის მთლიანად გადახაზა. ამგვარად მან უარი თქვა ბიოგრაფიულ ფაქტზე მიმანიშნებელი ლექსის გამოქვეყნებაზე და შექმნა ნაწარმოების ახალი, მოკლე, განზოგადებული ვარიანტი, რომელში არსებულ სინამდვილისა და ოცნების გათიშვის, დამშვიდობების ზოგად მოტივს ვერავინ დააკავშირებდა ოლია ოკუჯავასთან.

გალაკტიონ ტაბიძის „შედუღება ოცნებასა და სინამდვილეს შორის“ ერთ-ერთი ნიმუშია

Hayate Sotome

Universiti of Tokyo

Japon, Tokyo

Does Snake Poison Work on Social Realism?

In 1927, philosopher Serge Danelia published an article of criticism “Vazha-Pshavela and Georgian Nation,” in which he discussed the poet Vazha-Pshavela’s conception and representation of nature. Among the topics discussed in this article, Danelia’s interpretation of the poem “Snake Eater” is of particular interest to us. To answer a question of why the snake poison did not work on the protagonist Mindia as soon as he ate snake meat, he offers the explanation that the meat was boiled and so the effect of poison was slowed down. This interpretation, of course, strikes us as excessively realistic. Where did this attitude come from? How much does Danelia’s account reflect the tendency of social realism of that time?

Danelia thought that Vazha-Pshavela represented nature as an endless circle, as opposed to the historical process, which moves in the direction of progress. Further, for Vazha, nature is not to be measured

by the good and evil of the events that occur in nature, but by its beauty. In Vazha's understanding, this beauty is woven into the fabric of nature itself and exists independent of human judgment. This conception of a transcendently beautiful, ahistorical nature, Danelia claims, belongs to an Eastern, paganistic worldview, which he poses as an antithesis to the Western, Christian conception of "history." This criticism can be explained by dialectical materialism.

According to the scholar, Vazha's representation of nature in "The Snake Eater" is fundamentally realist. The only reality that exists for the poet is independent nature. However, he criticizes, the poem also mixes a folktale into the realistic framework. Therefore, two different motifs, paganism and Christianity, are mixed in the work, which he regards as illogical; this destroys the any consistency in the poem's plot line or framework. According to this argument, he rejected the poem and regarded it as a "weak" work. This is an inadequate and unsuccessful reading, even giving credit to the value of his dialectical materialist analysis of Vazha's conception of nature.

Danelia's criticism shows a forced application of the conventions of realism to "The Snake Eater" – supposedly, as demanded by the period – and, from this point of view, ignores or denies the magical element in the poem. However, today the concept of materialism again attracts our attention under the name of "new materialism." While his evaluation of the poem is flawed, a part of Danelia's argument, in which he criticised the critic K'it'a Abashidze's understanding of Vazha-Pshavela as a symbolist poet, is convincing and invites more careful discussion.

ჰაიატე სოტომე

ტოკიოს უნივერსიტეტი

იაპონია, ტოკიო

მოქმედებს თუ არა გველის შხამი სოციალისტურ რეალიზმზე?

ფილოსოფოსმა სერგო დანელიამ 1927 წ. გამოაქვეყნა მიმოხილვა „ვაჟა-ფშაველა და ქართველო ერი“, რომელშიც იგი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ბუნების აღქმასა და წარმოსახვაზე მსჯელობს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა პოემა „გველის მჭამელის“ მისეული ინტერპრეტაცია. იმ კითხვის საპასუხოდ, თუ რატომ არ იმოქმედა მინდიაზე გველის შხამმა ჭამისთანავე, ფილოსოფოსი გვიხსნის, რომ გველის ხორცი მოხარშული იყო და მოხარშვამ შხამის მოქმედება შეასუსტა. ეს ინტერპრეტაცია, რასაკვირველია, გადაჭარბებით რეალისტურია და საკითხავია: საიდან მოდის ასეთი მიდგომა? და რამდენად ირეკლავს დანელიას ეს შეფასება იმდროინდელი „სოციალისტური რეალიზმის“ ტენდენციებს?

დანელია ფიქრობს, რომ ვაჟას ბუნება დაუსრულებელ წრედ აქვს წარმოდგენილი, ის არ იზომება სიავე-სიკეთით, რომელიც მასში ხდება ხოლმე, არამედ სილამაზით, რომელიც ჩაქსოვილია დამოუკიდებელ ბუნების წიაღში და არ ხორციელდება ისტორიულ პროცესში. ამგვარი უისტორიო ბუნება, როგორც ფილოსოფოსი ამბობს, აღმოსავლური, წარმართული მსოფლაღქმისა, რომელიც ანტითეზისია დასავლური, ქრისტიანული „ისტორიისა“. ასეთი მსოფლმხედველობა სწორედ დიალექტიკური მატერიალიზმია.

მკვლევრის აზრით, „გველის მჭამელში“ ვაჟა ბუნებას რეალისტური გზით წარმოადგენს. პოეტისთვის ერთადერთი

რეალობა სწორედ დამოუკიდებელი ბუნებაა და პოემაში მას ხალხური თქმულება რეალისტურ მსოფლმხედველობაში აქვს გადაყვანილი. შესაბამისად, წარმართობისა და ქრისტიანობის ორი სხვადასხვა მოტივი შერეულია ნაწარმოებში, რაც ლოგიკას უკარგავს მას და სიუჟეტის ლოგიკური ხაზი არ ჩანს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ს. დანელია პოემას იწუნებს და მას „სუსტ“ ნაწარმოებად მიიჩნევს. ამგვარი ინტერპრეტაცია, ჩვენი თვალსაზრისით, არ არის გამართლებული და ხსენებული დი-ალექტიკურ-მატერიალისტური მიდგომითაც კი წარუმატებელია.

ვფიქრობთ, დანელიას კრიტიკა „გველის მჭამელზე“ რე-ალისტური გაგების ნაძალადევი ადაპტირებაა, რომელიც, სავა-რაუდოდ, იმ პერიოდმა მოითხოვა, და აქედან გამომდინარე, პოემის ჯადოსნური ნაწილის უგულველყოფამდე და უარყო-ფამდე მიგვიყვანს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მატე-რიალიზმის კონცეპცია დღესდღეობით ლიტერატურათმცოდ-ნეობაში „ახალი მატერიალიზმის“ სახელით ხელახლა იპყრობს ყურადღებას. ბოლოს დავსძენთ, რომ მსჯელობის ის ნაწილი, რომელშიც კრიტიკოსი ეწინააღმდეგება კიტა აბაშიძის მოსაზ-რებას იმის თაობაზე, რომ ვაჟა სიმბოლისტი პოეტი იყო, გა-საზიარებელია და საკითხის განხილვა ამ ასპექტითაც არის საჭირო.

Tamta Surmava

Green School Didi Digomi

Georgia, Tbilisi

Literary Criticism of the Era of Social Realism: Moses Khonel's „Amirandarejaniani“

In ancient Georgian literature, Amirandarejaniani holds the distinction of being considered one of the oldest heroic-sarav-Indian works that have survived to this day. Its attributed author is Moses Khonel. A significant milestone in the textual research of this work was reached in 1838 when M. Brose published a comprehensive study on the origins of Amirandarejaniani, as noted by Al. Baramidze.

Even during the era of social realism, the study of heroic works persists, with researchers displaying a particular interest in exploring the timeliness, genre diversity, and compositional unity of Amirandarejaniani.

According to certain researchers, the text is believed to be a translated version of the lost Persian original, while others associate it solely with the Georgian context. The matters pertaining to Amirandarejaniani's connection to the archaic and classical epics, as well as the origin and evolution of various verses incorporated within the text, are examined as distinct topics of discussion.

In our presentation, we will endeavor to critically examine the viewpoints put forth by researchers from the previous century regarding Amirandarejaniani, and assess their pertinence and applicability in light of the amassed knowledge on the subject

თამთა სურმავა

მწვანე სკოლა დიდი დილოში

საქართველო, თბილისი

სოცრეალიზმის ეპოქის ლიტერატურული კრიტიკა მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ შესახებ

ძველ ქართულ მწერლობაში *ამირანდარეჯანიანი* ჩვენამდე მოღწეულ უძველეს საგმირო-სარაინდო თხზულებად, რომლის ავტორადაც მოსე ხონელია მიჩნეული. ტექსტის კვლევის ისტორია, როგორც ალ. ბარამიძე აღნიშნავს, 1838 წელს იწყება მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებული ნაშრომით *ამირანდარეჯანიანის* წარმომავლობის შესახებ. ამ ჰეროიკული თხზულების კვლევა სოცრეალიზმის ეპოქაშიაც გრძელდება; მკვლევრები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ *ამირანდარეჯანიანის* სადაურობის, ჟანრობრივი რაობისა თუ კომპოზიციური ერთიანობის საკითხების მიმართ: ზოგი მკვლევრის ვარაუდით, ტექსტი დაკარგული სპარსული ორიგინალის გადმოქართულებულ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს, ზოგი მეცნიერი კი მას მხოლოდ ქართულ რეალობას უკავშირებს; ცალკეა განხილული *ამირანდარეჯანიანის* არქაულსა და კლასიკურ ეპოსთან მიმართებისა და ტექსტში შემავალი სხვადასხვა კარის წარმომავლობისა და განვითარების საკითხები.

ჩვენს პრეზენტაციაში *ამირანდარეჯანიანთან* დაკავშირებით გასული საუკუნის მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვასა და, სადღეისოდ საკითხთან დაკავშირებით აკუმულირებული ცოდნის ფონზე მათი რელევანტურობისა და აქტუალურობის დადგენას შევეცდებით.

Solomon Tabutsadze

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

**Platon Kikodze –
An Adept of Proletarian Literature**

1. Platon Kikodze – One of the pioneers of Marxist-proletarian literary criticism;
2. Platon Kikodze's theory of artistic realism;
3. The basis of the proletarian writer's artistic thinking – romantic or heroic realism;
4. For the connection between artistic form and pathos, that is, against "subjectless lyrics";
5. Plato Kikodze and the problem of "literary companionship"

სოლომონ ტაბუცაძე

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი*

საქართველო, თბილისი

**პლატონ ქიქოძე –
პროლეტარული მწერლობის ადეპტი**

1. პლატონ ქიქოძე – მარქსისტულ-პროლეტარული ლიტერატურული კრიტიკის პიონერთაგანი;
2. მხატვრული რეალიზმის პლატონ ქიქოძისეული თეორია;
3. პროლეტარული მწერლის მხატვრული აზროვნების საფუძველი – რომანტიკული ანუ გმირული რეალიზმი;

4. მხატვრული ფორმისა და პათოსის ურთიერთმიმართებისათვის ანუ „უსაგნო ლირიკის“ წინააღმდეგ;

5. პლატონ ქიქოძე და „ლიტერატურული თანამგზავრობის“ პრობლემა.

Lali Tibilashvili

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Socialist Pseudo Humanism in Gulo Kobiashvili's Short Stories

Stories of contemporary writer, Gulo Kobiashvili describe, in humoristic manner, the antihuman events characteristic for Soviet Georgia. In her first collection of short stories “Poplar Trees” (1986), based on the principle of critical realism, the author discusses socialist pseudo-humanism and undermining of moral values. Particularly impressive for the readers are stories: “Pirate”, “Vana” etc. In the first story, the soviet bribe-taker inspector and violator neighbor cause troubles to the honest man, Nika Abuashvili. The author describes, with light, lively humor, how harmed Nika takes revenge over the immoral people. The other story is ironic, from the outset. It commences with the slogans characteristic for the soviet epoch: the kolkhoz must exceed the planned norm and take the honored place among the worthy ones: “...We shall obtain 2.5 kilograms of wool from each sheep, instead 2.4, specified in the plan... let us make sheep breeding feasible...” (“Vana”).

Gulo Kobiashvili's collection of short stories “Free as a Bird” (1998) demonstrates more prominently and freely the vices charac-

teristic for the soviet period. The author describes with the characteristic humor, the adventure of elderly citizen, party worker, brought up on Lenin's ideas, who came to the editor and demanded to publish his "masterpieces" (To the barrier"). Ekaterine, character of the story "Free as a Bird" is distinguished with fanatic dedication to the idea of socialism. She is a generalized image of the soviet citizens possessed by the cult of leader. The writer reveals bias and ossified nature of such people.

Gulo Kobiashvili's stories clearly reflect the writer's unbiased, healthy criticism to formal moral values falsified by socialist reality. The author's entire art is saturated with the humanism principles of Georgian literature and confronts false "morals" of the "new soviet human"

ლალი თიბილაშვილი

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

სოციალისტური ფსევდოჰუმანიზმი გულო კობიაშვილის მოთხრობებში

თანამედროვე მწერალ გულო კობიაშვილის მოთხრობებში იუმორისტულად არისაგადმოცემული ის ანტიჰუმანური მოვლენები, რომლებიც საბჭოთა საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. ავტორი პირველ კრებულ „ალვის ხეებში“ (1986 წ.) კრიტიკული რეალიზმის პრინციპით საუბრობს სოციალისტურ ფსევდოჰუმანიზმსა და ზნეობრივი ღირებულებების გაუფასურებაზე. მკითხველზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მოთხრობები: „მეკობრე“, „ვანა“ და სხვ. პირველ თხზულებაში

საბჭოთა მექრთამე ინსპექტორი და მოძალადე მეზობელი სიცოცხლეს უმწარებენ პატიოსან ნიკა აბუაშვილს. ავტორი მსუბუქი, ლაღი იუმორით გვიხატავს, თუ როგორ გადაუხდის სამაგიეროს დაზარალებული ნიკა უხნეო ადამიანებს. მეორე მოთხრობას თავიდანვე ირონიული ელფერი დაჰკრავს. იგი საბჭოთა ეპოქისათვის დამახასიათებელი ტიპური ლოზუნგებით იწყება: კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებულ ნორმას უნდა გადააჭარბოს და ღირსეულთა შორის საპატიო ადგილი დაიკავოს: „...თითოეული ცხვრიდან, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,4 კილოგრამისა, გავპარსავთ 2,5 კილოგრამ მატყლს... რენტაბელური გავხადოთ მეცხვარეობა...“ („ვანა“).

გულო კობიაშვილის მოთხრობების კრებულში „ლაღი, როგორც ფრინველი“ (1998 წ.) უფრო თამამად, მკვეთრად არის გამოხატული ის მანკიერი მხარეები, რომლებიც საბჭოთა პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი. ავტორი ჩვეული იუმორით აღწერს რედაქციაში მისული ხნიერი მოქალაქის თავგადასავალს, რომელიც ლენინის იდეებზე აღზრდილი პარტიული მუშაკია და რედაქტორისაგან უტიფრად მოითხოვს საკუთარი „შედეგების“ დაბეჭდვას („ბარიერთან“). სოციალიზმის იდეის ფანატიზმით გამოირჩევა მოთხრობის „ლაღი, როგორც ფრინველი“ მთავარი გმირი ეკატერინე, რომელიც განზოგადებული სახეა ბელადის კულტით შეპყრობილი საბჭოთა მოქალაქეებისა. მწერალი ამხელს ამგვარი ადამიანების სუბიექტივიზმსა და ჩამორჩენილობას.

გულო კობიაშვილის მოთხრობები მკაფიოდ ასახავს მწერლის ობიექტურ, ჯანსაღ კრიტიკას სოციალისტური სინამდვილის მიერ გაყალბებული ფორმალური ზნეობრივი ღირებულებების მიმართ. ავტორის მთელი შემოქმედება განმსჭვალულია ქართული მწერლობის ჰუმანისტური პრინციპებით და უპირისპირდება „ახალი საბჭოთა ადამიანის“ ყალბ მორალს.

Miranda Tkeshelashvili

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Transformation of Children's Literature of the Era of Socialism from an Ideological Text to an Anti-Soviet Narrative

Foundation for the creation of "new children's literature" throughout the Russian Empire, was laid in the works of folk writers of the 1970s and 1980s, but the new paradigm of children's reading was established in the 1920s and 1930s after the October Revolution. In the same years, children's publishing houses came under the control of the Communist Party. Socialism was chosen as a model of public order, which meant that the variety of stories had to be related to the problem: "The child and the society under construction."

The main feature of the "old" children's literature was didacticism, in the new era they tried to find an alternative to it - an "advanced" ideological-artistic beginning, which would focus on the utopian future of humanity in modern reality. Such false values were being provided to young children, such as learning about the history of the Bolshevik Party and revolutionary places, idealizing Bolshevik leaders instead of national heroes and cultural values, and instilling loyalty to utopian goals. "Our children were brought up by our party, its deeds are burning in our hearts,/ let us live to create an endless, wonderful future,/ we are loyal to the great Lenin." Such was the false pathos and spirit of the Little Octobrists.

From the middle of the 20th century, from the so-called post-Stalinist era, including the late socialism, children's literature gradually begins to work in a relatively free mode, among them, surrounded by strict ideological constraints. Obviously, under the pressure of communist ideology, even children's literature could not be completely freed

from it, but it gave more opportunities, using the genres of fairy tales and fables, with the victory of Aesop's language, for the authors to reflect the painful problems of modern society. Therefore, it was no coincidence that many excellent writers of this era used children's literature to present the vices of the era and, at the same time, created highly artistic reading for younger readers (Archil Sulakauri, Karaman Kikvidze, Levan Bolkvadze...). The report shows exactly this change from strictly ideological texts to an almost anti-Soviet narrative, which, in the form of a children's work, managed to avoid the watchful eyes of the censors and reach the readers.

მირანდა ტყეშელაშვილი

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

სოციალიზმის ეპოქის საბავშვო მწერლობის ტრანსფორმაცია იდეოლოგიური ტექსტიდან ანტისაბჭოთა ნარატივამდე

რუსეთის იმპერიის მასშტაბით, „ახალი საბავშვო ლიტერატურის“ შექმნას საფუძველი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში, ხალხოსან მწერალთა შემოქმედებაში ჩაეყარა, მაგრამ საბავშვო საკითხავის ახალი პარადიგმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1920-30-იან წლებში გაფორმდა. ამავე წლებში საბავშვო გამომცემლობები კომუნისტური პარტიის კონტროლს დაექვემდებარა. საზოგადოებრივი წყობის მოდელად არჩეული იქნა სოციალიზმი, რაც იმას ნიშნავდა, რომ სიუჟეტების მრავალფეროვნება უნდა დაკავშირებოდა პრობლემას: „ბავშვი და მშენებარე საზოგადოება“. „ძველი“ საბავშვო ლიტერატურის მთავარი თავისებურება იყო დიდაქტიზმი, ახალ დროში ცდილობდნენ მისთვის ალტერნატივა მოეძებნათ – „მოწინავე“ იდეურ-

მხატვრული საწყისი, რომელიც თანამედროვე სინამდვილეში კაცობრიობის უტოპიურ მომავალზე მოახდენდა ფოკუსირებას. ხდებოდა მცირე ასაკის ბავშვებისათვის ისეთი ყალბი ფასეულობების მიწოდება, როგორც იყო ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და რევოლუციური ადგილების გაცნობა, ბოლშევიკი ბელადების იდეალიზება ეროვნული გმირებისა და კულტურული ფასეულობების ნაცვლად, უტოპიური მიზნების ერთგულების ჩანერგვა. „ბავშვები გვზარდა ჩვენმა პარტიამ, მისი საქმენი გულში ანთია,/ ვიცოცხლოთ, რათა დაუსრულებლივ, საოცრებანი შევქმნათ ულვეი,/ დიდი ლენინის ვართ ერთგულები.“ ასეთი იყო პატარა ოქტომბრელთა ყალბი პათოსი და სულისკვეთება.

მე-20 საუკუნის შუახანებიდან კი, ე.წ. პოსტსტალინისტურ ეპოქიდან, გვიანი სოციალიზმის ჩათვლით, მკაცრ იდეოლოგიურ მარწუხებში მოქცეული, მათ შორის, საბავშვო მწერლობა თანდათან იწყებს შედარებით თავისუფალ რეჟიმში მუშაობას. ცხადია, კომუნისტური იდეოლოგიის წნეხის პირობებში, მისგან სრულად გათავისუფლებას ვერც საბავშვო ლიტერატურა მოახერხებდა, მაგრამ ის მეტ საშუალებას იძლეოდა, ზღაპრებისა და იგავ-არაკის ჟანრების გამოყენებით, ეზოპეს ენის მომარჯვებით, ავტორებს თანამედროვე საზოგადოების მტკივნეული პრობლემები აესახათ. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ამ ეპოქის არაერთმა შესანიშნავმა მწერალმა სწორედ საბავშვო ლიტერატურა გამოიყენა ეპოქის მანკიერებების წარმოსაჩენად და ამასთან, უმცროსი ასაკის მკითხველისათვის მაღალმხატვრული საკითხავიც შექმნა (არჩილ სულაკაური, ყარამან კიკვიძე, ლევან ბოლქვაძე...).

მოხსენებაში წარმოჩენილია სწორედ ეს ცვლილება მკაცრად იდეოლოგიზებული ტექსტებიდან თითქმის ანტისაბჭოთა ნარატივამდე, რომელიც, საბავშვო ნაწარმოების სახით ახერხებდა ცენზურის მოდარაჯე თვალის არიდებას და მკითხველამდე მიღწევას.

Tamar Tsagareli

*Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
Georgia, Tbilisi*

Avant-garde Movement in Georgian Ballet and Socialist Realism

In the second half of the 20th century, when it became possible to „shake“ the „Iron Curtain“ and wide cultural exchanges with foreign countries began, anti-romantic tendencies entered Soviet art.

The widespread presentation of American and European ballet art in Georgia made it clear that the isolation of Soviet ballet art from the world dance culture hindered the modernization of the ballet theater that began at the beginning of the century, and that during this time a number of fundamentally new artistic concepts emerged in foreign music, choreography and scenography.

At the same time, it became clear that the avant-garde movement in the ballet theater was formed as an anti-romantic direction.

Its legalization in Soviet art could not influence of the Vakhtang Chabukiani's work – an artist whose artistic thinking was marked by the reformist spirit from the beginning.

It is another question, if one of the founders of the realistic, heroic-romantic ballet theater was ready to completely abandon his artistic credo.

This hidden access to anti-romantic aesthetics was made possible by concentrating the creative potential of a number of choreographers in the theater. These artists had the ability to think adequately of the constantly changing avant-garde innovations of the second half of the 20th century. It is significant that this process was initiated in our theater by Vakhtang Chabukiani in 1961 with the performance of

Sulkhan Tsintsadze's ballet „Demon“ (The stage conductor of the performance is Didim Mirtskhulava. Artist – Ivane Askurava).

Ballet, which was clearly a new word in Chabukiani's work, showed us that he was ready to reform the aesthetics of traditional ballet.

The new touches introduced in the music and choreography of the Georgian ballet changed the face of the ideal graphics of the classical dance construction. This, of course, led to the breaking of ballet poses, and sometimes to their grotesque intensity.

თამარ ცაგარელი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

ავანგარდული მოძრაობა ქართულ ბალეტში და სოციალისტური რეალიზმი

XX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც შესაძლებელი გახდა „რკინის ფარდის“ ერთგვარი „შერხევა“ და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ფართო კულტურული გაცვლები დაიწყო, საბჭოთა ხელოვნებაში ანტირომანტიკულმა ტენდენციებმა შემოაღწია.

ამერიკული და ევროპული საბალეტო ხელოვნების ფართოდ წარმოდგენამ საქართველოში ცხადი გახადა, რომ მსოფლიო საცეკვაო კულტურისაგან საბჭოთა საბალეტო ხელოვნების იზოლირებამ შეაფერხა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში დაწყებული საბალეტო თეატრის მოდერნიზება, რომ ამ ხნის მანძილზე საზღვარგარეთის მუსიკასა, ქორეოგრაფიასა და სცენოგრაფიაში აღმოცენდა მთელი რიგი პრინციპულად ახალი მხატვრული კონცეფციები.

ამასთანავე, ნათელი გახდა, რომ ავანგარდული მოძრაობა საბალეტო თეატრში ანტირომანტიკულ მიმართულებად ჩამოყალიბდა.

საბჭოურ ხელოვნებაში მის ლეგალიზაციას, არ შეეძლო, გავლენა არ მოეხდინა ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედებაზე – ხელოვანისა, რომლის მხატვრული აზროვნებაც თავიდანვე რეფორმატორული სულისკვეთებით იყო ნიშანდებული.

სხვა საკითხია, თუ რეალისტური, ჰეროიკულ-რომანტიკული საბალეტო თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი რამდენად იყო მზად იმისთვის, რომ სავსებით შელეოდა თავის მხატვრულ კრედოს.

ანტირომანტიკული ესთეტიკის ეს გამალებული წვდომა შესაძლებელი გახდა თეატრში არაერთი ქორეოგრაფის შემოქმედებითი პოტენციალის კონცენტრირების გზით. ამ ხელოვათ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მუდმივად ცვალებადი ავანგარდული ნოვაციების ადეკვატური აზროვნების უნარი ჰქონდათ. ნიშანდობლივია, რომ ჩვენს თეატრში ამ პროცესს სათავე სწორედ ვახტანგ ჭაბუკიანმა დაუდო 1961 წელს სულხან ცინცაძის ბალეტის „დემონის“ დადგმით. (სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორი დიდიმ მირცხულავა. მხატვარი – ივანე ასკურავა).

ბალეტმა, რომელიც აშკარად ახალი სიტყვა იყო ჭაბუკიანის შემოქმედებაში, გვიჩვენა, რომ იგი მზად იყო ტრადიციული ბალეტის ესთეტიკის რეფორმირებისთვის.

ქართული ბალეტის მუსიკასა და ქორეოგრაფიაში შემოტანილი ახალი შტრიხები სახეს უცვლიდა კლასიკური ცეკვის კონსტრუქციის იდეალურ გრაფიკას. ეს, რასაკვირველია, იწვევდა საბალეტო პოზების მსხვრევას, ხოლო შიგადაშიგ – მათს გროტესკულ სიმძაფრეს.

Maia Tsertsvadze

Georgian Technical University

Georgia, Tbilisi

" Socialist Realism" by Akaki Beliashvili
(based on several short stories)

The creative activity of the Georgian writer Akaki Beliashvili (1903-1961) is characterized by productivity and his works are known for their genre, thematic and stylistic diversity. His literary legacy includes collections of short stories, a series of historical and other thematic novels, fiction essays, film scripts, numerous publicistic and literary-critical letters, non-fiction, including memoir and travel genre texts.

It is worth noting that Akaki Beliashvili, who lived and worked in the Soviet era, at the initial stage of his writing activity was a follower of the most radical avant-garde trend – futurism and an active member of the literary group "Futurist-Lefers (Lefelerebi)", which started the path of self-liquidation in the late 1920s.

In the later period, when due to harsh ideological-political pressure, literature was transferred to the only literary-artistic method, allowed and dominated by the Soviet censorship – socialist realism, the writer, like many of his colleagues, was forced to take account of this sad reality and pay a kind of literary tribute to it. The fact that his closest relatives – his brother, researcher Lado Beliashvili (1906-1961) and his brother-in-law, poet Giorgi Gamkrelidze (1903-1975) – avoided the Bolshevik power and were in exile abroad created an increased threat of repression and even liquidation.

Despite this, Akaki Beliashvili, like other talented writers of the Soviet era, managed to create such texts that went beyond the time-space conditions of the most difficult era and acquired more important

meaning. They are distinguished from the Soviet conjunctural works by the fact that they do not belong only to the history of literature or are only the matter of its research, but they are actual even nowadays.

Our report, presented at the symposium, is dedicated to several such satirical short stories by Akaki Belashvili – the writer who died tragically and whose 120th birthday we are celebrating this year.

მაია ცერცვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

აკაკი ბელიაშვილი „სოციალისტური რეალიზმი“ (რამდენიმე ნოველის საფუძველზე)

ქართველი მწერლის აკაკი ბელიაშვილი (1903-1961) შემოქმედებითი მოღვაწეობა ნაყოფიერებით, ხოლო მისი თხზულებები ჟანრობრივი, თემატური და სტილური მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა მოიცავს ნოველებისა და მოთხრობებისა კრებულებს, ისტორიული და სხვა თემატიკის რომანების სერიას, მხატვრულ ნარკვევებს, კინოსცენარებს, მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ თუ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, დოკუმენტური პროზის, მათ შორის მემუარული და სამოგზაურო ჟანრის ტექსტებს.

აღსანიშნავია, რომ აკაკი ბელიაშვილი, რომელსაც ცხოვრება და მოღვაწეობა მეტწილად საბჭოთა ეპოქაში მოუხდა, თავისი მწერლური საქმიანობის საწყის ეტაპზე იყო ყველაზე რადიკალური ავანგარდისტული მიმდინარეობის – ფუტურისმის მიმდევარი და აქტიური წევრი „ფუტურისტ-ლექსების“ ლიტერატურული დაჯგუფებისა, რომელიც 1920-იან წლების ბოლოს თვითლიკვიდაციის გზას დაადგა.

შემდგომ პერიოდში, როცა უხეში იდეოლოგიურ-პოლიტიკური ზეწოლის გამო ხდებოდა ლიტერატურის გადაყვანა საბჭოთა ცენზურის მიერ ნებადართული და გაბატონებული ფაქტობრივად ერთადერთი ლიტერატურულ-სახელოვნებო მეთოდის – სოციალისტური რეალიზმის რელსებზე, მწერალი მრავალი თავისი თანამოკალმის მსგავსად იძულებული გახდა გაეთვალისწინებინა ეს სავალალო რეალობა და ერთგვარი ლიტერატურული ხარკი გაედო. რეპრესირებისა და სიცოცხლის მოსპობის მომეტებულ საფრთხეს უქმნიდა მას ის გარემოებაც, რომ ბოლშევიკურ ხელისუფლებას გარიდებოდნენ და საზღვარგარეთ ემიგრაციაში იმყოფებოდნენ მისი უახლოესი ნათესავები – ძმა, მკვლევარი ლადო ბელიაშვილი (1906-1961) და ცოლისძმა, პოეტი გიორგი გამყრელიძე (1903-1975).

აღნიშნულის მიუხედავად, აკაკი ბელიაშვილმა, ისევე როგორც საბჭოთა ეპოქის სხვა ნიჭიერმა მწერლებმა, მოახერხა შეექმნა ისეთი ტექსტებიც, რომლებიც ურთულესი ეპოქის დროსივრცულ მოცემულობას გასცდნენ და უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინეს. საბჭოთა კონიუნქტურული თხზულებებისაგან განსხვავებით ისინი მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებად და კვლევის საგნად არ დარჩნენ და სადღეისო აქტუალობაც გააჩნიათ.

სიმპოზიუმზე წარმოდგენილი ჩვენი მოხსენება ეძღვნება რამდენიმე ასეთ სატირულ ნოველას აკაკი ბელიაშვილისა – ტრაგიკულად დაღუპული მწერლის, რომელსაც წელს დაბადებიდან 120 წელი შეუსრულდა.

Lela Tsiphuria

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgia, Tbilisi

**Shalva Dadiani's *The Yesterday's People*:
the Theatrical Version of the Play in the Period
of Developed Socialism**

Shalva Dadiani's play *The Yesterday's People* was written in 1917, long before the establishment of the Socialist Realism method and the Soviet Union itself. In the 1930s, Georgian literary critics put the writer's early works in the Soviet ideological context and compared them to the works of Maxim Gorky, the founder of Socialist Realism.

What does one of the best examples of Georgian drama have in common with the works of a classic of Russian literature? Why was Shalva Dadian's dramaturgy denounced as one of the earliest examples of Socialist Realism? Why are the characters of the play unique and why did the author judge them? To what extent was the fate of the play determined by the time factor? These issues will be discussed in the paper.

In 1972, by that time already well-known theatre director Temur Chkheidze staged *The Yesterday's People* in Rustaveli Theater. What created his interest towards the play written in 1917 in the period of so-called Developed Socialism? How was realism understood in the seventies 1970s and how this understanding differed from the realism of the literary works of the beginning of the century?

Temur Chkheidze considered this play among his top three productions. In the paper, we will discuss the main messages of the theatre director, communicated through the play by Shalva Dadiani, and their consistency with the playwright's concept.

In the performance, the stage space was occupied by only one long table. This pictorial solution, proposed by the stage designer Mikheil Chavchavadze, became a visualized metaphor of the world view of the playwright and the theatre director. This metaphor has become a classic of Georgian scenography. The paper will present an analysis of interesting facts about the tandem work of the director and scenographer, based on the materials preserved in the Rustaveli Theater Museum.

Based on the materials of the press of the 1970s, we will show, how in the period of developed socialism the performance, and the play, was evaluated, and how *The Yesterday's People* is seen today.

ლელა წიფურია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

შალვა დადიანის „გუმინდელნი“: სცენიური ხორცშესხმა განვითარებული სოციალიზმის პერიოდში

შალვა დადიანის პიესა „გუმინდელნი“ 1917 წელს დაიწერა, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის და თვით საბჭოთა კავშირის შექმნამდე. 1930-იან წლებში ქართველმა კრიტიკოსებმა მწერლის ადრეული ნაწარმოებებიც საბჭოურ იდეოლოგიურ კონტექსტში მოაქციეს და სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის, მაქსიმ გორკის შემოქმედებას შეადარეს.

რა საერთო აქვს ქართული დრამატურგიის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს რუსული ლიტერატურის კლასიკოსის თხზულებებთან და რატომ გამოცხადდა შალვა დადიანის დრამატურგია სოციალისტური რეალიზმის ტენდენციების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშად? რით არიან განსა-

კუთრებულნი პიესის პერსონაჟები ან რატომ გამოუტანა მათ განაჩენი ავტორმა? რამდენად არის განპირობებული დროის ფაქტორით პიესის შემდგომი ბედი? მოხსენებაში ეს საკითხები იქნება განხილული.

1972 წელს რუსთაველის თეატრის სცენაზე იმ დროს უკვე ცნობილმა რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ „გუშინდელის“ დადგმა განახორციელა. რით იყო საინტერესო ეგრეთ წოდებული განვითარებული სოციალიზმის პერიოდის საქართველოში 1917 წელს დაწერილი პიესის პრობლემატიკა? როგორ წარმოსახება რეალიზმი სცენაზე მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში და რით განსხვავდება იგი საუკუნის დასაწყისის ლიტერატურული თხზულების რეალიზმისგან?

თემურ ჩხეიძე ამ სპექტაკლს თავისი საუკეთესო დადგმების სამეულში მოიაზრებდა. მოხსენებაში ვიმსჯელებთ, თუ რის სათქმელად დადგა რეჟისორმა შალვა დადიანის პიესა და რამდენად თანხვედრია სპექტაკლის სცენიური ვერსია დრამატურიგის კონცეფციასთან; განვიხილავთ, თუ როგორ შეიქმნა როლები, რომლებიც ქართული თეატრის ისტორიაში საუკეთესო სცენიურ სახეთა შორის ჩაიწერა.

სასცენო სივრცე რომელიც მხოლოდ ერთი გრძელი მაგიდითაა შევსებული – სპექტაკლის მხატვრის, მიხეილ ჭავჭავაძის შეთავაზებული სპექტაკლის გადაწყვეტა პიესის ავტორთა კონცეფციის ვიზუალიზებული მეტაფორა გახდა, რომელიც ქართულ სცენოგრაფიის კლასიკად იქცა. მოხსენებაში რეჟისორისა და სცენოგრაფის ტანდემის მუშაობის შესახებ, რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული მასალების საფუძველზე, საინტერესო ფაქტების ანალიზს შემოგთავაზებთ.

1970-იანი წლების პრესის მასალების მიხედვით ვაჩვენებთ, თუ რა შეფასებას აძლევდა სამოცდაათიანი წლების, განვითარებული სოციალიზმის პერიოდის პრესა პიესასა და სპექტაკლს და როგორ ფასდება „გუშინდელი“ დღეს.

Zoia Tskhadaia

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

On the Violent Cases of the Clichés of Socialist Realism

(Lado Asatiani, Ana Kalandadze)

An attempt, begun in the late 1920s to elaborate the so-called new creative method in Soviet literature, took shape in 1932-1934 as "socialist realism". Its special requirement continued until the end of the 1950s. The new ideologists tried to destroy the eternal values on the basis of the "principles of the party spirit in literature." The mandatory themes were Soviet patriotism, labor heroism, new heroes and their opposition to the heroes of the past...

After the All-Union Congress (1934), the poets used the "permission" for patriotism for the benefit of Georgian poetry and created Georgian literary masterpieces, but, in accordance with the ideological structure, a strict control of thinking was maintained. There was an unwritten law that poems related to the themes of Lenin, Stalin, the party, had to be included in poetry collections ... Suffice it to mention the history of poetry collections by Lado Asatiani and Ana Kalandadze to illustrate what would happen to a book, the author, who did not promote political ideas.

The entire print of Lado Asatiani's poetic collection *The Ancestors* (10 verses, 1 poem, 1942) was destroyed as it was deemed anti-Soviet and even a quote from the newspaper Pravda "the brave images of our great ancestors inspired Soviet warriors in a furious battle" which was taken as an epigraph failed to save the print. In accordance with the decision of the Central Committee, the commission appointed by the Council of Writers decided to shred the book. The book was published only after Lado Asatiani's death in 1944 (54 verses and one poem, including four texts that meet ideological requirements).

The appearance of Ana Kalandadze (1946) was met with enthusiasm by Georgian writers. After the war, against the background of loss and suffering, the sincere and deep poetry of the poet sounded with special energy. Several of her poems were published in the literary magazine "Mnatob" and newspaper "Literature and Art". The Presidium of the Board of the Union of the Central Committee of Georgia appealed to the secretary of the Central Committee of the Communist Party of Georgia in the field of propaganda with a request to give permission to publish the first book of Ana Kalandadze. However, a new wave of literary repressions, which began in August 1946 against the magazines Leningrad and Zvezda, also greatly affected Ana Kalandadze – she was called a "captive of decadence" who was not guided by "advanced ideas." Ana Kalandadze refused to obey and stopped publishing poetry and reading them in public. Only seven years later, in 1953, her first collection came out (with more than enough conjuncture texts). Both cases were classic examples of the violent action of the ideology of socialist realism.

ზოია ცხადაია

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

სოცრეალიზმის კლიშეების ძალადობრივი ისტორიებიდან (ლადო ასათიანი, ანა კალანდაძე)

20-იანი წლების დამლევებიდან დაწყებული ცდა საბჭოთა მწერლობის ე.წ. ახალი შემოქმედებითი მეთოდის შემუშავების-თვის, 1932-1934 წლებში გაფორმდა, როგორც „სოციალისტური რეალიზმი“. მისი განსაკუთრებული მომთხოვნელობა გაგრძელდა 50-იანების ბოლომდე. ახალი იდეოლოგიები „ლიტერატურის

პარტიულობის პრინციპებით“ ცდილობდნენ, ჩაკლათ მარადი-
ული ღირებულებები. სავალდებულო თემებად იქცა საბჭოთა
პატრიოტიზმი, შრომის ჰეროიკა, ახალი გმირები და მათი
დაპირისპირება წარსულის გმირებთან...

საკავშირო ყრილობის (1934) შემდეგ პატრიოტიზმის „დაშ-
ვება“ პოეტებმა ქართული პოეზიის სასიკეთოდ გამოიყენეს და
საქართველოს სახოტბო შედეგებიც შექმნეს, მაგრამ, იდეოლო-
გიური წყობის შესაბამისად, გრძელდებოდა აზროვნების მკაცრი
კონტროლი. დაუწერელ კანონად გამოცხადდა პოეტური კრებუ-
ლებისათვის წამმღვარება რამდენიმე ლექსისა, რომლებიც შეეხე-
ბოდა ლენინს, სტალინს, პარტიას... იმის სანიმუშოდ, თუ რა ბედი
ეწოდა წიგნს, ავტორს, რომელიც თავის წილ ხარკს არ გაიღებდა
პოლიტიკური იდეების პროპაგანდისათვის, საკმარისია ლადო
ასათიანისა და ანა კალანდაძის ლექსების კრებულების ისტორია.

ლადო ასათიანის „წინაპრები“ (10 ლექსი, 1 პოემა, 1942) ვერ
გადაარჩინა მისთვის ეპიგრაფად წამმღვარებულმა ციტატამ გა-
ზეთ „პრავდიდან“, რომ „ჩვენი დიდი წინაპრების ვაჟკაცური
სახეები აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა მეომრებს გააფთრებულ
ბრძოლაში“... ცკ-ის დადგენილების შესაბამისად, მწერალთა გამ-
გეობის მიერ გამოყოფილმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება
ლადოს „წინაპრების“ დაჭრისა, წიგნი გამოიცა მისი გარდაც-
ვალების შემდეგ, 1944 წელს (54 ლექსი და ერთი პოემა, მათ შო-
რის, იდეოლოგიური მოთხოვნების საპასუხო ოთხი ტექსტი).

ანა კალანდაძის გამოჩენას (1946) აღფრთოვანებით შეხვდა
ქართული მწერლობა. ომის შემდგომ, გადატანილი ტკივილების
ფონზე, განსაკუთრებული ენერგიით გაიჟღერა პოეტის გულ-
წრფელმა და ღრმა პოეზიამ. მისი რამდენიმე ლექსი გამოქვეყნდა
ჟურნალ „მნათობსა“ და გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“. საქართველოს მწ/კავშირის გამგეობის პრეზიდენტმა თხოვნით
მიმართა საქართველოს კ.პ(ბ) ცკ-ის მდივანს პროპაგანდის დარგ-
ში, რომ დაერთო ნება ანა კალანდაძის პირველი წიგნის გამოცე-

მისა, მაგრამ იმავე 1946 წლის აგვისტოში დაწყებული ლიტერატურული რეპრესიების ახალი ტალღა, ჟურნალების: „ლენინგრადისა“ და „ზეზუდას“ შესახებ, ანა კალანდაძესაც შეეხო უმკაცრესად – უწოდებდნენ „დეკადენტობის ტყვეობაში მყოფს“, რომელიც არ ხელმძღვანელობდა „მოწინავე იდეებით“. ანა კალანდაძემ უარი თქვა მორჩილებაზე და საერთოდ შეწყვიტა ლექსების გამოქვეყნებაც და საჯარო კითხვაც. მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ, 1953 წელს, იხილა მკითხველმა მისი პირველი კრებული (საკმარისზე მეტი კონიუნქტურული ტექსტებით), ორივე შემთხვევა კლასიკური ნიმუშია სოცრეალისტური იდეოლოგიის ძალადობრივი ქმედებისა.

Salome Tsopurashvili

Georgia, Tbilisi

Ilia State University

The Personality Cult and Socialist Realist Eroticism

The building of the personality cult was a complex and multifaceted project. The proposed paper investigates the personality cult and erotic dimension of the party leaders in the so-called ‘artistic documentaries’ – fictionalised historical-revolutionary films produced in the 1930s and 1940s.

The domain of gender and sexuality constitutes a relatively recent contribution to the research on Socialist Realist cinema. Scholars have demonstrated that the virile New Soviet Man, associated with Stalinist masculinity, is always in a position of a model son, never surpassing the ‘Father’ – a wise party member/ Stalin. Stalin embodied the only powerful masculinity, leaving the viewer in a female position and turning Stalin into the implicit object of the heroine’s (and spec-

tator's) erotic gaze / the sole possessor of the controlling male gaze. The proposed paper extends this research by focusing on the leaders' cinematic representations in Mikhail Romm's *Leniniana* (*Lenin in October* and *Lenin in 1919*) and Mikheil Chiaureli's *Staliniana* (*The Great Dawn, The Oath, The Fall of Berlin*). The paper examines the erotic power's construction and distribution around Stalin's and Lenin's figures. It argues that in the process, Stalin not only stepped out from Lenin's shadow as a genuine leader of the working class and subsequently of the Soviet Union, but he also stepped out and overshadowed the eroticism which initially was embodied in Lenin's character in these films and from the end of 1930s was transferred to Stalin. Also, if Stalin appears as a locus of heterosexual desire, Lenin first generates and evokes a homosexual one.

სალომე ცოფურაშვილი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

პიროვნების კულტი და სოცრეალისტური ეროტიზმი

პიროვნების კულტის შენება რთულ და მრავალწახნაგოვან პროექტს წარმოადგენდა. შემოთავაზებული ნაშრომი იკვლევს პიროვნების კულტსა და პარტიული ლიდერების ეროტიულ განზომილებას 1930-იან და 1940-იან წლებში წარმოებულ ეგრეთ-წოდებულ „არტისტულ დოკუმენტურ ფილმებში“, რომლებიც ისტორიულ-რევოლუციური მოვლენების ბელეტრიზირებულ ვერსიებს სთავაზობდნენ მაყურებლებს.

სოცრეალისტურ ფილმებში გენდერისა და სექსუალობის ასპექტების შესწავლა შედარებით ახალ მიმართულებას წარმოადგენს. ამ პერსპექტივით მომუშავე მკვლევარებმა აჩვენეს რომ ვაჟკაცური ახალი საბჭოთა მამაკაცი, რომელიც სტალინისტურ

მასკულინობასთან იყო ასოცირებული, სოცრეალისტურ ფილმებში ყოველთვის სანიმუშო ვაჟის როლშია, რომელიც არასდროს დასძლევს მამას. ეს უკანასკნელი კი ბრძენი პარტიის წევრის ან თავად სტალინის სახეში არის განსხეულებული. რადგანაც ერთადერთი ძლევამოსილი მასკულინობა მხოლოდ სტალინს ეკუთვნოდა, მაყურებელი ქალის პოზიციას იკავებდა სქესის განურჩევლად. შესაბამისად სტალინი გმირი ქალის და მაყურებლის ეროტიული მზერის იმპლიციტურ ობიექტად გარდაიქმნებოდა და სწორედ იგი იყო მაკონტროლილებელი მამაკაცური მზერის ერთადერთი მფლობელი. წარმოდგენილი ნაშრომი ამ კვლევების განგრძობითობას წარმოადგენს და აანალიზებს პარტიულ ლიდერთა კინემატოგრაფიულ რეპრეზენტაციებს და მათ ეროტიულ განზომილებას მიხაილ რომის *ლენინიას (ლენინი ოქტომბერში და ლენინი 1919 წელს)* და მიხეილ ჭიაურელის *სტალინიანას (დიადი განთიადი, ვიცი, ბერლინის დაცემა)* მაგალითზე. წარმოდგენილი ნაშრომი შეისწავლისთუ როგორ ხდება ამ ფილმებში ეროტიული ძალაუფლების აგება და განაწილება სტალინისა და ლენინის ფიგურების ირგვლივ. ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ფილმებში სტალინ-ლენინის ჩრდილიდან გამოდის არა მხოლოდ როგორც მუშათა კლასის, და შესაბამისად მთელი საბჭოთა კავშირის ჭეშმარიტი ლიდერი, არამედ ასევე გადაფარავს იმ ეროტოზმს რომელიც თავდაპირველად ლენინის იგურაში იყო განსხლულებული. ამასთანავე თუკი სტალინი უპირველესად ჰეტეროსექსუალური სურვილის ადრესატს წარმოადგენს, ლენინის ფიგურა ჰომოეროტიზმითაა განსმჭვალული.

Marina Turashvili

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Soviet Memory and Narrative Discourse (According to Oral Histories)

Various events of the Soviet period are not still properly evaluated. Not taking into account the general public, even in history textbooks and scientific society there is not a fully convincing argument to understand this or that Soviet event and the positive and negative sides of the regime itself in general. All mentioned facts, in their turn, lead to various attitudes that exist today on the part of the society towards the regime.

The research is based on the latest materials namely, on oral histories that were recorded in the years 2002-2021. As almost everything and everyone was ideologized in Soviet times eye-witness narratives are especially valuable. It should also be mentioned that the perception of the Soviet past saved in the individual memory gradually vanishes together with the eye-witnesses. That, unfortunately, devastates the past and destroys the perspective of studying it. That's the reason why studying oral histories are crucial for the research, as they provide an interesting picture of those times.

It might seem surprising, however, the "favour" towards the Soviet past is felt even today, despite the fact that during the 70 years of Georgian history was affected with painful issues such as: collectivization, deportations, wars, repressions, etc. This might be caused by a number of factors, one of which is that there is lack of discussion about revaluing the Soviet past. The study also revealed that, repression on the one hand and propaganda on the other was so strong that narrators considered all these as an unavoidable necessity.

Discourse analysis of oral histories reveals that traumatic events of the Soviet times serve as a dividing line, according to which the narratives are divided into three significantly different periods: "this", „before" and "after".

მარინე ტურაშვილი

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

საბჭოთა მეხსიერება და თხრობის დისკურსი (ზეპირი ისტორიების მიხედვით)

საბჭოთა პერიოდის არაერთი მოვლენა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული. ფართო საზოგადოებას რომ თავი დავანებოთ, ისტორიის სახელმძღვანელოებსა თუ სამეცნიერო წრეებშიც კი არ არის ბოლომდე დამაჯერებელი მსჯელობა ამა თუ იმ საბჭოთა მოვლენის გასააზრებლად და, ზოგადად, რეჟიმის აკვარგიანობის აღსაქმელად. ეს კი რეჟიმისადმი საზოგადოების დამოკიდებულების იმ მრავალფეროვნებას იწვევს, რაც დღეს ჩვენთან არსებობს.

კვლევა ეყრდნობა უახლეს მასალებს, კერძოდ, 2002-2021 წლებში ჩაწერილ ზეპირ ისტორიებს. თვითმხილველთა მონათხრობები ყოველთვის ფასეულია, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საბჭოთა პერიოდში ყველა და ყველაფერი იდეოლოგიზებული იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინდივიდუალურ მეხსიერებაში დალექილი საბჭოთა წარსულის აღქმა თვითმხილველებთან ერთად თანდათან ქრება, რაც, სამწუხაროდ, ანადგურებს წარწულს და კლავს მისი შესწავლის პერსპექტივას. სწორედ ზეპირი ისტორიების ამ კუთხით კვლევა იძლევა საინტერესო სურათს.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საბჭოთა წარსული-სადმი „კეთილგანწყობა“ თვალშისაცემია დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორიაში 70 წლის განმავლობაში მთელი სიმძრაფით აისახა ისეთი მტკივნეული თემები, როგორებიცაა: კოლექტივიზაცია, დეპორტაციები, ომები, რეპრესიები და ა.შ. ეს გამოწვეული უნდა იყოს არაერთი ფაქტორით, ერთ-ერთი კი ისაა, რომ ნაკლებია საბჭოთა წარსულის გადაფასებაზე მსჯელობა. კვლევისას გამოიკვეთა ისიც, რომ, ერთი მხრივ, რეპრესიების წნეხი და, მეორე მხრივ, პროპაგანდა იმდენად ძლიერი იყო, რომ მთხრობელები ამ ყველაფერს გარდაუვალ აუცილებლობად აღიქვამენ.

ზეპირი ისტორიების თხრობის დისკურსული ანალიზი ცხადყოფს, რომ საბჭოთა პერიოდის ტრავმული მოვლენები მოქმედებს როგორც გამყოფი ხაზი, რომლის მიხედვითაც მონათხრობები სამ მნიშვნელოვნად განსხვავებულ პერიოდად იყოფა: „ის“, „მანამდე“ და „მას შემდეგ“.

Alyona Tychinina, Dan Paranyuk

Yuriy Fedkovych Chernivtsi National University

Ukraine, Chernivtsi

**The Book that was Destroyed in 1969:
the Transgression of Literary and Pictorial Narratives
by Ivan Drach and Tetyana Yablonska**

Since socialist realism mostly appears as a complete aesthetic and cultural paradigm, which is closely related to the previous historical stage, its experience seems to be both relevant and final at the same time. In Ukrainian culture, socialist realism is regarded as one of the

most controversial periods when art became an ideological tool of influence. What is more, it is impossible to comprehensively assess the XX century Ukrainian literature without studying the canon of social realism. After Stalin's death, socialist realism did not disappear at the stage of "decanonization" (1953-80s, according to G.Gunther); instead, its canon expanded, loosened, and got deformed.

This report is the analysis of the book by the Ukrainian Sixties authors – the poet Ivan Drach (1936-2018) and the artist Tetyana Yablonska (1917-2005) – which was published in 1969 but immediately destroyed by censorship because of its "Ukrainian bourgeois nationalism". However, the previously "shredded" album was restored and reissued in 2007. It is noteworthy that this fine arts and poetry project indicated the natural transgression (according to Foucault, going "beyond" and "through" the boundary) of the idiom of both eminent artists from socialist realism towards modernism after the "debunking of the cult of the personality."

Particular emphasis has been placed on the conceptual specificity of the publication, where Drach wrote a separate ballad for each of the 11 paintings by Yablonska. The chosen genre model is not accidental, since the ballad is typically marked with dramatic plot, lyricism, dynamic composition, and special life collisions. Moreover, it connotes with folk rituals (marriage, widowhood, visiting relatives), mythology (Leda and Lada), and archetypes (mother, child, widow), which were narrated in Yablonska's paintings. The "proximal" center and the crosscutting fictional imagological portal between the pictorial and poetic narratives is the image of a window. The blue-pink (Virgin Mary) and yellow-blue coloring of the paintings (absolutely new for Yablonska) is reproduced by alliteration, assonance, internal rhyme of poetry, deep metaphors (Virgin and Child), allegories (Grief, Harmony, Virtue, Meanness, Turmoil, Love, Fear), and symbols (birds, trees, a golden apple, a golden roccaille, an untwisted braid, a red ribbon, a

mirror, an axe). Numerous litotes, parallelisms, and refrains of Drach's verses go in tune with the folk style, decorative and ekphrastic nature of Yablonska's paintings (towels, wreaths, embroidered shirts, iconostases, photographs). The personosphere of the album depicts a panorama of generations (girls, women, men, children, grandmothers), as well as recreates the chronotopes of the past, present, and future. The book's "frontal" accents are laid on the hard-working hands and deep gaze of the characters, each of whom radiates joy of life, happiness, and Ukrainianness. Instead of "homo sovieticus," the compositional center of the book is taken by the national imagological codes.

Tinatin Tvalchrelidze

Tea Talakvadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgia, Tbilisi

(De)tabooed Individual Responsibility in the Literature of the 80s

In modern reality, the Soviet narrative is being actively researched, while the period when the imperialist rule was coming to an end is being actively discussed. In the age of freedom or the so-called "slavery", the purpose of literature is relevant to become a dictate of those values that are often forgotten in a conformist society when national identity is being formed. And the identity of a nation entirely depends on the narratives found in its collective memory. The democratic reality, the free space, the open borders showed that the topics that were taboo in the totalitarian era a few decades ago - honor, conscience, faith, morality - were presented by the literature of the 70s

and 80s through allegoricality and parables. However, taboo historical traumas have only been discussed openly since the end of the 20th century. It is a completely different situation in Western literary studies and cultural studies. During the last twenty years, many scientific articles, monographs and collections have been created about the reflection and understanding of the past in the literature written after 1980.

Analyzing the taboo issues related to the research topic from a theoretical perspective can include the study of various critical approaches and scientific discussions. Here we consider some basic theoretical frameworks related to taboo. First, postcolonial perspectives (Edward's *Culture and Imperialism*, 1994; Babha, Homi K., *The Location of Culture*, 1994; Kristeva Julia, "Forces of Horror: An Essay on Disgust," 1982). These main works examine the representation of taboo topics in colonial and postcolonial literature; examining how colonialism and its consequences shape cultural taboos and markers of identity. The aforementioned theory will correctly analyze the issues of demoralization in the totalitarian reality; the reasons for tabooing moral and ethical topics and the creative factors of de-tabooing in Jemal Karchkhadze's and Gia Lomadze's literary works.

თინათინ თვალჭრელიძე

თეა თალაკვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

**(დე)ტაბუირებული ინდივიდუალური პასუხისმგებლობა 80-იანი
წლების ლიტერატურაში**

სოციალისტური რეალიზმის ეპოქის მწერლობა, ბუნებრივია, მხოლოდ სოციალისტური გმირების აღზრდით ვერ შემოიფარგლებოდა და გასაკვირი არ არის, რომ მწერლები ტაბუირებული ზნეობრივი ნარატივების რეპრეზენტაციას განსხვავებული ფორმებითა და გზებით ცდილობდნენ.

თანამედროვე კვლევებში აქტიურად მიმდინარეობს საბჭოთა ნარატივის ანალიზი, განიხილება სწორედ ის პერიოდი, როცა სოციალისტური რეალიზმის ეპოქა დასასრულს უახლოვდებოდა. თავისუფლებისა თუ ე.წ. „მონობის“ ხანაში, აქტუალურია მწერლობის დანიშნულება, იქცეს მოკარნახედ იმ ღირებულებებისა, რომლებიც ხშირად დავიწყებას ეძლევა კონფორმისტულ საზოგადოებაში. ერის იდენტობა კი მთლიანად დამოკიდებულია იმ ნარატივებზე, რომლებიც იძებნება მის კოლექტიურ მეხსიერებაში. დემოკრატიულმა რეალობამ, თავისუფალმა სივრცემ, გახსნილმა საზღვრებმა მეტად წარმოაჩინა, რომ რამდენიმე ათწლეულის წინ ტოტალიტარულ სივრცეში ტაბუირებული თემები – ღირსება, სინდისი, რწმენა, ზნეობა - 70-80-იანი წლების მწერლობამ წარმოაჩინა ალეგორიულობისა და იგავურობის საშუალებით და კვლავ შეეცადა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაბრუნებას.

სოციალისტური რეალიზმის ეპოქაში ტაბუირებული საკითხების ანალიზი შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა კრიტი-

კული მიდგომებისა და სამეცნიერო დისკუსიების შესწავლას. აქ მოვიაზრებთ რამდენიმე ძირითად თეორიულ ჩარჩოს, დაკავშირებულს ტაბუსთან. პირველ რიგში, პოსტკოლონიური პერსპექტივები (ედვარდის „კულტურა და იმპერიალიზმი, 1994 წელი. ბაბჰა, ჰომი კ. „კულტურის მდებარეობა“, 1994 წელი. კრისტევა იულია – „სამინელებათა ძალები: ნარკვევი ზიზლის შესახებ“, 1982 წელი). ეს ძირითადი ნაშრომები განიხილავს ტაბუდადებული თემების წარმოდგენას კოლონიურ და პოსტკოლონიურ ლიტერატურაში, შეისწავლის, თუ როგორ აყალიბებს კოლონიალიზმი და მისი შედეგები კულტურულ ტაბუებს და იდენტობის მარკერებს. სწორედ აღნიშნული თეორია ტაბუსთან მიმართებით გაგვანალიზებინებს ტოტალიტარულ რეალობაში დემორალიზაციის საკითხებს, ზნეობრივ-მორალური თემების ტაბუირების მიზეზებს და დეტაბუირების მხატვრულ ფაქტორებს ჯემალ ქარჩხაძისა და გია ლომაძის შემოქმედებაში.

ზემოთ აღწერილი თეორიების დახმარებით გამოვლინდება 70-80-იანი წლების ქართული ლიტერატურის თავისებურებები, კერძოდ, გამოიკვეთება ნაციონალური იდენტობის მარკერები, ტაბუირებული ზნეობრივი ნარატივები, დეტაბუირების მიზანი და მნიშვნელობა, ვიდრე პოსტსაბჭოთა რეალობამდე.

Sergei Zotov

*Chekhov Taganrog Institut named after A.P. Chekhov,
the branche of Rostov State University of Economics
Russian Federation, Taganrog*

Socialist Realism and the Literary Process

The development of the literary process in Russia at the turn of the XIX-XX centuries was influenced by the philosophical and poetic position of Nietzsche. Life is understood by Nietzsche as an "experiment of the knower," while the subjectivism of the "will to power" is removed simultaneously by two principles: "the reassessment of all values" and "the eternal return of the same." Such life-creation is the result of the activity of superman and at the same time – the process of his emergence and formation.

The idea of creative activity as a creative realization of man and the world has become a common basis for Russian post-symbolism. However, Acmeism and futurism emphasize different sides of the existential image. Futurism understands the "revaluation of values" as a denial, a poetic "destruction" of the world. Gumilyov's acmeism asserted the creativity of poetic creativity, the Christian foundation is not refuted, but transformed in the rivalry of the creative personality with the "Father" in the "shadow" of Zarathustra (the poem "Memory").

The development of poetic practice leads to a deepening of the differences between the directions. Pasternak's lyrics are based on the intellectual experience of the identity "artist – art – reality". Life is realized by a poetic discovery, in the process of which a creative personality arises. The artist turns to "things themselves", and not to their known meaning, and he himself becomes a "pure cognizing subject" (Schopenhauer). Artistic cognition in this case is not conditioned by an ideological position, it is a renewal of the world and an artis-

tically productive personality. The prerequisite of existential poetic practice is the receptivity of the artist, which arose during the development of socioculture.

The revolutionary destruction of reality generates LEFTISM and the "literature of fact", however, the unity of the opposites of modernism is achieved on the basis of the method of dialectical materialism. The theory of socialist realism asserts cognitive subjectivism (Marxism) as a principle of artistic embodiments of life. The artist discovers the tendencies of its revolutionary development in socioculture and is imbued with revolutionary views himself. This reduction consists of "a truthful depiction of life in its revolutionary development." The new dialectic brings art back from "things themselves" to a new premise of their understanding.